დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

<u>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:</u>

1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), 240 ECTS
2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი), 240 ECTS
3. მენეჯმენტი, 180 ECTS
4. მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), 180 ECTS

<u>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:</u>

5. მენეჯმენტი, 120 ECTS
6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, 120 ECTS
7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), 120 ECTS

<u>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:</u>

8. ბიზნესის ადმინისტრირება 30 ECTS

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2024 წლის -14–17 აგვისტო

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ..... **Error! Bookmark not defined.**

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა..... **Error! Bookmark not defined.**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... 16

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... 16
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 48
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა..... 69
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 82
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... 108

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კაროლინა ტიმკო, მოლდოვის განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო, მოლდოვის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკატერინე ნაცვლიშვილი ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაია ჭინჭარაშვილი საქართველოს რკინიგზა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სანდრო ტაბატაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ფარეშიშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

I. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

	პროგრამის 1	პროგრამის 2	პროგრამის 3	პროგრამის 4	პროგრამის 5	პროგრამის 6	პროგრამის 7	პროგრამის 8
პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)	მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა) ინგლისურენოვანი	მენეჯმენტი	მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)	მენეჯმენტი	ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირება ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-6 დონე	მე-6 დონე	მე-6 დონე	მე-6 დონე	მე-7 დონე	მე-7 დონე	მე-7 დონე	მე-8 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	-	-	-	-	-	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ინგლისური	ქართული	ინგლისური	ქართული	ქართული	ინგლისური	ქართული

[1] (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	180	180	120	120	120	30
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)	აკრედიტებული	აკრედიტებული	ახალი	ახალი	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული
შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	#07, 31/12/2018	#02, 05/01/2017	არ ეხება	არ ეხება	#08, 31/12/2018	#178 30/11/2018	#130 12/10/2018	#160 22/11/2018

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაცია განხორციელდა რვა სასწავლო პროგრამისთვის, რომლებიც დაჯგუფებულია კლასტერში სახელწოდებით მენეჯმენტი:

- 4 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:
    1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), 240 ECTS
    2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი), 240 ECTS
    3. მენეჯმენტი, 180 ECTS
    4. მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), 180 ECTS
- 3 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:
    5. მენეჯმენტი, 120 ECTS
    6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, 120 ECTS
    7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), 120 ECTS
- 1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
    8. ბიზნესის ადმინისტრირება 30 ECTS

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2011 წლიდან აკრედიტებულ, ხოლო 2018 წლიდან რეაკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებს: ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო საქმე და ფინანსები, ტურიზმის მენეჯმენტი) (ძირითადი სპეციალობები); ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო საქმე და ფინანსები, ტურიზმის მენეჯმენტი); გ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას - ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი; დ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას - ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი) და ე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას - ბიზნესის ადმინისტრირება. 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტმა დაიწყო ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო საქმე და ფინანსები, ტურიზმის მენეჯმენტი) (ძირითადი სპეციალობები) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განხორციელება.

გარე რეგულაციებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების (ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი) გავლენით არსებული პროგრამები მოდიფიცირდა და ჩამოყალიბდა შემდეგ დამოუკიდებელ პროგრამებად:

1. საბაკალავრო პროგრამა - მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), 240 ECTS;
2. საბაკალავრო პროგრამა - მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი), 240 ECTS;
3. სამაგისტრო პროგრამა –მენეჯმენტი (120 კრედიტი);
4. სამაგისტრო პროგრამა - ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, 120 ECTS;
5. სამაგისტრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), 120 ECTS;
6. სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება, 30 ECTS;

გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის №206/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ანიჭებს 180-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამების შემუშავების უფლებას, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა შექმნა ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები - მენეჯმენტი, ქართულ ენაზე და მენეჯმენტი, ინგლისურ ენაზე.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამები ერთიანდება მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დეტალურ სფეროში (0413) და შეესაბამება მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დარგის კვალიფიკაციის მე-6, მე-7 და მე-8 დონეებს.

კრედიტების მოცულობა და განაწილება შემდეგია:

- საბაკალავრო პროგრამები - მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა) და მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი), თითოეული მოიცავს 240 ECTS-ს, მათ შორის - 60 ECTS - თავისუფალი კომპონენტი/ზოგადი მოდულები; 120 ECTS - ძირითადი მოდულები; 60 ECTS - თავისუფალი კომპონენტი/დამატებითი თავისუფალი კომპონენტები; პროგრამების ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი);
- საბაკალავრო პროგრამები - მენეჯმენტი და მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), თითოეული მოიცავს 180 ECTS-ს, მათ შორის: 60 ECTS - თავისუფალი კომპონენტი/ზოგადი მოდულები; 120 ECTS - ძირითადი მოდულები; პროგრამების ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი);
- სამაგისტრო პროგრამები - მენეჯმენტი, ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი და ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), თითოეული მოიცავს 120 ECTS-ს და ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი);
- სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება მოიცავს 30 ECTS-ს და ხანგრძლივობაა 3-5 წელი.

ყველა 8 პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს S კორპუსში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი ³⁄₅, თბილისი, საქართველო; პროგრამებს ადმინისტრირებას უწევს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მიეცათ წვდომა მასალებზე, რომელიც მოიცავდა თვითშეფასების ანგარიშს (SER) და თანმხლებ დოკუმენტაციას (პროგრამების დეტალურ სპეციფიკაციას, მათ შორის სასწავლო გეგმებს, სილაბუსებს, განმახორციელებელი პერსონალის სიებსა და პირად მონაცემებს, ინფორმაციას სწავლის შედეგების, შეფასების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების და ა.შ. შესახებ) ინგლისურ და ქართულ ენებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად განახორციელა ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 14-17 აგვისტოს. ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრებები შემდეგ ჯგუფებთან: უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, ყველა პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამების ხელმძღვანელები, ყველა პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

წარმომადგენლები. ვიზიტის დროს ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ მოგვიანებით წარმოადგინა.

პირველი დღის ბოლოს ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის შენობები და გაეცნო სასწავლო პროცესისთვის არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მათ შორის ბიბლიოთეკის სასწავლო მართვის სისტემას, FabLab-ს და სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის აუდიტორიებს.

მეოთხე დღის ბოლოს ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს პირველადი მიგნებების წარსადგენად. ვიზიტი კოლეგიურ და კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა.
ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს უნივერსიტეტის შიგნით, დეპარტამენტებსა და სამსახურებს შორის კარგად ორგანიზებული კომუნიკაცია და თანამშრომლობა და გამოხატოს გულწრფელი მადლიერება ყველა მონაწილის თანამშრომლობისა და ვიზიტის განმავლობაში, დისკუსიებში, მათი ჩართულობისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამ 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა 180 ECTS

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა 180 ECTS

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა 120 ECTS

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა 120 ECTS

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა120 ECTS

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS; პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS; პროგრამა 3. მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS პროგრამა 4. მენეჯმენტი, (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

რეკომენდაციები:

- 1.1.1. რეკომენდებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების მკაფიოდ განსაზღვრული მიზნების შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება თითოეული საბაკალავრო პროგრამის (180 ECTS და 240 ECTS) უნიკალურობისა და კონკურენტული უპირატესობების წარმოჩენისკენ და მკაფიოდ გამოკვეთს იმ ძირითად მახასიათებელს, რითაც მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამები (ძირითადი სპეციალობა, 240 ECTS) განსხვავდება მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამებისგან (180 ECTS);
- 1.2.1. რეკომენდებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების (ძირითადი სპეციალობა) და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (180 ECTS) სწავლის შედეგების გადახედვა ბაკალავრის ხარისხის მისაღებად საჭირო სწავლის შედეგებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გაღრმავება (განსაკუთრებით ოპერირების; ბაზრებისა და ფინანსების სფეროში), რომლებიც მითითებულია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში;
- 1.4.1. რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამებში დასახული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის, მენეჯმენტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის გადახედვა ზოგად მოდულში შეთავაზებული კურსების ოპტიმიზაციისა და სავალდებულო კურსების, კერძოდ ბიზნესის მართვის საგნობრივი შინაარსის გამდიდრების თვალსაზრისით (ზოგიერთი არჩევითი საგნობრივი კურსი ასევე შეიძლება შეიცვალოს სავალდებულოთი). ეს გადახედვა საჭიროა ბაკალავრის ხარისხის მისაღებად და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გასაღრმავებლად იმ საკითხებში, რომლებიც მითითებულია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში;
- 1.4.2. რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების I საფეხურთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონესთან, იხილეთ https://eqe.ge/en/page/static/1028/biznesi-administrireba-da-samartali.
- 1.5.1. რეკომენდებულია ყველა კურსის გადახედვა კრედიტების ვალიდური მოცულობის განსასაზღვრად, კურსის მიზნებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების, გასავლელი თემების, შესასრულებელი დავალებების ინტენსივობის, მოცულობისა და სირთულის, სასწავლო რესურსების მოცულობისა და სირთულის, აგრეთვე მიღწევების შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- 1.5.2. რეკომენდებულია კურსების სილაბუსების გადახედვა კურსებში დასახული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისა და შეფასებისთვის შესაბამისი შეფასების მეთოდების/ინსტრუმენტების განსასაზღვრად;
- 1.5.3. რეკომენდებულია ზოგიერთი სილაბუსის (მაგ., ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები; პროექტის მართვის საფუძვლები; სტატისტიკის საფუძვლები; მარკეტინგის საფუძვლები და სხვ.) გადახედვა უფრო შესაბამისი შეფასების ფორმების დამატების თვალსაზრისით (განსაკუთრებით, დეტალურად აღწერილი რუბრიკები), სტუდენტების კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებისთვის და როგორც კურსის, ისე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის;

- 2.2.1. რეკომენდებულია საბოლოო სადიპლომო ნაშრომის წარდგენა ან სხვა მექანიზმების შექმნა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რათა დაკმაყოფილდეს სტანდარტის მოთხოვნები;
- 2.3.1. რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა (განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, სადაც გუნდური მუშაობა/ჯგუფური პრეზენტაცია/პროექტი გამოიყენება შეფასების მეთოდად) სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების/რუბრიკების დეტალური აღწერის თვალსაზრისით.

რჩევები:

- 1.4.1. სასურველია, მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმის გადახედვა და ძირითადი სპეციალობის ზოგიერთი არჩევითი კურსის (მაგ. - "მენეჯერული აღრიცხვის საფუძვლები", "გაყიდვების მენეჯმენტის საფუძვლები", "მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი", "კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა") ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებად შეთავაზება;
- 1.4.2. სასურველია, პროგრამის განახლება და უფრო თანამედროვე კურსების (ან თემების) დამატება, როგორიცაა ბიზნესის/ორგანიზაციების ციფრული ტრანსფორმაცია, მონაცემთა ანალიტიკა, სტრატეგიული ინოვაციები და ცვლილებების მენეჯმენტი და სხვ.;
- 1.4.3. სასურველია, არჩევითი კურსების გაფართოება, რაც სტუდენტებს მისცემს უფრო სპეციალიზებული ცოდნისა და უნარების მიღების შესაძლებლობას, რომელიც მორგებული იქნება ინდუსტრიის მზარდ საჭიროებებსა და თანამედროვე ორგანიზაციული მენეჯმენტის აქტუალურ საკითხებზე;
- 1.4.4. მითითებული მიზნების უფრო ეფექტურად მისაღწევად და კურსდამთავრებულთა სწრაფად ცვალებადი ბიზნეს სამყაროსთვის რეალური მომზადების უზრუნველსაყოფად, სასურველია პროგრამის ან შესაბამისი კურსების გამდიდრება ისეთი თემებით/საკითხებით, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციულ განვითარებასა და ცვლილებების მართვას; რისკების ან/და კრიზისების მართვას; ხარისხის მენეჯმენტს; ორგანიზაციულ ლიდერობას (და ა.შ.), რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე ბიზნეს ოპერაციებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- 1.5.1. სასურველია პროექტების მართვის საფუძვლების კურსისთვის წინაპირობად განისაზღვროს ოპერაციების მართვის საფუძვლები;
- 2.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს უნივერსიტეტში მოქმედ დაგეგმვის მექანიზმსა და მეთოდოლოგიას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველსაყოფად;
- 2.2.1. სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
- 2.2.2. სასურველია, სასწავლო პროგრამების 1-2 კურსს შეფასების სავალდებულო კომპონენტად დაემატოს სემესტრული პროექტი;
- 2.2.3. სასურველია, პრაქტიკის/სტაჟირების კომპონენტი გახდეს სავალდებულო.
- 4.1.1. სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს აკადემიური პერსონალის შენარჩუნებას.
- 4.1.2 სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამებისთვის;

პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS
რეკომენდაციები:

- 1.4.1. რეკომენდებულია ისეთი კურსების შემოღება, რომლებიც მოიცავს ბიზნეს კანონმდებლობისა და დაბეგვრის საკითხებს;
- 1.4.2. რეკომენდებულია კურსი "მენეჯერული ეკონომიკა" იყოს სავალდებულო;
- 1.4.3. რეკომენდებულია შემოღებულ იქნას კურსი პროექტის მართვა, რომელსაც მოჰყვება კურსი Agile IT პროექტების მართვა;
- 1.4.4. რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების II საფეხურთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან, იხილეთ https://eqe.ge/en/page/static/1028/biznesi-administrireba-da-samartali.
- 4.1.2. რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი.

რჩევები:

- 2.2.1. სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა უნივერსიტეტის კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.
- 4.1.1. სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს აკადემიური პერსონალის შენარჩუნებას.
- 4.1.2 სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამებისთვის;

პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS
რეკომენდაციები

- 1.4.1. რეკომენდებულია პროგრამის შედეგების განახლება მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. პროგრამაში უნდა დაემატოს კურსი, რომლის შედეგი იქნება - დამოუკიდებლად იღებს ინფორმირებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით;
- 1.4.2. რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების II საფეხურთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან, იხილეთ https://eqe.ge/en/page/static/1028/biznesi-administrireba-da-samartali.
- 1.5.1. რეკომენდებულია, რომ კვლევის მეთოდების კურსი თანაბარ დროს უთმობდეს რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევის მეთოდებს;
- 4.1.2. რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი.

რჩევები:

- 2.2.1. სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა უნივერსიტეტის კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.
- 4.1.1. სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს აკადემიური პერსონალის შენარჩუნებას.

- 4.1.2 სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამებისთვის;

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS
რეკომენდაციები:

- 1.4.1 რეკომენდებულია პროგრამის განახლება ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. პროგრამაში უნდა დაემატოს კურსი, რომლის შედეგი იქნება - დამოუკიდებლად ავითარებს და/ან მართავს პროექტებს უცხო და მულტიდისციპლინურ გარემოში;
- 1.4.2. რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების II საფეხურთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან, იხილეთ https://eqe.ge/en/page/static/1028/biznesi-administrireba-da-samartali.
- 4.1.2. რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი.

რჩევები:
- 2.2.1. სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა უნივერსიტეტის კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.
- 4.1.1. სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს აკადემიური პერსონალის შენარჩუნებას.
- 4.1.2 სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამებისთვის;

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა 30 ECTS
რეკომენდაციები:

- 1.4.1. რეკომენდებულია კურსების დამატება, რომლებიც მოიცავს სწავლებისა და შეფასების მეთოდებს უმაღლეს განათლებაში;
- 1.4.2. რეკომენდებულია ისეთი კურსების დამატება, რომლებიც უზრუნველყოფს ფართო, მრავალმხრივი ბიზნესის ადმინისტრირების კვლევისა და ცოდნის შექმნის კომპეტენციების მიღწევას;
- 1.4.3. რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას, რომ დოქტორანტებს ჰქონდეთ და გადიოდნენ კურსებს, რომლებიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევის მეთოდებს;
- 1.5.1. რეკომენდებულია ისეთი კურსების ან კომპონენტების შემოღება, რომლებიც განავითარებს უნარებს ბიზნესის ადმინისტრირების სხვა სფეროებში, რომლებიც არ წარმოადგენს დოქტორანტების კვლევის ძირითად მიმართულებებს;
- 2.2.1 რეკომენდებულია კვლევის მეთოდებისა და სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდების კურსების სავალდებულოდ შემოღება;
- 2.2.2 რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ისეთი სავალდებულო აქტივობების შემოღება, სადაც დოქტორანტებს მოეთხოვებათ თავიანთი კვლევის წარდგენა და კვლევაზე უკუკავშირის მიღება.

რჩევა

- 1.4.1. სასურველია, სადოქტორო კვლევის მაღალი ხილვადობის უზრუნველსაყოფად, დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტებს მოეთხოვებოდეთ ერთზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია და კონფერენციებში უფრო აქტიური მონაწილეობა.

<u>კლასტერული რჩევები</u>

- 1.3.1. სასურველია, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- 1.3.2. სასურველია, რომ სამიზნე მაჩვენებლები (სტუდენტების 50% აღწევს კონკრეტული კომპონენტის მაქსიმალური შეფასების 50%-ზე მეტს) გაიზარდოს უფრო მაღალი ხარისხის სტანდარტების უზრუნველსაყოფად;
- 1.3.3. სასურველია, რომ პროცესის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ, რომ სილაბუსში მოცემული შეფასების ინსტრუმენტის რუბრიკები ზუსტად და სანდოდ ზომავდეს დასახულ სწავლის შედეგებს;
- 2.3.1 სასურველია, არსებულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა სრულად განახორციელონ პროგრამის სწავლება - სწავლის მეთოდები;
- 3.1.1 სასურველია სტუდენტური სერვისების მრავალფეროვნების გაზრდა მათი საჭიროებებისა და სურვილების კვლევის საფუძველზე, იმისთვის რომ სერვისები მორგებული იყოს სხვადასხვა ტიპის სტუდენტზე და არ იყოს ყველასთვის ერთნაირი მიდგომა გამოყენებული;
- 3.2.1 სასურველია, კვლევითი კომპონენტების გაძლიერება როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო პროგრამებზე, განსაკუთრებით სტუდენტთა ნაშრომების ხარისხის ასამაღლებლად;
- 4.3.1 სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მთელ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს თავიანთი სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმაზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate;
- 4.4.1. სასურველია, მეტი ქართულენოვანი სასწავლო მასალის („რიდერის“) უზრუნველყოფა სტუდენტთა წარმატების, მხარდაჭერისა და განვითარებისთვის;
- 5.1.1 სასურველია, კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფის წევრებად სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უშუალო მონაწილეობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. ქართულ და ინგლისურენოვანი 180 კრედიტიანი (ECTS) პროგრამების შემოღება;
2. სადოქტორო დონეზე აკადემიური/სამეცნიერო წერის კურსის კონცეფცია და მუშაობის პრინციპები;
3. სადოქტორო პროგრამისთვის საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა;
4. სადოქტორო პროგრამის სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა;
5. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის კარგად შემუშავებული სახელმძღვანელო;
6. ნაყოფიერი და ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის;
7. ბიზნესის სკოლის დეპარტამენტის წევრები არიან არა მხოლოდ გუნდი, არამედ თემი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს და იზიარებს 'ხარისხის' საერთო ხედვას, რაც ერთმანეთის შთაგონებისა და

მოტივაციის წყაროა.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ილიას უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია წარმოდგენილ დასკვნის პროექტის თაობაზე და დაასკვნა შემდეგი:

- პირველი სტანდარტის ზოგადი შეფასება ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამისთვის არის "მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს". წინა ანგარიშში იყო ტექნიკური შეცდომა;
- ვეთანხმებით უნივერსიტეტის მოსაზრებას, რომ რეკომენდაცია 1.4.1 არ ვრცელდება მთელ კლასტერზე, რადგან არ ეხება სადოქტორო პროგრამას. რეკომენდაცია გადატანილ იქნა სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების ზოგად რეკომენდაციებში;
- საბაკალავრო პროგრამებისთვის რეკომენდაცია 2.2.1-ის უფრო მკაფიოდ წარმოსადგენად, ის ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა: "2.2.1 რეკომენდებულია საბოლოო სადიპლომო ნაშრომის წარდგენა ან სხვა მექანიზმების შექმნა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რათა დაკმაყოფილდეს სტანდარტის მოთხოვნები;".
- ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის პოზიციას რეკომენდაციებთან დაკავშირებით 4.1.1., 4.1.2 და 4.1.3. ეს იყო ტექნიკური შეცდომა. რეკომენდაციები 4.1.1. და 4.1.2 გადავიდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რჩევებში, ხოლო რჩევა 4.1.3 ამოღებულ იქნა;
- 2.1 ქვესტანდარტში, ექსპერტთა ჯგუფმა, მოახდინა გაანალიზებული პროგრამების ადაპტირება და წარმოადგინა სხვა რედაქციით, სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებლისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობის პროპორციების მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას სხვა საკითხებთან დაკავშირებით და გაცემული რეკომენდაციები რჩება ძალაში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესში განხორციელდა მრავალი ცვლილება და დაიხვეწა მათი მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა და შინაარსი. ეს ცვლილებები ძირითადად განპირობებული იყო ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი, სწავლის სფეროების კლასიფიკატორითა და დარგობრივი მახასიათებლებით. ამასთან, არსებული კურსები ადაპტირებულ იქნა უახლესი მიღწევებისა და სპეციალიზებული ცოდნის გათვალისწინებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სავალდებულო კურსების რაოდენობის ზრდა სწავლების ყველა საფეხურზე, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში, ასევე ცალკეულ შემთხვევებში პრაქტიკული და სტაჟირების კურსების დამატება. გარდა ამისა, კონკრეტული კურსების გამდიდრებამ ახალი აკადემიური და მოწვეული პერსონალით გაამრავალფეროვნა პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელი გუნდი, რომელმაც შემოიტანა მრავალმხრივი ცოდნა და გამოცდილება.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[2]
2. კლასტერული შეფასება[3]

სტანდარტი/კომპონენტი	**შეფასების მიდგომები**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	

[2] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[3] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში შედის შემდეგი პროგრამები: 1. საბაკალავრო პროგრამა: „მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)“ 2. საბაკალავრო პროგრამა: „მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)“ (ინგლისურენოვანი) 3. საბაკალავრო პროგრამა: „მენეჯმენტი“ 4. საბაკალავრო პროგრამა: „მენეჯმენტი“ (ინგლისურენოვანი) 5.

სამაგისტრო პროგრამა: „მენეჯმენტი“ 6. სამაგისტრო პროგრამა: „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ 7. სამაგისტრო პროგრამა: „ბიზნესის ადმინისტრირება“ (ინგლისურენოვანი) 8. სადოქტორო პროგრამა: „ბიზნესის ადმინისტრირება“.

კლასტერის პროგრამების მიზნები, რომლებიც მორგებულია თითოეული პროგრამის უნიკალურ მახასიათებლებსა და საგანმანათლებლო დონეებზე, შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის ძირითად პრინციპებს, რაც გულისხმობს ცოდნის შექმნას, გავრცელებასა და გამოყენებას საზოგადოებისა და მეცნიერების წინსვლისთვის. აღსანიშნავია, რომ პროგრამები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დარგისა და ზოგადად საზოგადოების განვითარებაში, რადგან ისინი ქმნიან მყარ საფუძველს საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის და საზოგადოებრივი პროცესების მართვისა და კვლევისთვის.

გარდა ამისა, თითოეული პროგრამა შეესაბამება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრატეგიას, რომელიც ორიენტირებულია მაღალკონკურენტული და მოთხოვნადი პროფესიონალების მომზადებაზე, რომლებიც აღჭურვილნი არიან დღევანდელი სწრაფად ცვალებადი, დინამიური გარემოსთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით და შეუძლიათ წარმატებით განახორციელონ ადმინისტრაციული და/ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა კორპორაციულ, აკადემიურ, საჯარო თუ არასამთავრობო სექტორებში.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადია. თითოეული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო გეგმებში ნათლადაა განსაზღვრული როგორც დარგობრივი კომპეტენციები, ასევე ტრანსფერული უნარები. აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ფართო, დარგობრივი ცოდნის შეძენასა და პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რაც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მოსამზადებლად, ასევე აკადემიურ სივრცეში ნავიგაციისა და სწავლის უფრო მაღალ საფეხურზე გაგრძელებისთვის. სამაგისტრო პროგრამები კი ორიენტირებულია კონკრეტული სფეროს სპეციალიზაციაზე, ღრმა ცოდნის შეძენასა და კვლევითი უნარების განვითარებაზე. სადოქტორო პროგრამა ფოკუსირებულია დარგში ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებაზე კვლევების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით, გამოყენებულ იქნა ხარისხის გარე შეფასების მექანიზმი - შრომის ბაზრის კვლევა. ამისთვის ჩატარდა ფოკუს ჯგუფები პოტენციურ დამსაქმებლებთან და პროგრამების შეფასება განახორციელა განახლებულმა სამეთვალყურეო საბჭომ, რომელიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა კომპანიაში მმართველ პოზიციებზე მომუშავე პირებით. სამეთვალყურეო საბჭოსა და დამსაქმებლების მიერ მოწოდებული უკუკავშირი გამოყენებულ იქნა კლასტერის პროგრამების შემუშავება/განახლებისას. შემფასებლებმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების ხელშეწყობის საჭიროებასა და სტუდენტების დარგში თანამედროვე/განახლებული ცოდნით აღჭურვაზე.
სწავლების თანამედროვე ტენდენციებთან სინქრონიზაციისა და პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ფაკულტეტმა გამოიყენა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და საერთაშორისო

ექსპერტების კოლეგიალური შეფასება. ამასთანავე, სამაგისტრო პროგრამის: "ბიზნესის ადმინისტრირება" (ინგლისურენოვანი) შემუშავების პროცესში განხილული და დადგენილი იქნა პროგრამის შესაბამისობა პარტნიორი ავსტრიული უნივერსიტეტის (ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი) სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

გარდა ამისა, კლასტერი მოიცავს საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამებს: "მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)" და "მენეჯმენტი", რომლებზეც ადგილობრივ სტუდენტებთან ერთად ხდება საერთაშორისო სტუდენტების მიღება. სამაგისტრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება" შემუშავებულია და ხორციელდება ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან (ავსტრია) თანამშრომლობით და როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტუდენტებს აძლევს ორივე უნივერსიტეტის ორმაგი ხარისხის მიღების შესაძლებლობას.

ამასთან, აღნიშნული პროგრამის პარტნიორ ავსტრიულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში პერიოდულად ხორციელდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი ვიზიტები და იმართება აკადემიური ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო კავშირების დამყარებასა და გამოცდილების გაზიარებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფოლკსვაგენის ფონდისა და გეტინგენის გეორგ-აუგუსტის უნივერსიტეტის მხარდაჭერით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საერთაშორისო სადოქტორო სკოლა: https://internationaldoctoralschool.iliauni.edu.ge/. სკოლის მიზანია ერთობლივი საერთაშორისო სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განვითარება/განხორციელება და არსებული სადოქტორო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, რაც ხორციელდება დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალის/მკვლევარების პარტნიორ უნივერსიტეტში მობილობის ხელშეწყობით, ასევე საერთაშორისო თანახელმძღვანელობის უზრუნველყოფით და სრულდება ორმაგი კვალიფიკაციის მიღებით.

პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია (მიზნები, შედეგები, კურსების კატალოგი და სემესტრული გეგმა, მიღების დოკუმენტაცია და სხვ.) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge, რითაც უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. საერთაშორისო აპლიკანტებს, რომლებსაც სურთ ინგლისურენოვან პროგრამებზე ჩარიცხვა, შეუძლიათ შესაბამისი ინფორმაცია იხილონ ვებგვერდზე: https://iliauni.edu.ge/en/international ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მედიის პლატფორმებზე. გარდა ამისა, პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია უმაღლესი განათლების პროგრამების სხვადასხვა პლატფორმაზე (Times Higher Education, Bachelor Studies, Educations.com და სხვ.) და ასევე გაზიარებულია სხვადასხვა ინსტიტუტის/ორგანიზაციის საგარეო ურთიერთობების სამსახურის კონსულტანტებთან.

აღწერა და ანალიზი -

პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS

პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS

მენეჯმენტის ორივე საბაკალავრო პროგრამის მიზნები იდენტურია, რადგან ისინი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებისთვის ერთი და იმავე კვალიფიკაციის მინიჭებას (განსხვავებულია მხოლოდ პროგრამის განხორციელების ენა). პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია, რომელიც ასახავს ბიზნესისა და მენეჯმენტის მიმართულებით საბაკალავრო დონის განათლების სპეციფიკურ მოთხოვნებს. ზოგადად, მიზნები ასახავს შრომის ბაზრის (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო) ზოგად მოთხოვნებს და ითვალისწინებს გლობალურ ბიზნეს გარემოში ტრანსფერული უნარებისა და ადაპტირების უნარის საჭიროებებს. ამასთან, ისინი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ორიენტირებულია სტუდენტების ლიბერალური ღირებულებებით, ეფექტური მენეჯმენტისა და პროფესიული კარიერისთვის საჭირო აუცილებელი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვაზე. გარდა ამისა, თითოეული პროგრამა ცდილობს წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში ფართო ცოდნის და ბიზნეს გამოწვევებთან გამკლავების უნარის მქონე კურსდამთავრებულების მომზადებით. ამრიგად, ორივე პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს კომპეტენტური პროფესიონალები, რომლებსაც შეეძლებათ მმართველობითი პოზიციებისა და ლიდერული როლების დაკავება სწრაფად მზარდ და მაღალკონკურენტულ ბიზნეს გარემოში, რომლებიც:

- აღჭურვილნი იქნებიან ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ცოდნითა და უნარებით;
- შეეძლებათ მეწარმეობის პრინციპების საფუძვლიანი გააზრება;
- გამოავლენენ კრიტიკული და ინოვაციური აზროვნების უნარს ბიზნეს გამოწვევების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის.

ორივე პროგრამა ქმნის საფუძველს კურსდამთავრებულებისთვის წარმატებული პროფესიული კარიერის მისაღწევად და/ან უფრო მაღალ საფეხურზე აკადემიური საქმიანობის გასაგრძელებლად. თითოეული პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას პრაქტიკულ აქტივობებში, რაც მათ საშუალებას აძლევს დახვეწონ და გააუმჯობესონ პროფესიული კომპეტენციები და შეიძინონ ბიზნეს ეთიკის ასპექტების მნიშვნელოვანი ცოდნა. პროგრამის აქცენტი პრაქტიკულ და თეორიულ ასპექტებზე, პროფესიულ ეთიკასა და ტრანსფერულ უნარებთან შესაბამისობასთან ერთად, აჩვენებს მის შესაბამისობას აკრედიტაციის მოთხოვნებთან.

გარდა ამისა, პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს გააფართოვონ თავიანთი შემეცნებითი და ინტელექტუალური ჰორიზონტი და განავითარონ ტრანსფერული უნარები, როგორიცაა არგუმენტაცია, რაოდენობრივი მსჯელობა, ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციის უნარები და აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული კომპეტენციები.

პროგრამის მიზნების გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა კიდევ უფრო აჩვენებს მის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კარგ მომზადებას ბიზნეს სექტორში მმართველობითი საქმიანობისა და მენეჯერული ფუნქციებისთვის. მხარდამჭერი დოკუმენტები, მათ შორის თვითშეფასების ანგარიში (თშა), პროგრამების აღწერილობები და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

პროგრამა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

უნდა აღინიშნოს, რომ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების (ძირითადი სპეციალობა), 240 ECTS მიზნები მეორდება მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების (180 ECTS) მიზნებში და არ განსაზღვრავს იმ ძირითად პუნქტებს, რითაც 240 ECTS ძირითადი სპეციალობის პროგრამები განსხვავდება 180 ECTS საბაკალავრო პროგრამებისგან. ორივე პროგრამის მიზანია მოამზადოს კომპეტენტური პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ დაიკავონ მენეჯერული პოზიციები და ლიდერული როლები სწრაფად მზარდ და მაღალკონკურენტულ ბიზნეს გარემოში, რომლებიც:

- აღჭურვილნი იქნებიან ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ცოდნითა და უნარებით;
- შეეძლებათ მეწარმეობის პრინციპების საფუძვლიანი გააზრება;
- გამოავლენენ კრიტიკული და ინოვაციური აზროვნების უნარს ბიზნეს გამოწვევების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის.

ორივე საბაკალავრო პროგრამა ქმნის საფუძველს კურსდამთავრებულებისთვის წარმატებული პროფესიული კარიერის მისაღწევად და/ან უფრო მაღალ საფეხურზე აკადემიური საქმიანობის გასაგრძელებლად. ისინი (როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა მენეჯმენტში) უზრუნველყოფენ სტუდენტების აქტიურ ჩართულობას პრაქტიკულ აქტივობებში, რაც მათ საშუალებას აძლევს დახვეწონ და გაიუმჯობესონ პროფესიული კომპეტენციები და შეიძინონ ბიზნეს ეთიკის ასპექტების მნიშვნელოვანი ცოდნა.

გარდა ამისა, პროგრამები საშუალებას აძლევს სტუდენტებს გააფართოვონ თავიანთი შემეცნებითი და ინტელექტუალური ჰორიზონტი და განავითარონ ტრანსფერული უნარები, როგორიცაა არგუმენტაცია, რაოდენობრივი მსჯელობა, ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციის უნარები და აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული კომპეტენციები.

მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტის ყველა საბაკალავრო პროგრამის მიზნები განსაზღვრულია როგორც მიღწევადი და ლოგიკურად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ისინი არ შეიცავს საკმარის სპეციფიკურ ინფორმაციას, რომელიც ნათლად მიუთითებს ამ საბაკალავრო პროგრამების უნიკალურ მახასიათებლებს ან კონკურენტულ უპირატესობებს სხვა პროგრამებთან შედარებით. უფრო მეტიც, ამ 180 ECTS საბაკალავრო პროგრამის მიზნებში არ არის გამოკვეთილი ძირითად პუნქტები, რომლებიც განასხვავებს მენეჯმენტში 180 ECTS საბაკალავრო პროგრამებს 240 ECTS ძირითადი სპეციალობის საბაკალავრო პროგრამისგან.

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

სამაგისტრო პროგრამა "მენეჯმენტი" მიზნად ისახავს მოამზადოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალები, რომლებიც აღჭურვილნი არიან უახლესი ცოდნითა და უნარებით, ერგებიან მუდმივად განვითარებად და რთულ თანამედროვე ბიზნეს გარემოს და შეუძლიათ განახორციელონ ეფექტური პროფესიული საქმიანობა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში, რომელიც ეფუძვნება ღრმა და სისტემატურ, ემპირიულ და პრაქტიკულ ცოდნას.

კურსდამთავრებულებს:

- განვითარებული აქვს წარმატებული ლიდერისთვის აუცილებელი ეფექტური ინტერპერსონალური და პროფესიული უნარ-ჩვევები;
- აღჭურვილნი არიან ცვლილებების მართვისთვის შესაბამისი კომპეტენციებით;
- შეუძლიათ ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული რთული პრობლემების გადაჭრა მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებისა და ტექნიკის გამოყენებით;
- მოქმედებენ ეთიკური პრინციპების დაცვით.

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

სამაგისტრო პროგრამის მიზანია აღზარდოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც ორიენტირებულია ჯანდაცვის სისტემების დინამიურ გამოწვევებსა და მუდმივად ცვალებად ბიზნეს გარემოზე და შეუძლია ეფექტურად უპასუხოს დარგის მზარდ მოთხოვნებს. მიღებული სისტემური თეორიული, ემპირიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია:

- იმოქმედოს როგორც კომპეტენტურმა და დამოუკიდებელმა სპეციალისტმა, რომელსაც შეუძლია ჯანდაცვის სისტემის მართვის პოლიტიკის განსაზღვრა და ეფექტური განხორციელება;
- დამოუკიდებლად იმუშაოს სტრატეგიულ დაგეგმვაზე, ოპერაციულ მართვასა და ჯანდაცვის ორგანიზაციის განვითარებაზე;
- დამოუკიდებლად გამოავლინოს და გააანალიზოს ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციებისა და პოლიტიკის წინაშე არსებული გამოწვევები/პრობლემები და შეიმუშაოს მნიშვნელოვანი შედეგებისა და ეფექტური გადაწყვეტილებების მექანიზმები და შესაძლებლობები;
- დაასაბუთოს/დაადასტუროს პროფესიულ და აკადემიურ სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებები და მიღწეული შედეგები.

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

პროგრამა ამზადებს ინტელექტუალურად ცნობისმოყვარე პროფესიონალებსა და მრავალმხრივ განვითარებულ მომავალ ლიდერებს თანამედროვე, განახლებული და ემპირიულად დადასტურებული ბიზნეს ადმინისტრირების ცოდნითა და უნარებით, რათა:

- შექმნან თამაშის წესების შემცვლელი გავლენა სამუშაო გარემოში;
- მიიღონ კრეატიული და სანდო გადაწყვეტილებები კომპლექსური რეალური ბიზნეს პრობლემებისთვის;
- თავდაჯერებულად წარმართონ საქმიანობა გაურკვეველ ვითარებაში, ახალი გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე.

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამაში ავსტრიის ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან. ორივე უნივერსიტეტის მიერ დაწესებული მოთხოვნების წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, სტუდენტები მიიღებენ ორმაგ სამაგისტრო ხარისხს - როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისე ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის დიპლომს.

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS

პროგრამის მიზანია მოამზადოს ახალი თაობის მკვლევრები, რომლებსაც შეუძლიათ:

- ინოვაციური კვლევების წარმოება ბიზნესის ადმინისტრირების უახლესი მეთოდოლოგიების გამოყენებით, რათა გააფართოონ არსებული სამეცნიერო ცოდნა დარგში ან შექმნან ახალი ცოდნა;
- კვლევის შედეგების გავრცელება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში და საკუთარი თავის კონკურენტუნარიანად წარმოჩენა როგორც აკადემიურ სფეროში, ისე შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებში (მაგ., კერძო, სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორში), რომელთა საქმიანობაც ფართოდ იყენებს უახლესი კვლევების შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კურიკულუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა/ები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა პანელის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS

პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS

პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

რეკომენდაციები:

- 1.1.1. რეკომენდებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების მკაფიოდ განსაზღვრული მიზნების შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება თითოეული საბაკალავრო პროგრამის (180

ECTS და 240 ECTS) უნიკალურობისა და კონკურენტული უპირატესობების წარმოჩენისკენ და მკაფიოდ გამოკვეთს იმ ძირითად მახასიათებელს, რითაც მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამები (ძირითადი სპეციალობა, 240 ECTS) განსხვავდება მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამებისგან (180 ECTS).

შეფასება

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბა კალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი),	x	☐	☐	☐

სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS				
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

სწავლის შედეგები კლასტერის პროგრამებში შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში.

კლასტერის პროგრამების სწავლის შედეგები არსებითად ეფუძნება მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს, ასევე სხვა სექტორულ სტანდარტებსა და მახასიათებლებს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისობას დარგის სპეციფიკასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს. კერძოდ, კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები ავლენს არსებით შესაბამისობას სწავლის შედეგების 1.2 კომპონენტთან და აკმაყოფილებს აკრედიტაციისთვის საჭირო ძირითად მოთხოვნებს.

საბაკალავრო პროგრამების აგებულება უზრუნველყოფს, რომ სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს და სათანადოდ ასახავს მათი შესაბამისი სწავლის სფეროების თავისებურებებს. ზოგადად, სწავლის შედეგები არსებითად მოიცავს იმ აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობას, რომელთა შეძენაც მოსალოდნელია სტუდენტებისგან პროგრამის დასრულებისას და ამზადებს კურსდამთავრებულებს სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციაში შესაბამისი პოზიციებისთვის. სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. ისინი შესაბამისობაშია კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან, დეტალურ დარგობრივ აღმწერებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან.

საბაკალავრო პროგრამების "მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)", "მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)" (ინგლისურენოვანი), "მენეჯმენტი (180 ECTS)" და "მენეჯმენტი (180 ECTS)" (ინგლისურენოვანი) სწავლის შედეგები იდენტურია, კლასტერში შემავალი პროგრამები

უზრუნველყოფს ერთსა და იმავე საბაზისო, ფუნდამენტურ ცოდნას დარგში, მაშინ როცა სამაგისტრო პროგრამების - "მენეჯმენტი", "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი", "ბიზნესის ადმინისტრირება" (ინგლისურენოვანი), სწავლის შედეგები პრიორიტეტად ისახავს დარგის ფუნდამენტური პრინციპების ყოვლისმომცველი, ღრმა ცოდნის დემონსტრირებას, პრობლემების გადაჭრასა და დამოუკიდებელი კვლევისთვის საჭირო კვლევითი უნარების განვითარებაზე ფოკუსირებით. რაც შეეხება "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამას, მისი სწავლის შედეგები ორიენტირებულია უახლესი კვლევითი მეთოდოლოგიის გამოყენებით დარგში ინოვაციური კვლევების დამოუკიდებელ დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

პროგრამის შინაარსი, მისი სტრუქტურა და ყველა კომპონენტის ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება თითოეული პროგრამის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების რუკით. პროგრამის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამების სწავლის შედეგები მკაფიოდ განსაზღვრავს დარგის თითოეული დონისთვის სპეციფიკურად საჭირო ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობებსა და ავტონომიურობის ხარისხს.

პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა თანდათანობით, პროგრამების სამუშაო ჯგუფების აქტიური ჩართულობით, რომელშიც შედიოდნენ პროგრამების ხელმძღვანელები, მათ განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, დარგობრივი მახასიათებლებისა და სტანდარტების გარდა, თითოეულმა აკადემიურმა პროგრამამ გაითვალისწინა სტუდენტების, კურსდამთავრებულების, საკონსულტაციო საბჭოების, პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვების შედეგები და მათი რეკომენდაციები.

სწავლის შედეგების განსაზღვრისას პროგრამის სამუშაო ჯგუფებმა ასევე გაითვალისწინეს დარგის საჭიროებები, თანამედროვე სტანდარტები და მოთხოვნები, საერთაშორისო პრაქტიკა, რის შედეგადაც პრიორიტეტი მიენიჭა პრაქტიკული უნარების განმავითარებელ აქტივობებსა და კომპონენტებს.

პროგრამების სწავლის შედეგების ყველა დაინტერესებული მხარისთვის (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, პარტნიორები და სხვები) გასაცნობად, პროგრამების სასწავლო გეგმები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და რეგულარულად ახლდება მათში შეტანილი ცვლილებების ასახვის მიზნით. საერთაშორისო აპლიკანტებს, რომლებსაც სურთ ინგლისურ პროგრამებზე ჩარიცხვა, შეუძლიათ იპოვონ ყველა დაკავშირებული ინფორმაცია ვებსაიტზე: https://iliauni.edu.ge/en/international ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მედიის პლატფორმებზე. გარდა ამისა, პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა პლატფორმაზე (Times Higher Education, Bachelor Studies, Educations.com და სხვა) და ასევე მიეწოდება სხვადასხვა ინსტიტუტის/ორგანიზაციის საგარეო ურთიერთობების სამსახურებს.

აღწერა და ანალიზი -

პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS

პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება მის მიზნებს და უზრუნველყოფს სტუდენტების აღჭურვას თანამედროვე მენეჯმენტის თეორიებისა და ბიზნესის ფუნდამენტური დისციპლინების სიღრმისეული ცოდნით; ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპებისა და ფუნქციების საფუძვლიანი გააზრებით; სხვადასხვა ტიპისა და სტრუქტურის ორგანიზაციების საქმიანობაზე მოქმედი გარემო ფაქტორების გამოვლენისა და ანალიზის უნარით, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე.

გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ აღწერონ ბიზნესის დაგეგმვის ეტაპები, გააანალიზონ ბიზნეს გარემო და კრიტიკულად გაიაზრონ მიმდინარე ბიზნეს მოვლენები; შეასრულონ მენეჯერულ პოზიციასთან დაკავშირებული ფუნქციები, რაც მოითხოვს აქტიურ ჩართულობას ორგანიზაციის სტრატეგიების, ოპერაციების, პროექტებისა და ინიციატივების მართვაში; გამოავლინონ მეწარმეობისთვის საჭირო ძირითადი ცოდნა და უნარები, რაც უზრუნველყოფს ახალი პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებას კონკურენტულ ბაზარზე, და ა.შ.

გარდა ამისა, სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შრომის ბაზრის მნიშვნელოვან მოთხოვნებს.

უნარების განვითარება წარმოადგენს ამ პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტს, რადგან სტუდენტები სწავლობენ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებას რთული ბიზნეს პრობლემების გადასაჭრელად. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სტანდარტული მეთოდების გამოყენებაზე ბიზნეს სიტუაციების გასაანალიზებლად და კარგად დასაბუთებული დასკვნების მოსამზადებლად. პროგრამაში ასევე პრიორიტეტულია კომუნიკაციის უნარების განვითარება - სტუდენტებმა უნდა შეძლონ თავიანთი პრეზენტაციებისა და/ან პრაქტიკული პროექტების ეფექტურად წარდგენა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. პრაქტიკულ გამოყენებასა და კომუნიკაციაზე ასეთი აქცენტი უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულები როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ისე განათლების უფრო მაღალ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა პროგრამის განუყოფელი კომპონენტებია, რადგან სტუდენტები წახალისებულნი არიან ბიზნეს საქმიანობა წარმართონ ეთიკური და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით. პროგრამა ასევე ხაზს უსვამს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ხელმძღვანელობს სტუდენტებს მოახდინონ საკუთარი ან სხვა საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება და მომავალი ზრდის დაგეგმვა.

აღსანიშნავია, რომ ეს საბაკალავრო პროგრამა განსაზღვრავს ცხრა სწავლის შედეგს, რომლებიც სრულად ასახავს მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს. კურსდამთავრებული:

1. ავლენს თანამედროვე მენეჯმენტის თეორიებისა და ბიზნესის ფუნდამენტური დისციპლინების ზოგად და ფართო ცოდნას;

2. აყალიბებს და აანალიზებს სხვადასხვა ტიპისა და სტრუქტურის ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე მოქმედ დინამიურ გარემო ფაქტორებს როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე;
3. ასრულებს მენეჯერული პოზიციისთვის შესაფერის ფუნქციებს, რაც მოითხოვს აქტიურ ჩართულობას ორგანიზაციის სტრატეგიების, ოპერაციების, პროექტებისა და ინიციატივების მართვაში.
4. მოიძიებს და აგროვებს საჭირო მონაცემებს სხვადასხვა რელევანტური წყაროდან, ახორციელებს მათ ანალიზს და იყენებს რთული პრობლემების გადასაჭრელად გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად;
5. არჩევს და იყენებს ინოვაციებსა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ბიზნეს პროცესების ეფექტური მართვისთვის;
6. ავლენს მეწარმეობისთვის საჭირო ძირითად ცოდნასა და უნარებს, რაც უზრუნველყოფს ახალი პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებას კონკურენტულ ბაზარზე;
7. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს;
8. ამყარებს ეფექტურ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან;
9. განსაზღვრავს როგორც საკუთარ, ისე სხვების განვითარების საჭიროებებს და აქტიურად მონაწილეობს ამ საჭიროებების ეფექტურად გადაჭრისთვის შესაბამისი ქმედებებისა და სტრატეგიების დაგეგმვაში.

პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS

პროგრამის სწავლის შედეგები იდენტურია ზემოთ აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებისა, ვინაიდან ამ პროგრამებს შორის მთავარი განსხვავება არის სწავლების ენა და მასთან დაკავშირებული საკითხები. საბაკალავრო პროგრამა აყალიბებს ცხრა სწავლის შედეგს, რომლებიც ასახავს მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს.

პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

მენეჯმენტის 180 კრედიტიან საბაკალავრო პროგრამას გააჩნია იდენტური სწავლის შედეგები, რაც ზემოთ აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამას მენეჯმენტში (ძირითადი სპეციალობა). შესაბამისად, 9 სწავლის შედეგი, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა, შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ბიზნესის მართვის სფეროს სპეციფიკას და განსაზღვრავს აუცილებელ ცოდნასა და გაცნობიერებას, ძირითად უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელთა მიღწევაც მოსალოდნელია სტუდენტებისგან პროგრამის დასრულების შემდეგ, რაც თანხვედრაშია კვალიფიკაციის დონესა და დარგობრივ მოთხოვნებთან. უფრო მეტიც, ეს შესაბამისობა აშკარად ჩანს იმაში, თუ როგორ უსვამს პროგრამა ხაზს თანამედროვე მენეჯმენტის თეორიების გააზრებას, ბიზნეს სიტუაციების ანალიზს და ბიზნეს გარემოში კრიტიკული მსჯელობის გამოყენებას.

თითოეული სასწავლო კურსის მიზნების პროგრამის საერთო მიზნებთან შესაბამისობის აღწერა წარმოაჩენს სტრუქტურირებულ მიდგომას ამ სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამა მოიცავს

მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკას, რაც უზრუნველყოფს თითოეული კურსის წვლილს საერთო მიზნების მიღწევაში.

ვინაიდან სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია როგორც მიღწევადი და გაზომვადი, პროგრამის სტრუქტურა და სავალდებულო კურსები უზრუნველყოფს მათ არსებითად მიღწევას.

სტანდარტთან შესაბამისობის თვალსაზრისით, 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა მენეჯმენტში მეტწილად აკმაყოფილებს კრიტერიუმებს.

პროგრამა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

პროგრამის სწავლის შედეგები იდენტურია ზემოთ აღნიშნული საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგებისა. მათ შორის მთავარი განსხვავება სწავლის შედეგების თვალსაზრისით არის სწავლების ენა.

პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

სამაგისტრო პროგრამა განსაზღვრავს რვა სწავლის შედეგს, რომლებიც სრულად ასახავს მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს. კურსდამთავრებული:

1. ავლენს ბიზნესის ძირითადი ფუნქციური სფეროების კონცეფციების, თეორიების, თანამედროვე ტენდენციებისა და გამოწვევების ღრმა და სისტემურ ცოდნას;
2. აანალიზებს კომპლექსურ ბიზნეს პრობლემებს თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, ადგენს და აფასებს მათთან დაკავშირებულ რისკებს და შეიმუშავებს პოტენციურ გადაწყვეტილებებს ან გვთავაზობს შესაბამის ალტერნატივებს;
3. ასრულებს მენეჯერის პოზიციისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს, რაც მოიცავს ბიზნეს მოდელების, სტრატეგიების და პროექტების შემუშავებას, ასევე მათ განხორციელებასა და შეფასებას;
4. გეგმავს ორგანიზაციულ ცვლილებებს შიდა და გარე გარემოს გამოწვევებზე რეაგირებისათვის კრეატიული და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით;
5. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას დარგის თანამედროვე მიდგომებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით;
6. მოქმედებს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად და იცავს სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებს;
7. ამყარებს ეფექტურ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას იდეების, არგუმენტებისა და მოსაზრებების დამაჯერებლად და კომპეტენტურად გადაცემით როგორც პროფესიული, ისე აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლებთან;
8. იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ და გუნდის წევრების პროფესიულ განვითარებაზე.

პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

პროგრამა განსაზღვრავს ექვს სწავლის შედეგს, რომლებიც სრულად ასახავს მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრულ დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს. კურსდამთავრებული:

1. ავლენს ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სფეროს უახლესი თეორიების, კონცეფციების, ტენდენციებისა და გამოწვევების ღრმა და სისტემურ ცოდნას;
2. აანალიზებს და აფასებს ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტსა და პოლიტიკას, ასევე მათზე მოქმედ სხვადასხვა ლოკალურ თუ გლობალურ ფაქტორებს/რისკებს და შეიმუშავებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს/რეკომენდაციებს;
3. აფასებს სამედიცინო დაწესებულების ეფექტური მართვისათვის საჭირო ადამიანური, ფინანსური რესურსების, შესაბამისი კომუნიკაციის, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიებს და შეიმუშავებს მიდგომებს;
4. აანალიზებს და აფასებს სახელმწიფო და არასახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებს; დამოუკიდებლად გეგმავს/შეიმუშავებს შესაბამის პროგრამებსა და პროექტებს ბიოეთიკის პრინციპებისა და პაციენტთა უფლებების დაცვით;
5. გეგმავს და ახორციელებს დამოუკიდებელ კვლევას დარგის ინოვაციური მიდგომებისა და უახლესი მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით;
6. ამყარებს ეფექტურ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას როგორც ფართო, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან კარგად დასაბუთებული ვარაუდების, არგუმენტებისა და იდეების გადაცემით.

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

პროგრამა განსაზღვრავს ხუთ სწავლის შედეგს, რომლებიც ასახავს ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრულ დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს. კურსდამთავრებული:

1. ავლენს მყარ ცოდნას ბიზნესის ყველა ძირითადი დისციპლინური სფეროს მოწინავე კონცეფციებისა და თანამედროვე თეორიების შესახებ, მათ შორის ფინანსების, აღრიცხვის, ეკონომიკის, სტატისტიკისა და ბიზნეს ანალიტიკის, ბიზნეს სტრატეგიის, მარკეტინგის, პასუხისმგებლიანი მენეჯმენტისა და ოპერაციების მართვის მიმართულებით;
2. იყენებს ახალ ბიზნეს პრინციპებს და რაოდენობრივი და თვისებრივი მსჯელობის კომბინაციას ორგანიზაციული და რეალური სამყაროს აქტუალური, კომპლექსური ბიზნეს პრობლემების ინოვაციური, სარწმუნო, ეთიკური გადაწყვეტილებების უზრუნველსაყოფად;
3. ახორციელებს კვლევას ბიზნესის ადმინისტრირების კრიტიკული პრობლემების შესასწავლად, აგროვებს და აანალიზებს შესაბამის ბიზნეს მონაცემებს სათანადო მეთოდოლოგიების გამოყენებით;
4. ავლენს ეფექტური მართვის, ლიდერობისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს მრავალფეროვანი გუნდების მართვისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში მიზნების მისაღწევად;
5. ეფექტურად ავლენს პროფესიული წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარებს მრავალფეროვან აუდიტორიასთან.

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS

პროგრამა განსაზღვრავს ოთხ სწავლის შედეგს, რომლებიც ასახავს სადოქტორო საფეხურისთვის განსაზღვრულ დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული:

1. ავლენს ღრმა ცოდნას/გაცნობიერებას და კრიტიკულ ანალიზს ბიზნესის ადმინისტრირების შერჩეული კვლევითი მიმართულების უახლესი თეორიებისა და მიღწევების შესახებ;
2. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს ინოვაციურ კვლევას უახლესი კვლევითი მეთოდოლოგიის გამოყენებით აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
3. ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარებით უზიარებს ახალ ცოდნას სამეცნიერო საზოგადოებას, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში საკუთარი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებით;
4. ახდენს ცოდნის ტრანსფერს სააუდიტორიო მეცადინეობების წარმართვის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კურიკულუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა/ები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა პანელის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მენეჯმენტი, (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS,

პროგრამა 2 მენეჯმენტი, (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS,

პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

რეკომენდაციები:

- 1.2.1 რეკომენდებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების (ძირითადი სპეციალობა) და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (180 ECTS) სწავლის შედეგების გადახედვა ბაკალავრის ხარისხის მისაღებად საჭირო სწავლის შედეგებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გაღრმავება (განსაკუთრებით ოპერირების; ბაზრებისა და ფინანსების სფეროში), რომლებიც მითითებულია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში;

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა მენეჯმენტის კლასტერში არის ყოვლისმომცველი. იგი მოიცავს სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების რეგულარულ შეფასებას, სპეციფიკური სფეროს (მენეჯმენტი და ბიზნესის ადმინისტრირება) და აკადემიური საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) გათვალისწინებით. დოკუმენტაციაში მითითებულია, თუ როგორ იზომება თითოეული პროგრამის სწავლის შედეგები სასწავლო კურსების, სამეცნიერო კვლევისა და შეფასების მეთოდების მეშვეობით. გარდა ამისა, თითოეული სიტუაცია მოიცავს შეფასების განსაზღვრულ პერიოდს და ადგენს კონკრეტულ სამიზნე ნიშნულებს. კერძოდ, სავალდებულო შესავალი სასწავლო კურსებისთვის შემუშავებულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ეფექტურად ზომავს დარგში ყოვლისმომცველი ცოდნის ათვისების შედეგებს.

სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით, პროგრამების უმრავლესობაში, სტუდენტთა 50%-ზე მეტმა მიაღწია კონკრეტული კომპონენტისთვის დადგენილი მაქსიმალური შეფასების 50%-ზე მეტს. თუმცა, ვინაიდან ამ პროგრამების სწავლის შედეგები ჯერ არ შეფასებულა, რთულია ამ მოსალოდნელი რაოდენობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვნების დემონსტრირება. მართალია, სწავლის შედეგებისთვის უფრო მაღალი სამიზნე ნიშნულების დადგენა სასურველია, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები სტუდენტთა ნახევრის ჩაჭრის თავიდან ასაცილებლად.

ზემოაღნიშნული მექანიზმის ასახსნელად, განვიხილოთ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგის მაგალითი: "აყალიბებს და აანალიზებს სხვადასხვა ტიპისა და სტრუქტურის ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე მოქმედ დინამიურ გარემო ფაქტორებს როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე." წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ეს სწავლის შედეგი შეფასდება მაკროეკონომიკის

პრინციპების კურსის ფინალური გამოცდის მეშვეობით. გარდა ამისა, განსაზღვრულია, რომ შეფასება განხორციელდება მესამე სემესტრში (მას შემდეგ, რაც სტუდენტები დაასრულებენ აღნიშნულ კურსს), ხოლო სამიზნე ნიშნული დადგენილია იმგვარად, რომ სტუდენტთა 50%-მა მიაღწიოს ამ კომპონენტისთვის განსაზღვრული ქულის მინიმუმ 50%-ს. სილაბუსის მიხედვით, ფინალური გამოცდა შედგება 30 მრავალპასუხიანი კითხვისგან, რაც შესაძლოა სრულად ვერ აფასებდეს "ჩამოყალიბებისა" და "ანალიზის" უნარებს. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგების შეფასებაზე პასუხისმგებელმა პირებმა რეგულარულად უზრუნველყონ შეფასების რუბრიკების შესაბამისობა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან, რადგან ეს შესაბამისობა არა მხოლოდ საჭირო, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეფექტური შეფასებისთვის.

დოკუმენტებისა და გასაუბრებების საფუძველზე ცხადია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტი აქტიურად მონაწილეობდნენ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შექმნაში. მათი აქტიური ჩართულობა ხაზს უსვამს მათ მნიშვნელოვან როლს ამ პროცესში, ხოლო მათ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო წარმოადგენს სასარგებლო დოკუმენტსა და მხარდამჭერ ინსტრუმენტს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ მათი უმრავლესობა იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ეს მაჩვენებელი მოიცავდეს პროგრამის განმახორციელებელ ყველა პირს. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგების ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მექანიზმია, წარმოდგენილი დოკუმენტი ნათლად არ აჩვენებს, თუ როგორ არიან ჩართული გარე დაინტერესებული მხარეები სწავლის შედეგების შეფასებაში. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია ყოვლისმომცველი და ინკლუზიური შეფასების პროცესის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კურიკულუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა/ები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა პანელის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- 1.3.1. სასურველია, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

- 1.3.2. სასურველია, რომ სამიზნე მაჩვენებლები (სტუდენტების 50% აღწევს კონკრეტული კომპონენტის მაქსიმალური შეფასების 50%-ზე მეტს) გაიზარდოს უფრო მაღალი ხარისხის სტანდარტების უზრუნველსაყოფად;
- 1.3.3. სასურველია, რომ პროცესის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ, რომ სილაბუსში მოცემული შეფასების ინსტრუმენტის რუბრიკები ზუსტად და სანდოდ ზომავდეს დასახულ სწავლის შედეგებს;

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბა კალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს "საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი და პროცედურები". პროგრამები მზადდება ამ დოკუმენტების მიხედვით. პროგრამა შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებსაიტზე, და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს (აკადემიური/ კვლევითი/ მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.).

საერთო ჯამში, მენეჯმენტის კლასტერში დაჯგუფებული ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის კრიტერიუმებთან. პროგრამის შემუშავების თანამშრომლობითი და გამჭვირვალე პროცესი, დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრიდან უკუკავშირის შეგროვებასთან ერთად, როგორც წესი, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, არსებობს სფეროები, რომლებიც მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ზოგადი მოდულის კურსების ოპტიმიზაციის, ბიზნესის მართვის მიმართულების სავალდებულო კურსების გაძლიერებისა და ინდუსტრიის განვითარების უახლესი ტენდენციების მიხედვით პროგრამის შინაარსის განახლების თვალსაზრისით.

აღწერა და ანალიზი -

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (ძირითადი სპეციალობა) სტრუქტურირებულია ისე, რომ ხელი შეუწყოს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შემუშავებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე და შეესაბამება სტუდენტთა სასწავლო დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. ამ საბაკალავრო პროგრამის მოცულობა არის 240 ECTS კრედიტი (სულ 6000 საათი, სადაც 1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას). საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მისაღწევი კომპეტენციების ლოგიკური თანმიმდევრობა განაპირობებს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და სასწავლო გეგმას.

სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს (8 სემესტრი). პროგრამის პირველ და მეორე სემესტრებში სტუდენტები სწავლობენ თავისუფალი კომპონენტის ზოგადი მოდულის კურსებს (შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I და II, აკადემიური მუშაობის ტექნიკა, პრაქტიკული ინგლისურის კურსი, პრაქტიკული მათემატიკის ელემენტები, მათემატიკა ბიზნესისთვის და ბიზნესის საფუძვლები), რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების თვალსაწიერის გაფართოებას და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც აუცილებელია აკადემიურ გარემოში წარმატებით ნავიგაციისთვის. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პირველი სემესტრიდანვე სტუდენტები ითვისებენ ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს, როგორიცაა მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პრინციპები. მესამე სემესტრიდან სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ მაინორი ან გაიარონ კურსები სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან 60 კრედიტის მოცულობით, როგორც თავისუფალი კომპონენტი.

პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირია:

- თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი;
- სავალდებულო კურსების მოდული - 96 კრედიტი;
- არჩევითი კურსების მოდული - 24 კრედიტი.
- თავისუფალი კომპონენტი/ მაინორი - 60 კრედიტი (სტუდენტებს ალტერნატიულად შეუძლიათ გაიარონ 60 კრედიტი დამატებით თავისუფალი კომპონენტის არჩევით კურსებში).

სასწავლო გეგმა მეტწილად მოიცავს ისეთ კურსებს, როგორიცაა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და ეკონომიკა, და სხვა. ასეთი ფართო დაფარვა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ბიზნესის მართვის სხვადასხვა ასპექტში სიღრმისეული ცოდნის მიღებას. პროგრამაში 6 კრედიტიანი კურსის „პრაქტიკული მეწარმეობა“ ჩართვა სტუდენტებს ეხმარება თეორიული ცოდნის რეალურ გარემოში გამოყენებაში. გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ სტაჟირება, რომელიც პროგრამაში შემოთავაზებულია, არჩევითი კურსის სახით. შესაბამისად, ეს პროგრამა სტუდენტზე ორიენტირებულია, და პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შექმნან საკუთარი პროფილი სპეციალობის სავალდებულო, არჩევითი ან თავისუფალი კომპონენტის კურსების კომბინაციით.

სასწავლო კურსები, რომლებიც საბაკალავრო პროგრამაშია გათვალისწინებული, ძირითადად მიმართულია პროგრამის მიზნების მიღწევისა და სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებისაკენ.

თუმცა, არსებობს სფეროები, რომლებიც მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და გაუმჯობესებას, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურის გადახედვის თვალსაზრისით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების მიღწევა; პროგრამის შინაარსის განახლება და გამდიდრება ძირითადი კურსების ან საკითხების/პრობლემების განხილვით, რომლებიც დაკავშირებულია ოპერაციებთან, მიწოდების ჯაჭვსა და ხარისხის მართვასთან, გაყიდვების მენეჯმენტთან, ფინანსურ მენეჯმენტთან, ასევე ინდუსტრიის განვითარებების უახლესი ტენდენციების ასახვასთან. აღნიშნული შედეგების ეფექტურად მიღწევისათვის, აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის გადახედვა, რაც გულისხმობს თავისუფალი კომპონენტის ზოგადი მოდულის კურსების ოპტიმიზაციას, რათა გაიზარდოს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსების მოცულობა, რომლებიც ორიენტირებული იქნება დისციპლინის ისეთი სპეციფიური ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომელიც აუცილებელია თანამედროვე ბიზნეს გარემოში წარმატებული საქმიანობისთვის და მენეჯმენტის პრობლემებთან გამკლავებისთვის. კონკრეტულად, მაგალითად, სტუდენტები სწავლობენ 2 კურსს „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში" (თითოეული 6 კრედიტის მოცულობით), მაშინ როცა ძირითადი სპეციალობის ფარგლებში სავალდებულო კურსები საკმარისი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ასახვისთვის, როგორიცაა: ბიზნესის იურიდიული რეგულირება, ფინანსური ანალიზი და მენეჯერული აღრიცხვა, მიწოდების ჯაჭვი, გაყიდვების მართვა, ციფრული მარკეტინგი, ორგანიზაციული განვითარება და ცვლილებების მართვა, რისკების ან კრიზისების მართვა, ხარისხის მართვის საკითხები ან სხვა მნიშვნელოვანი თემები/პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესის მართვასა და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან. აღნიშნული სფეროები უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე ბიზნესის ოპერაციებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. გარდა ამისა, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ კურსდამთავრებულები მზად იყვნენ სწრაფად ცვალებადი ბიზნეს სამყაროსთვის, იმ ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების გარეშე, რომლებიც გლობალურად გარდაქმნიან ინდუსტრიებს.

რაც შეეხება ამ პროგრამის (და ასევე მენეჯმენტის კლასტერში დაჯგუფებული სხვა საბაკალავრო პროგრამების) სტრუქტურას, საკმარისად ნათელი არ არის, თუ როგორ უზრუნველყოფს პროგრამა ზოგადი კომპონენტის კრედიტების, მათ შორის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსების შესაბამისობას და წვლილს მენეჯმენტის მისანიჭებელი ხარისხის საერთო სწავლის შედეგების მიღწევაში. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამებში სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისათვის, მენეჯმენტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს გადახედვას, რაც გულისხმობს ზოგადი მოდულის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების ოპტიმიზაციას და ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსების შინაარსის გამდიდრებას (ან გარკვეული არჩევითი კურსების სავალდებულოდ ჩანაცვლებას), რომლებიც აუცილებელია ბაკალავრის ხარისხის მისაღებად და კურსდამთავრებულთა კომპეტენციის გასაღრმავებლად (განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ოპერაციები - ოპერაციებისა და ხარისხის მართვა; მიწოდების ჯაჭვის მართვა და ლოგისტიკა; ბაზრები: ფინანსური, სასაქონლო და მომსახურების ბაზრების განვითარება და ოპერაციები; მომხმარებელთა მოლოდინები, მომსახურება და ფოკუსი; კონკურენტული გარემო, ბაზრის სტრუქტურა და ორგანიზაციული აქტივობები; ფინანსები - დაფინანსების წყაროები, ფინანსური რესურსების გამოყენება და მართვა; ფინანსური ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემების მართვაში გამოყენება და სხვა), რომლებიც განსაზღვრულია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში.

პროგრამა 2. მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, (240 კრედიტი)

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი პროგრამა ერთმანეთის მსგავსია (მათ შორის ძირითად განსხვავებად სწავლების ენა განიხილება) და შესაბამისად, ამ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა, რომელიც განაპირობებს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და სასწავლო გეგმას, მსგავსია ზემოთხსენებული საბაკალავრო პროგრამის.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი კომპონენტის ზოგადი მოდულის პარამეტრების ფარგლებში, საერთაშორისო სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ ქართული ენა (12 კრედიტი) და გაიუმჯობესონ ინგლისური ენის კომპეტენცია (12 კრედიტი), მაშინ როცა ადგილობრივ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ განავითარონ კომპეტენცია სხვა უცხო ენაში (12 კრედიტი).

ამ საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის განხილვისას, რომელიც ზემოთმოცემული პროგრამის მსგავსია, იგივე სფეროები უნდა იდენტიფიცირდეს, რომლებიც მუდმივად მოითხოვს ყურადღებასა და გაუმჯობესებას. შესაბამისად, აღნიშნული შედეგების უფრო ეფექტურად მიღწევისთვის, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს გადახედვას შემოთავაზებული კურსების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი უნდა გაიზარდოს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსების მოცულობა.

პროგრამა 3. მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა შეადგენს 180 კრედიტს (სულ 4500 საათი), რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ სამუშაო საათებს. კრედიტების განაწილება ასევე შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) პრინციპებს, სტუდენტების დატვირთვის შესაბამისი გადანაწილებით სემესტრებში, რაც შეესაბამება სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად აუცილებელ დატვირთვას. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განაპირობებს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და სასწავლო გეგმას. ასევე, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს, რაც თანამშრომლობით განვითარების პროცესზე მიუთითებს. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის დიზაინი შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს და კურსდამთავრებულებს ამზადებს ბაზრის ზოგადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ძირითადი გამოწვევების გადასაჭრელად მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკების გამოყენებით. ეს პროგრამა ასევე აერთიანებს თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ უნარებთან, აქცენტს აკეთებს ძირითადი საბაზისო კომპეტენციების განვითარებაზე პროფესიული საქმიანობის გასაუმჯობესებლად. პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს შორის შესაბამისობა აშკარაა. ასევე, პროგრამის სტრუქტურა მეტწილად თანმიმდევრული და ლოგიკურია და ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს (6 აკადემიური სემესტრი). პროგრამის პირველ და მეორე სემესტრებში სტუდენტები სწავლობენ თავისუფალი კომპონენტის ზოგადი მოდულის კურსებს („შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I“, „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკა“, „ინგლისურის პრაქტიკული კურსი“, „პრაქტიკული მათემატიკის ელემენტები“, „მათემატიკა ბიზნესისთვის“ და „ბიზნესის საფუძვლები“), რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების თვალსაწიერის გაფართოებას და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც აუცილებელია აკადემიურ გარემოში წარმატებული ნავიგაციისათვის. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პირველი სემესტრიდანვე სტუდენტები ითვისებენ ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს, როგორიცაა მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პრინციპები.

პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირია:

- თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი;
- ძირითადი სპეციალობა - 120 კრედიტი:
- სავალდებულო კურსების მოდული - 96 კრედიტი;
- არჩევითი კურსების მოდული - 24 კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია მეტწილად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს.

ამ საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის განხილვისას, ზემოთხსენებულ პროგრამებთან მსგავსება აშკარად ჩანს. შესაბამისად, დასახული შედეგების უფრო ეფექტურად მიღწევისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთხსენებული საკითხები იდენტიფიცირებულია, როგორც სფეროები, რომლებიც საჭიროებს მუდმივ ყურადღებასა და გაუმჯობესებას.

პროგრამა 4. მენეჯმენტი, (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე 180 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა ერთმანეთის მსგავსია (მათ შორის ძირითად განსხვავებად სწავლების ენა განიხილება) და შესაბამისად, ამ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა, რომელიც განაპირობებს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და სასწავლო გეგმას, ზემოთხსენებული საბაკალავრო პროგრამის მსგავსია.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი კომპონენტის ზოგადი მოდულის პარამეტრების ფარგლებში, საერთაშორისო სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ ქართული ენა (12 კრედიტი), ასევე გაიუმჯობესონ ინგლისური ენის კომპეტენცია (12 კრედიტი), მაშინ როცა ადგილობრივ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ განივითარონ კომპეტენცია სხვა უცხო ენაში (12 კრედიტი). შესაბამისად, პროგრამის განვითარებაზე ფოკუსირებისთვის და დასახული შედეგების უფრო ეფექტურად მისაღწევად, ზემოთხსენებული საკითხები განხილული უნდა იყოს, როგორც გადასახედი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები.

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. სწავლის ენაა ქართული. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს. პროგრამის სტრუქტურა სემესტრულადაა დაყოფილი, გადანაწილება ლოგიკურია, თანმიმდევრული და ემსახურება პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>პროგრამის სტრუქტურა:</u>

- სავალდებულო კურსები - 78 კრედიტი
- არჩევითი კურსები - 24 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 18 კრედიტი

პროგრამის ბოლო აკადემიური სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ბიზნესის სფეროში პრობლემურ საკითხს აიდენტიფიცირებს და დამოუკიდებლად ატარებს კვლევას, უახლესი მეთოდოლოგიებოს გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, მისი შინაარსი და სტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, შედეგი - „მოქმედებს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად და იცავს სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებს“- მოცულია შემდეგი კურსებით: სტრატეგიული მენეჯმენტი; მარკეტინგის მენეჯმენტი; ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მენეჯმენტი; ლიდერობა; Agile IT პროექტების მართვა; კვლევის მეთოდები და სტრატეგიული ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თუმცა პროგრამაში არ არის კურსი, რომელიც შეეხება ბიზნესის სამართლებრივ საკითხებს, რაც აუცილებელია აღნიშნული შედეგის სამართლებრივი ნაწილის დასაფარად.

მოცემულია კურსები, მაგალითად „Agile IT პროექტების მართვა“, რომელიც უფრო სფეროსთვის სპეციფიკურია, თუმცა არ არსებობს ზოგადი კურსი, როგორიცაა მაგალითად „პროექტების მართვა“, რომელიც საფუძვლად დაედება სპეციფიკურ კურსს. რეკომენდებულია უფრო ზოგადი კურსის დამატება და შემდეგ სპეციფიკურ თემებზე გადასვლა.

პროგრამის შედეგების უკეთ მიღწევისთვის „მენეჯერული ეკონომიკის“ კურსი უნდა იყოს სავალდებულო.

პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად არ არის უზრუნველყოფილი.

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. პროგრამის სწავლების ენაა ქართული.

პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 წელი. პროგრამის სტრუქტურა სემესტრულადაა დაყოფილი და გადანაწილება ლოგიკურია, თანმიმდევრული და ემსახურება პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>პროგრამის სტრუქტურა:</u>

- სავალდებულო კურსები - 78 კრედიტი
- არჩევითი კურსები - 24 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 18 კრედიტი

პროგრამის ბოლო აკადემიური სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ბიზნესის სფეროში პრობლემურ საკითხს აიდენტიფიცირებს და დამოუკიდებლად ატარებს კვლევას, უახლესი მეთოდოლოგიების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, მისი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილობრივ მიღწევას, მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მაგალითად, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით, კურსდამთავრებული „ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად იღებს დასაბუთებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს.“ პროგრამაში არსებობს კურსი „ჯანდაცვის სამართალი და

ბიოეთიკა“, რომელიც ნაწილობრივ ფარავს სამართლებრივ რეგულაციებს, თუმცა არ მოიცავს ბიზნესის სამართლისა და დაბეგვრის თემებს, რომლებიც სავალდებულოა მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. პროგრამის სწავლების ენაა ინგლისური.

პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 წელი. პროგრამის სტრუქტურა სემესტრულადაა დაყოფილი, გადანაწილება ლოგიკურია, თანმიმდევრული და ემსახურება პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>პროგრამის სტრუქტურა:</u>

- სავალდებულო კურსები - 72 კრედიტი
- არჩევითი კურსები - 30 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 18 კრედიტი

პროგრამის ბოლო აკადემიური სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ბიზნესის სფეროში პრობლემურ საკითხს აიდენტიფიცირებს და დამოუკიდებლად ატარებს კვლევას, უახლესი მეთოდოლოგიების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა შემუშავდა ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან (ავსტრია) მჭიდრო თანამშრომლობაში. პროგრამა ფუნქციონირებს 2017 წლიდან, და ორივე უნივერსიტეტის სტუდენტებს (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბურგენლანდის უნივერსიტეტი) აქვთ შესაძლებლობა, ერთი სემესტრით ისწავლონ პარტნიორ უნივერსიტეტში და მიიღონ ორმაგი ხარისხი: „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი“ - როგორც ეს განსაზღვრულია სამაგისტრო პროგრამაში და „ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ბიზნესში“ - ბურგენლანდის პროგრამის ფარგლებში. სტუდენტთა მობილობა ხორციელდება მეორე და მესამე სემესტრებში, ხოლო პარტნიორი უნივერსიტეტების სასწავლო გეგმების სინქრონიზაციის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა და გადაიხედა პროგრამების შესაბამისობის ცხრილი.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, მისი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილობრივ მიღწევას, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებიდან გამომდინარე. პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ანალიზის საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ერთ-ერთი შედეგი არ არის მოცული, კერძოდ - „დამოუკიდებლად შეიმუშავებს ან/და წარმართავს პროექტებს უცნობ და მულტიდისციპლინურ გარემოში“.

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 კრედიტი

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს. აქედან, 24 კრედიტი განაწილებულია სავალდებულო კურსებზე/კომპონენტებზე, ხოლო დარჩენილი 6 კრედიტი - არჩევით კომპონენტებზე.

24 კრედიტიდან 18 კრედიტი ეთმობა ასისტირებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც სასწავლო, ისე კვლევითი ასისტირების სახით; ხოლო 6 კრედიტს დოქტორანტი აგროვებს ქვემოთ მოცემული კურსებიდან ერთ-ერთის არჩევით (თითო 6 კრედიტი):

- თვისებრივი მონაცემების ანალიზი Nvivo-ს გამოყენებით;
- პანელური მონაცემების ანალიზი Eviews-ის გამოყენებით;
- დროის სერიის ანალიზი Eviews-ის გამოყენებით.

შედეგად, დოქტორანტებს შეუძლიათ აითვისონ ან მხოლოდ რაოდენობრივი, ან მხოლოდ თვისებრივი უნარები, მაგრამ ორივე ერთად - არა.

დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს სავალდებულო ტრენინგ-პროგრამა სწავლებისა და შეფასების სტრატეგიებზე უმაღლეს განათლებაში, რომელიც შემუშავებულია საჯარო და კერძო განვითარების ცენტრის (PPDC) მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის დროს, პროგრამაზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდების კურსი ამოღებულია სადოქტორო პროგრამიდან, რადგან დოქტორანტების უმეტესობას უკვე აქვს სწავლების გამოცდილება პროგრამაში ჩარიცხვის დროს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ეს წინააღმდეგობრივია, რადგან სწავლების ასისტირება სავალდებულოა, თუმცა სწავლებისა და სწავლების მეთოდების კურსი - არა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა არ უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ფართო, მრავალმხრივი კვლევისა და ცოდნის შექმნის კომპეტენციას, რადგან პროგრამის სტრუქტურაში არ შედის კურსები ან სემინარები, რომლებიც არ უკავშირდება სადოქტორო დისერტაციას.

სადოქტორო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული საერთაშორისო, რეცენზირებად თემატურ ჟურნალში დისერტაციის დაცვის წინ. სადოქტორო პროგრამის გამოქვეყნების კომპონენტთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადოქტორო სკოლისა და დისერტაციის საბჭოს დებულებაში. ასევე, დისერტაციის დაცვის წინ, დოქტორანტებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა კონფერენციაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს მხარდაჭერას სტატიების წერაში აკადემიური წერის ცენტრის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიშები
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- დაინტერესებული მხარეების პროგრამის განვითარებაში ჩართულობის მტკიცებულება;
- ვებსაიტი - https://iliauni.edu.ge/en/;
- ექსპერტთ ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელთან;

- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

●

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამა 2. მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა) ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, (240 კრედიტი)

პროგრამა 3: მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

პროგრამა 4. მენეჯმენტი, (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

რეკომენდაცი(ებ)ი:

● **1.4.1.** რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამებში დასახული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის, მენეჯმენტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის გადახედვა ზოგად მოდულში შეთავაზებული კურსების ოპტიმიზაციისა და სავალდებულო კურსების, კერძოდ ბიზნესის მართვის საგნობრივი შინაარსის გამდიდრების თვალსაზრისით (ზოგიერთი არჩევითი საგნობრივი კურსი ასევე შეიძლება შეიცვალოს სავალდებულოთი). ეს გადახედვა საჭიროა ბაკალავრის ხარისხის მისაღებად და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გასაღრმავებლად იმ საკითხებში, რომლებიც მითითებულია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში.

1.4.2. რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების I საფეხურთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონესთან, იხილეთ https://eqe.ge/en/page/static/1028/biznesi-administrireba-da-samartali.

რჩევ(ებ)ი:

- 1.4.1. სასურველია, მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმის გადახედვა და ძირითადი სპეციალობის ზოგიერთი არჩევითი კურსის (მაგ. - "მენეჯერული აღრიცხვის საფუძვლები", "გაყიდვების მენეჯმენტის საფუძვლები", "მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი", "კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა") ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებად შეთავაზება.

- 1.4.2. სასურველია, პროგრამის განახლება და უფრო თანამედროვე კურსების (ან თემების) დამატება, როგორიცაა ბიზნესის/ორგანიზაციების ციფრული ტრანსფორმაცია, მონაცემთა ანალიტიკა, სტრატეგიული ინოვაციები და ცვლილებების მენეჯმენტი და სხვ.
- 1.4.3. სასურველია, არჩევითი კურსების გაფართოება, რაც სტუდენტებს მისცემს უფრო სპეციალიზებული ცოდნისა და უნარების მიღების შესაძლებლობას, რომელიც მორგებული იქნება ინდუსტრიის მზარდ საჭიროებებსა და თანამედროვე ორგანიზაციული მენეჯმენტის აქტუალურ საკითხებზე.
- 1.4.4. მითითებული მიზნების უფრო ეფექტურად მისაღწევად და კურსდამთავრებულთა სწრაფად ცვალებადი ბიზნეს სამყაროსთვის რეალური მომზადების უზრუნველსაყოფად, სასურველია პროგრამის ან შესაბამისი კურსების გამდიდრება ისეთი თემებით/საკითხებით, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციულ განვითარებასა და ცვლილებების მართვას; რისკების ან/და კრიზისების მართვას; ხარისხის მენეჯმენტს; ორგანიზაციულ ლიდერობას (და ა.შ.), რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე ბიზნეს ოპერაციებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

პროგრამა 5. მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

რეკომენდაცი(ებ)ი:

- 1.4.1. რეკომენდებულია ისეთი კურსების შემოღება, რომლებიც მოიცავს ბიზნეს კანონმდებლობისა და დაბეგვრის საკითხებს.
- 1.4.2. რეკომენდებულია კურსი "მენეჯერული ეკონომიკა" იყოს სავალდებულო.
- 1.4.3. რეკომენდებულია შემოღებულ იქნას კურსი პროექტის მართვა, რომელსაც მოჰყვება კურსი Agile IT პროექტების მართვა.

1.4.4. რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების II საფეხურთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან, იხილეთ https://eqe.ge/en/page/static/1028/biznesi-administrireba-da-samartali.

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

რეკომენდაცი(ებ)ი:

- **1.4.1.** რეკომენდებულია პროგრამის შედეგების განახლება მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. პროგრამაში უნდა დაემატოს კურსი, რომლის შედეგი იქნება - დამოუკიდებლად იღებს ინფორმირებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით.

1.4.2.რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების II საფეხურთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან, იხილეთ https://eqe.ge/en/page/static/1028/biznesi-administrireba-da-samartali.

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

რეკომენდაცი(ებ)ი:

• **1.4.1.** რეკომენდებულია პროგრამის განახლება ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. პროგრამაში უნდა დაემატოს კურსი, რომლის შედეგი იქნება - დამოუკიდებლად ავითარებს და/ან მართავს პროექტებს უცხო და მულტიდისციპლინურ გარემოში.

1.4.2. რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების II საფეხურთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან, იხილეთ https://eqe.ge/en/page/static/1028/biznesi-administrireba-da-samartali.

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, 30 კრედიტი

რეკომენდაცი(ებ)ი:

• **1.4.1. რეკომენდებულია კურსების დამატება, რომლებიც მოიცავს სწავლებისა და შეფასების მეთოდებს უმაღლეს განათლებაში.**
• **1.4.2.** რეკომენდებულია ისეთი კურსების დამატება, რომლებიც უზრუნველყოფს ფართო, მრავალმხრივი ბიზნესის ადმინისტრირების კვლევისა და ცოდნის შექმნის კომპეტენციების მიღწევას.
• **1.4.3.** რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას, რომ დოქტორანტებს ჰქონდეთ და გადიოდნენ კურსებს, რომლებიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევის მეთოდებს.

რჩევ(ებ)ი:

• **1.4.1.** სასურველია, სადოქტორო კვლევის მაღალი ხილვადობის უზრუნველსაყოფად, დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტებს მოეთხოვებოდეთ ერთზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია და კონფერენციებში უფრო აქტიური მონაწილეობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	☒	☐	☐

პროგრამა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	☐	☐	☒	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მენეჯმენტის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების აკადემიური კურსები ძირითადად შეესაბამება ძირითადი სწავლის სფეროს აკადემიური კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უმეტესწილად თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

თითოეული სასწავლო კურსის/საგნისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის/საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის/საგნის სპეციფიკას.

თითოეული აკადემიური კურსის/საგნის ყველა სწავლის შედეგი ფასდება, და შეფასების მეთოდები ძირითადად რელევანტურია როგორც კურსის, ისე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის/საგნის სწავლის შედეგებს, თუმცა საკონტაქტო საათების რაოდენობა ნაკლებად შეესაბამება მის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა (240 კრედიტი)

პროგრამა 3: მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

პროგრამა 4. მენეჯმენტი, (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

მენეჯმენტის კლასტერში დაჯგუფეული საბაკალავრო პროგრამები გაანალიზებულია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კურსის შინაარსის, სწავლის შედეგებისა და კრედიტების განაწილების შესაბამისობაზე. ჩანს, რომ პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა, შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტებში გაწერილ მოთხოვნებს, მათ შორის ECTS კრედიტების ევროპულ სახელმძღვანელო პრინციპებს.

ზოგადად, თითოეული კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება როგორც პროგრამის საერთო მიზნებს, ასევე თითოეული საგნის სპეციფიურ შედეგებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მიზნების სრულყოფილად მიღწევას. კურსების სილაბუსები შეიცავს სწავლებისა და შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგებისა და კურსის შინაარსის დეტალურ აღწერილობას, რომლებიც განკუთვნილია თითოეული კურსის მიზნების ეფექტრი მიღწევისათვის. თითოეული აკადემიური კურსის შინაარსი შექმნილია ისე, რომ შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, ხოლო კურსის მიზნები და შედეგები ნათლადაა განსაზღვრული და ინტეგრირებული პროგრამის საერთო სწავლის შედეგებში. თითოეული კურსის თითოეული სწავლის შედეგი ფასდება. გარდა ამისა, სილაბუსები მიუთითებენ, რომ სწავლის ყველა შედეგი ფასდება შუალედური და საბოლოო შეფასების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3-ის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს შეფასების მეთოდებს.

რაც შეეხება კურსის კრედიტების განსაზღვრას, აღსანიშნავია შემდეგი: მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების (240 და 180 კრედიტიანი პროგრამების) მიმოხილვამ აჩვენა, რომ პროგრამების ყველა კურსს (ზოგადი/ძირითადი/სავალდებულო/არჩევითი) მინიჭებული აქვს 6 კრედიტი. პროგრამების ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს ჯგუფმა შენიშნა, რომ კრედიტების მოცულობა განსაზღვრული იყო „მექანიკურად," და კურსის სპეციფიკა არ იყო გათვალისწინებული. პროგრამის და სასწავლო კურსების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, თითოეული კურსისთვის განკუთვნილი ECTS კრედიტების რაოდენობა უნდა გამოთვალოს სტუდენტის დატვირთვისა და დასაფარი მასალების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს, რომ კრედიტების განაწილება შეესაბამებოდეს როგორც კურსის შინაარსს, ასევე მის სწავლის შედეგებს. საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელი სწავლას შორის ბალანსი შესაბამისია თითოეული კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგებისთვის, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის რუკა ასახავს, თუ როგორ უწყობს ხელს ცალკეული კურსის სწავლის შედეგები პროგრამის ფართო მიზნების მიღწევას. სილაბუსები ასევე ასახავს თითოეულ კურსში გამოყენებულ სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, რომლებიც შერჩეულია კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად. თითოეული კურსის შინაარსი შექმნილია პროგრამის საერთო კომპეტენციების განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო სილაბუსები უზრუნველყოფს, რომ ეს კურსები ერთობლივად ქმნიან თანმიმდევრულ და სრულყოფილ საგანმანათლებლო გამოცდილებას. სილაბუსების დეტალურმა მიმოხილვამ (განსაკუთრებით ბიზნესის მართვის საგნობრივი კურსებში) აჩვენა, რომ უმეტეს კურსებში გამოიყენება სწავლებისა და შეფასების მსგავსი მეთოდები და

ინსტრუმენტები. თუმცა, ზოგიერთი მათგანი უფრო მეტად ან ნაკლებად შესაბამისია კურსში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. (მაგალითად, „სტატისტიკის საფუძვლების“, „მარკეტინგის საფუძვლების“, „ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლების“ კურსებში გუნდური პროექტის პრეზენტაცია და ა.შ.). გარდა ამისა, აკადემიური პერსონალთან ინტერვიუს დროს ჯგუფმა შენიშნა, რომ ლექტორები იყენებენ სწავლებისა და შეფასების უფრო შესაბამის და ვალიდურ მეთოდებს ან ინსტრუმენტებს სტუდენტების მიღწევების გაზომვისა და შეფასებისთვის, თუმცა ეს მეთოდები არ არის მითითებული სილაბუსებსა და პროგრამებში. სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი ის მეთოდები/ინსტრუმენტები, რომლებიც გამოყენებულია სწავლების და შეფასების პროცესებში.

ამიტომ, ზოგიერთი სილაბუსი, სადაც გუნდური პრეზენტაცია ან/და ჯგუფური პროექტი გამოიყენება სტუდენტების კომპეტენციის შეფასების ინსტრუმენტად (მაგალითად, „სტატისტიკის საფუძვლები“, „ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები“, „პროექტების მართვის საფუძვლები“, „სტრატეგიული მართვის საფუძვლები“ და ა.შ.), საჭიროებს გადახედვას, რათა დაემატოს შეფასების უფრო შესაბამისი ფორმები (განსაკუთრებით, დეტალურად აღწერილი რუბრიკები), რომლებიც ვალიდურად და სანდოდ შეაფასებს თითოეული სტუდენტის კომპეტენციას, ხელს შეუწყობს სტუდენტების კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარებას, და უზრუნველყოფს როგორც კურსის, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

რაც შეეხება სასწავლო მასალებს, სილაბუსები ასახავს სავალდებულო ლიტერატურას და სხვა საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობს კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ეს მასალები შეესაბამება სფეროში მიღწეულ თანამედროვე მიღწევებს და მოიცავს უახლეს პუბლიკაციებს, რაც უზრუნველყოფს რესურსების აქტუალურობას და ეფექტურობას პროგრამის საგანმანათლებლო მიზნებთან მიმართებით.

უწყვეტი გაუმჯობესების თვალსაზრისით, პროგრამები განახლდება სტუდენტების უკუკავშირისა და შეფასებების საფუძველზე. სილაბუსები პერიოდულად გადაიხედება, რათა მათში შევიდეს განახლებული ლიტერატურა, შეფასების განახლებული კრიტერიუმები და სწავლების გაუმჯობესებული მეთოდები. სტუდენტებს ამ ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ ყოველი სემესტრის დასაწყისში, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში.

შეფასებული პროგრამები ძირითადად ავლენს კურსის შინაარსის, სწავლის შედეგებისა და კრედიტების განაწილების შესაბამისობას, რითაც პასუხობს კურსების შესაბამისობის კრიტერიუმებს. სილაბუსები მეტწილად მრავლისმომცველია, და შეიცავს სწავლების ისეთ შესაბამის მეთოდებს, შეფასების სტრატეგიებსა და საგანმანათლებლო მასალებს, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების მიღწევას.

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

კვლევის მეთოდების კურსი მეტადაა ფოკუსირებული კვლევის რაოდენობრივ მეთოდებზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობს თვისებრივ მეთოდებს. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ორივე ტიპის მეთოდი მნიშვნელოვანია და მათთვის დათმობილი დრო თანაბარი უნდა იყოს.

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება, (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტი

სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 კრედიტი

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს სულ 30 კრედიტს. აქედან, 24 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებზე/კომპონენტებზე, ხოლო დარჩენილი 6 კრედიტი - არჩევით კურსებზე.

18 კრედიტი განკუთვნილია ასისტირებისთვის, რომელიც მოიცავს ორ მიმართულებას: სწავლების ასისტირებას და კვლევით ასისტირებას, ხოლო 6 კრედიტი განკუთვნილია აკადემიური პუბლიკაციების დაწერაზე.

6 არჩევითი კრედიტის ფარგლებში დოქტორანტმა უნდა აირჩიოს შემდეგი კურსებიდან ერთ-ერთი:

1. თვისებრივი მონაცემების ანალიზი Nvivo-ს გამოყენებით,
2. პანელური მონაცემების ანალიზი Eviews-ის გამოყენებით,
3. დროის სერიის ანალიზი Eviews-ის გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ პროგრამის კონცეფციის ნაწილში წერია: *პროგრამა იკვლევს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებულ უახლეს თეორიულ პარადიგმებსა და კვლევით (თვისებრივი და რაოდენობრივი) მეთოდოლოგიებს. ის მიზნად ისახავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ახალი ცოდნის შექმნას ორიგინალური კვლევის საფუძველზე.*

ასევე, პროგრამის შედეგებში მითითებულია, რომ დოქტორანტები:

2. დამოუკიდებლად გეგმავენ და ახორციელებენ ინოვაციურ კვლევებს უახლესი კვლევითი მეთოდოლოგიის გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

3. ახალ ცოდნას უზიარებენ სამეცნიერო საზოგადოებას ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარების გზით, მათ შორის, მათი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებით საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში;

4. ცოდნას გადასცემენ სწავლების პროცესში.

ზემოთაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის შედეგების სრულად მიღწევა არ არის შესაძლებელი, რადგან დოქტორანტებმა,

- უნდა აირჩიონ ერთი კურსი ზემოთ ჩამოთვლილი სამიდან, რის შედეგადაც მხოლოდ რაოდენობრივი ან მხოლოდ თვისებრივი კომპეტენციები იქმნება, ორივე - არა.

- უნდა აირჩიონ ასისტირების ორი მიმართულებიდან ერთ-ერთი, რაც იწვევს მხოლოდ კვლევითი ან მხოლოდ სწავლების კომპეტენციების ჩამოყალიბებას, და არა ორივეს.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია კვლევის მეთოდების უფრო მრავლისმომცველი კურსების ჩართვა. ასევე, პროგრამაში უნდა არსებობდეს სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდების კურსები. დამატებით, უნდა არსებობდეს კურსები ან კომპონენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიზნესის ადმინისტრირების სხვა სფეროებში უნარების განვითარებას, რომლებიც დოქტორანტების ძირითად კვლევით მიმართულებას არ წარმოადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარშები;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის სტუდენტებთნ, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამა 2. მენეჯმენტი, (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა (240 კრედიტი)

პროგრამა 3: მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

პროგრამა 4. მენეჯმენტი, (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

რეკომენდაცი(ებ)ი:

- 1.5.1. რეკომენდებულია ყველა კურსის გადახედვა კრედიტების ვალიდური მოცულობის განსასაზღვრად, კურსის მიზნებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების, გასავლელი თემების,

შესასრულებელი დავალებების ინტენსივობის, მოცულობისა და სირთულის, სასწავლო რესურსების მოცულობისა და სირთულის, აგრეთვე მიღწევების შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით.

- 1.5.2. რეკომენდებულია კურსების სილაბუსების გადახედვა კურსებში დასახული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისა და შეფასებისთვის შესაბამისი შეფასების მეთოდების/ინსტრუმენტების განსასაზღვრად.
- 1.5.3. რეკომენდებულია ზოგიერთი სილაბუსის (მაგ., ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები; პროექტის მართვის საფუძვლები; სტატისტიკის საფუძვლები; მარკეტინგის საფუძვლები და სხვ.) გადახედვა უფრო შესაბამისი შეფასების ფორმების დამატების თვალსაზრისით (განსაკუთრებით, დეტალურად აღწერილი რუბრიკები), სტუდენტების კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებისთვის და როგორც კურსის, ისე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

რჩევ(ებ)ი:

- 1.5.1. სასურველია პროექტების მართვის საფუძვლების კურსისთვის წინაპირობად განისაზღვროს ოპერაციების მართვის საფუძვლები.

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

რეკომენდაცი(ებ)ი:

- 1.5.1. რეკომენდებულია, რომ კვლევის მეთოდების კურსი თანაბარ დროს უთმობდეს რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევის მეთოდებს..

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 კრედიტი

- 1.5.1. რეკომენდებულია ისეთი კურსების ან კომპონენტების შემოღება, რომლებიც განავითარებს უნარებს ბიზნესის ადმინისტრირების სხვა სფეროებში, რომლებიც არ წარმოადგენს დოქტორანტების კვლევის ძირითად მიმართულებებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი **1.5 სასწავლო კურსი/საგანი**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	☒	☐	☐

პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☒	☐	☐	☐

პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	☐	☒	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების პროცესი ეფუძნება გამჭვირვალე, სამართლიან, საჯარო და ხელმისაწვდომ წინაპირობებს. წინაპირობები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე - https://iliauni.edu.ge/en და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე.

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობები აღწერილია თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამაზე ჩარიცხვის დოკუმენტაციაში.

დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამების შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, განათლების საფეხურთან და მინიჭებულ კვალიფიკაციასთან. ასევე ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს ისეთი პირების ჩართვას, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენცია.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიიღეს ახლობლებისგან ან სკოლებში ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრების დროს. ასევე, ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტმა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის "ღია კარის დღეში".

თვითშეფასების ანგარიშის (SER) მიხედვით, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია აღწერს, თუ როგორ განისაზღვრება კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა საერთო რაოდენობა. მეთოდოლოგიის მიხედვით, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა განათლების დონე, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა, აქტიური, შეჩერებული, შეწყვეტილი და აღდგენილი სტატუსის მქონე სტუდენტები, დამამთავრებელი სტუდენტები, აგრეთვე შიდა/გარე მობილობის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

ამავდროულად, ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებში 4000-ზე მეტი სტუდენტი ირიცხება, ხოლო ყველა საბაკალავრო პროგრამის სწავლების უზრუნველსაყოფად აკადემიური პერსონალის რაოდენობა დაახლოებით 155-ს შეადგენს, რომელთაგანაც 120 მოწვეული პერსონალია. შესაბამისად, სტუდენტების და პერსონალის თანაფარდობა აღემატება 25 სტუდენტს ერთ პერსონალზე, ან 100-ზე მეტ სტუდენტს ერთ აკადემიურ პერსონალზე, ხოლო აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის პროპორცია არის 1/3.4. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული პროპორციები ძალიან მაღალია და უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს უნივერსიტეტში მოქმედ დაგეგმვის მექანიზმსა და მეთოდოლოგიას.

აღწერა და ანალიზი -

პროგრამა 1 - მენეჯმენტი, (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამა 3- მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კლასტერული თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების მიხედვით, მენეჯმენტის ორივე საბაკალავრო პროგრამაზე (240 კრედიტი და 180 კრედიტი, ქართულენოვანი) დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი
პროგრამა 4. მენეჯმენტი, (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კლასტერული თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების მიხედვით, მენეჯმენტის ორივე საბაკალავრო პროგრამაზე (240 კრედიტი და 180 კრედიტი, ინგლისურენოვანია) დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამებში ჩარიცხვა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები შემდეგნაირად გამოიყურება:

- **ინგლისური ენა** - 70%+1;
- **ქართული ენა** - ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში განსაზღვრული კომპეტენციის ზღვარი;
- **მათემატიკა ან ისტორია** - ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში განსაზღვრული კომპეტენციის ზღვარი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების არ ჩაბარების შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად და განსაზღვრულ ვადებში, პროგრამებზე მიღება დაშვებულია:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება
- საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- პირებისთვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო სტუდენტებისთვის შიდა ან გარე მობილობის საშუალებით.

საერთაშორისო განმცხადებლები უნდა ხელმძღვანელობდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №224/ნ ბრძანებით (2011 წლის 29 დეკემბერი).

აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი B2 ან უფრო მაღალ დონეზე. ინგლისური ენის ცოდნის დასადასტურებლად, აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტი (ქაღალდის ფორმატით ან ონლაინ), რომელიც შეესაბამება საერთო ევროპული ენების ჩარჩოს (CEFR) B2 დონეს, ან, ტესტისგან გათავისუფლებისთვის, წარადგინოს შემდეგი დოკუმენტებიდან ერთ-ერთი:

ა. ოფიციალური საერთაშორისო სერტიფიკატი (ქვემოთ იხილეთ ძირითადი აღიარებული სერტიფიკატები და მინიმალური ქულები):

- კემბრიჯის გამოცდები
- Cambridge English Scale – 160
- IELTS – ქულა 5.5 (ვადა – 2 წლამდე)
- Cambridge First – ქულა C
- FCE – ქულა C
- BEC Vantage – ქულა C
- ILEC - ჩათვლა B2 დონით

- Aptis Test - 140
- Pearson Tests:
- PTE General: დონე 3
- PTE Academic: 59
- TOEFL iBT: 72 (ვადა – 2 წლამდე)
- EF SET: 51
- Duolingo: 90
- Certus: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროექტი, 3 წლიანი ვადით: ქართული ენის სერტიფიკატი მიენიჭებათ მათ, ვინც აბარებს ტესტის 4-ივე ნაწილს; თუკი ტესტის ერთი ან რამდენიმე ნაწილი ბარდება, „ტესტის ანაგრიშის ფორმა“ გაიცემა.

ბ. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი სკოლიდან ან კოლეჯიდან, რომელიც ადასტურებს, რომ სწავლება მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის მოთხოვნა შეიძლება გაუქმდეს, თუ ინგლისური არის აპლიკანტის მშობლიური ენა ან თუ მან დაამთავრა ინგლისურენოვანი სკოლა/უნივერსიტეტი იმ ქვეყანაში, სადაც ინგლისური არის ოფიციალური ენა.

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად, კანდიდატს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში (სასურველია, მაგრამ არ არის სავალდებულო, შემდეგი მიმართულებები: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა/0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება/0414 მარკეტინგი და რეკლამა/0311 ეკონომიკა) და წარმატებით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საერთო სამაგისტრო და ინსტიტუციური გამოცდები. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს დამატებითი კრიტერიუმები:

- დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (მხოლოდ კითხვის უნარის B2 დონის დადასტურებაა საჭირო);
- წარადგინოს რეზიუმე (CV);
- ჩააბაროს ინსტიტუციური გამოცდა.

ინგლისური ენის კომპეტენციის დასადასტურებლად, კანდიდატმა უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინსტიტუციური გამოცდა (მხოლოდ კითხვის უნარის B2 დონის დადასტურებაა საჭირო) ან წარადგინოს ერთ-ერთი შემდეგ დოკუმენტთაგანი, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას.

ა. ოფიციალური საერთაშორისო სერტიფიკატი (ქვემოთ იხილეთ ძირითადი აღიარებული სერტიფიკატები და მინიმალური ქულები):

- კემბრიჯის გამოცდები
- Cambridge English Scale – 160
- IELTS – ქულა 5.5 (ვადა – 2 წლამდე)
- Cambridge First – ქულა C
- FCE – ქულა C

- BEC Vantage – ქულა C
- ILEC - ჩათვლა B2 დონით
- Aptis Test - 140
- Pearson Tests:
- PTE General: დონე 3
- PTE Academic: 59
- TOEFL iBT: 72 (ვადა – 2 წლამდე)
- EF SET: 51
- Duolingo: 90
- Certus: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროექტი, 3 წლიანი ვადით: ქართული ენის სერტიფიკატი მიენიჭებათ მათ, ვინც აბარებს ტესტის 4-ივე ნაწილს; თუკი ტესტის ერთი ან რამდენიმე ნაწილი ბარდება, „ტესტის ანაგრიშის ფორმა“ გაიცემა.

ბ. ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი და მითითება, რომ სწავლება ხორციელდებოდა ინგლისურ ენაზე.

მისაღები გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ყოველწლიურად გადაიხედება და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გამოცდის სტრუქტურა ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად, კანდიდატს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში (სასურველია, მაგრამ არ არის სავალდებულო, შემდეგი მიმართულებები: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა/0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება/0414 მარკეტინგი და რეკლამა/0311 ეკონომიკა) და წარმატებით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საერთო სამაგისტრო და ინსტიტუციური გამოცდები. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს დამატებითი კრიტერიუმები:

- დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (მხოლოდ კითხვის უნარი);
- წარადგინოს რეზიუმე (CV);
- ჩააბაროს ინსტიტუციური გამოცდა.

ინგლისური ენის კომპეტენციის დასადასტურებლად, კანდიდატმა უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინსტიტუციური გამოცდა (მხოლოდ კითხვის უნარის B2 დონის დადასტურებაა საჭირო) ან წარადგინოს ერთ-ერთი შემდეგ დოკუმენტთაგანი:

ა. ოფიციალური საერთაშორისო სერტიფიკატი (ქვემოთ იხილეთ ძირითადი აღიარებული სერტიფიკატები და მინიმალური ქულები):

- კემბრიჯის გამოცდები
- Cambridge English Scale – 160
- IELTS – ქულა 5.5 (ვადა – 2 წლამდე)
- Cambridge First – ქულა C

- FCE – ქულა C
- BEC Vantage – ქულა C
- ILEC - ჩათვლა B2 დონით
- Aptis Test - 140
- Pearson Tests:
- PTE General: დონე 3
- PTE Academic: 59
- TOEFL iBT: 72 (ვადა – 2 წლამდე)
- EF SET: 51
- Duolingo: 90
- Certus: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროექტი, 3 წლიანი ვადით: ქართული ენის სერტიფიკატი მიენიჭებათ მათ, ვინც აბარებს ტესტის 4-ივე ნაწილს; თუკი ტესტის ერთი ან რამდენიმე ნაწილი ბარდება, „ტესტის ანაგრიშის ფორმა“ გაიცემა.

ბ. ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი და მითითება, რომ სწავლება ხორციელდებოდა ინგლისურ ენაზე.

მისაღები გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ყოველწლიურად გადაიხედება და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გამოცდის სტრუქტურა ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის მიხედვით, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსი იწყება რეგრესიის ანალიზით. ამ მიზეზით, შიდა გამოცდები შეიცავს საკთხებს, რომელიც ეხება რაოდენობრივი კვლევის შესავალ ნაწილს.

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება, (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად, კანდიდატს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში (სასურველია, მაგრამ არ არის სავალდებულო, შემდეგი მიმართულებები: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა/0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება/0414 მარკეტინგი და რეკლამა/0311 ეკონომიკა) და წარმატებით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საერთო სამაგისტრო და ინსტიტუციური გამოცდები. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს დამატებითი კრიტერიუმები:

- დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 ან უფრო მაღალ დონეზე;
- წარადგინოს რეზიუმე (CV);
- ჩააბაროს ინსტიტუციური გამოცდა.

მისაღები გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ყოველწლიურად გადაიხედება და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გამოცდის სტრუქტურა ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

აპლიკანტებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა B2 ან უფრო მაღალ დონეზე. ინგლისური ენის ცოდნის დასადასტურებლად, აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ

ორგანიზებული ტესტი (ქაღალდის ფორმატით ან ონლაინ), რომელიც შეესაბამება საერთო ევროპული ენების ჩარჩოს (CEFR) B2 დონეს, ან, ტესტისგან გათავისუფლებისთვის, წარადგინოს შემდეგი დოკუმენტებიდან ერთ-ერთი:

ა. ოფიციალური საერთაშორისო სერტიფიკატი (ქვემოთ იხილეთ ძირითადი აღიარებული სერტიფიკატები და მინიმალური ქულები):

- კემბრიჯის გამოცდები
- Cambridge English Scale – 160
- IELTS – ქულა 5.5 (ვადა – 2 წლამდე)
- Cambridge First – ქულა C
- FCE – ქულა C
- BEC Vantage – ქულა C
- ILEC - ჩათვლა B2 დონით
- Aptis Test - 140
- Pearson Tests:
- PTE General: დონე 3
- PTE Academic: 59
- TOEFL iBT: 72 (ვადა – 2 წლამდე)
- EF SET: 51
- Duolingo: 90
- Certus: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროექტი, 3 წლიანი ვადით: ქართული ენის სერტიფიკატი მიენიჭებათ მათ, ვინც აბარებს ტესტის 4-ივე ნაწილს; თუკი ტესტის ერთი ან რამდენიმე ნაწილი ბარდება, „ტესტის ანაგრიშის ფორმა“ გაიცემა.

ბ. ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი და მითითება, რომ სწავლება ხორციელდებოდა ინგლისურ ენაზე.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის მოთხოვნა შეიძლება გაუქმდეს, თუ ინგლისური არის აპლიკანტის მშობლიური ენა ან თუ მან დაამთავრა ინგლისურენოვანი სკოლა/უნივერსიტეტი იმ ქვეყანაში, სადაც ინგლისური არის ოფიციალური ენა.

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 კრედიტი

ჩარიცხვის პროცედურა აღწერილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნორმატიულ დოკუმენტში - სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება.

ჩარიცხვისთვის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში (0311) ან ბიზნესის ადმინისტრირებაში (041). კანდიდატებს, რომლებსაც აქვთ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სხვა დარგში ან დისციპლინაში, უნდა ჰქონდეთ 7-წლიანი მენეჯერული გამოცდილება ან GMAT-ის მინიმუმ 550 ქულა.

აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი C1 ან უფრო მაღალ დონეზე. ინგლისური ენის ცოდნის დასადასტურებლად, კანდიდატმა უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტი (ქაღალდის ფორმატით ან ონლაინ), რომელიც

შეესაბამება საერთო ევროპული ენების ჩარჩოს (CEFR) C1 დონეს, ან უნდა წარადგინოს საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს ენის ცოდნას (მაგალითად, Cambridge, Pearson, TOEFL და სხვ.), ან აკრედიტებული უნივერსიტეტის, სკოლის ან კოლეჯის ინგლისური ენის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა.

ასევე, კანდიდატმა უნდა წარადგინოს სადოქტორო კვლევითი განაცხადი და ჩააბაროს ზეპირი გამოცდა კვლევითი პროექტის განაცხადის შესახებ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიშები;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- უნივერსიტეტის ვებსაიტი: www.iliauni.edu.ge , https://iliauni.edu.ge/en/international
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელთან.
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა (240 კრედიტი)

პროგრამა 3: მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

პროგრამა 4. მენეჯმენტი, (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- 2.1. სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს უნივერსიტეტში მოქმედ დაგეგმვის მექანიზმსა და მეთოდოლოგიას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველსაყოფად.

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამები, მათი კომპონენტების მეშვეობით, უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო დონის შესაბამისად. ამ მიზნების მისაღწევად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სხვადასხვა ცენტრი და კვლევითი ინსტიტუტი და ასევე, გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სამეწარმეო ლაბორატორია FabLab, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ დატესტონ თავიანთი იდეები და მეტად განავითარონ ისინი FabLab-ის პერსონალის მხარდაჭერით.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა (240 კრედიტი)

პროგრამა 3: მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

პროგრამა 4. მენეჯმენტი, (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. განვითარება ხორციელდება სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების მეშვეობით, სწავლების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით (მაგალითად: შემთხვევების ანალიზი; დისკუსიები; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; როლური თამაშები და სიტუაციური თამაშები/სიმულაციები და სხვ.), პრაქტიკული მეცადინეობებისა და სემინარების დროს, კონკრეტულ თემებზე სტუდენტების მიერ მომზადებული ჯგუფური პრეზენტაციების მეშვეობით.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული კომპონენტი ინტეგრირებულია ზოგიერთ სავალდებულო კურსში, როგორიცაა: სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები; მარკეტინგის საფუძვლები; მეწარმეობა; პრაქტიკული მეწარმეობა; გათვალისწინებულია სწავლის შედეგების მისაღწევად და შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე დონის მოთხოვნებს. ყველა პროგრამაში არსებობს სპეციალობის არჩევითი კურსის - სტაჟირების არჩევის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ არსებობს სხვადასხვა ფორმალური შეთანხმება და მემორანდუმი დამსაქმებლებთან, მაგალითად: „გრინვეი“, „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო“, „კოკა-კოლა საქართველო“, „კასტელ საქართველო“, „T&K რესტორანი (მაკდონალდსი)“, „ირაო“, „Vimm-Bill-Dann საქართველო“, „PMC კვლევითი ცენტრი“, „ვისოლ პეტროლიუმ საქართველო“, „იმპექსფარმი“, „გასტრონომ ჯგუფი“, „GEC“, „ალტა“, „ბიბლუსი“, „თეგეტა მოტორსი“, „გეპრა“, „ექსპო ჯორჯია“, „ლომისი“, რომლებშიც მითითებულია, რომ საწარმოები სტუდენტებს სთავაზობენ სტაჟირებას (იმ შემთხვევაში, თუ ისინი აირჩევენ ამ კომპონენტს).

ასევე, უნივერსიტეტი აწყობს სხვადასხვა სახის პრაქტიკასა და სტაჟირებებს, მასტერკლასებს, ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციებსა და ვორქშოფებს, სადაც ბაკალავრიატის სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა უნარის განვითარებას.

რადგან სტაჟირება არჩევითი საგანია და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების კურიკულუმი არ მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს/პროექტს და პროგრამებში არცერთ კურსს არ გააჩნია პრაქტიკული/კვლევითი პროექტის სავალდებულო შეფასების კომპონენტი, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება არ არის საკმარისი.

პროგრამა 5 - მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

პროგრამა 6 - ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

პროგრამა 7 - ბიზნესის ადმინისტრირება, (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

სამაგისტრო პროგრამები პროგრამის კომპონენტების მეშვეობით უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლის შედეგების შესაბამისად.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების უნარის განვითარებას, წარმართონ კვლევითი პროცესი აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, რაც ხორციელდება აკადემიური წერის კურსის ფარგლებში. გარდა ამისა, აკადემიური წერის ცენტრი, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს სთავაზობს კონსულტაციებს აკადემიური ტექნიკების განვითარებისათვის.

პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი სავალდებულოა. ნაშრომი უნდა შესრულდეს ბოლო სემესტრში და ის ემსახურება სტუდენტის კვლევითი უნარების გაძლიერებასა და დემონსტრირებას. ასევე, კვლევითი პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარების განვითარებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერას სთავაზობს ბიზნესის კვლევების ცენტრი.

პროგრამა 8 - ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 კრედიტი

სადოქტორო პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებაზე.

უნივერსიტეტის თანახმად, ტრანსფერული უნარები ასევე ყალიბდება საერთაშორისო სადოქტორო სკოლის მიერ, რომელიც ატარებს ტრენინგებსა და სხვადასხვა აქტივობა სხვადასხვა თემაზე, მაგალითად: „ეფექტური აკადემიური კომუნიკაცია“, „საზოგადოებასთან ურთიერთობა ახალგაზრდა მეცნიერებისა და მკვლევარებისათვის“, „წყაროებთან მუშაობა: ინფორმაციის მოძიება და ლიტერატურის მიმოხილვა“, „კვლევითი მონაცემები – მართვა, ინფრასტრუქტურა და გამოყენება “, „სტრესის მართვა“, „პრეზენტაციის უნარები“, „სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი: მონაცემთა ვიზუალიზაცია და ცალი ცვლადის (Univariate) ანალიზი“, დოქტორანტი სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევარების საზაფხულო სკოლა კვლევის მეთოდებში, „საფუძვლის თეორია“ (Grounded theory) და სხვ. ასევე, უნივერსიტეტის თანახმად, სწავლების პრაქტიკულ უნარები უზრუნველყოფილია ასისტირების კომპონენტით და სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგით, რომელსაც დოქტორანტებს სთავაზობს „პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი“ (PPDC).

აღნიშნული ტრენინგები არ არის სავალდებულო, ხოლო ასისტირების კომპონენტი სავალდებულოა, თუმცა არ ფასდება. პროგრამაში არ არის სავალდებულო კურსები კვლევის მეთოდების, სწავლებისა და სწავლების მაღალი დონის მეთოდების შესახებ, ასევე არ არის სავალდებულო აქტივობები, რომელთა ფარგლებშიც დოქტორანტებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი კვლევა და მიიღონ უკუკავშირი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, კვლევითი/ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების განვითარება არ არის ეფექტიანად ორგანიზებული და შეფასებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა (240 კრედიტი)

პროგრამა 3: მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

პროგრამა 4. მენეჯმენტი, (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

რეკომენდაცი(ებ)ი:

○ 2.2.1. რეკომენდებულია საბოლოო სადიპლომო ნაშრომის წარდგენა ან სხვა მექანიზმების შექმნა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რათა დაკმაყოფილდეს სტანდარტის მოთხოვნები;

რჩევ(ებ)ი:

- 2.2.1. სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
- 2.2.2. სასურველია, სასწავლო პროგრამების 1-2 კურსს შეფასების სავალდებულო კომპონენტად დაემატოს სემესტრული პროექტი;
- 2.2.3. სასურველია, პრაქტიკის/სტაჟირების კომპონენტი გახდეს სავალდებულო.

პროგრამა 5 - მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

პროგრამა 6 - ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

პროგრამა 7 - ბიზნესის ადმინისტრირება, (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

რჩევ(ებ)ი:

2.2.1 სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა უნივერსიტეტის კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

პროგრამა 8 - ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 კრედიტი

რეკომენდაციები:

- 2.2.1. რეკომენდებულია კვლევის მეთოდებისა და სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდების კურსების სავალდებულოდ შემოღება.
- 2.2.2. რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ისეთი სავალდებულო აქტივობების შემოღება, სადაც დოქტორანტებს მოეთხოვებათ თავიანთი კვლევის წარდგენა და კვლევაზე უკუკავშირის მიღება.

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	☒	☐	☐

პროგრამა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	☒	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	☒	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	☐	☒	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელებისთვის გამოყენებულია სწავლებისა და სწავლის შესაბამისი მეთოდები. პროგრამებში ძირითადად შემოთავაზებულია კომპონენტები სწავლის შესაბამისი მეთოდებით.

სწავლებისა და სწავლისთვის გამოიყენება შემდეგი რესურსები:

- სალექციო დარბაზები და კომპიუტერული ლაბორატორიები;
- „არგუსი“ – არჩევის ელექტრონული სისტემა;
- Turnitin, ელექტრონული სწავლება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ელექტრონული მონაცემთა ბაზები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრი;
- ბიზნესის კვლევითი ცენტრი.

თითოეული პროგრამა განსაზღვრავს სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი შესაბამისი კურსების სილაბუსებსა და სახელმძღვანელოებში.

უმეტეს აკადემიურ კურსებში/საგნებში სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლებისა და სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ინტერაქციას როგორც თავად სტუდენტებს შორის, ისე პერსონალსა და სტუდენტებს შორის; მეთოდები ასევე

უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას სასწავლო პროცესში შესაბამისი ავტონომიითა და პასუხისმგებლობით და მიმართულია სტუდენტების სხვადასხვა უნარის, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

ინტერვიუების დროს დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოწვეულმა ან უნივერსიტეტის პერსონალმა ვერ შეძლო სწავლის შედეგებისა და სწავლების მეთოდების სრულად აღწერა, თუმცა პროგრამაში სწავლებისა და სწავლის მეთოდები მეტწილად მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური პროგრამები იქმნება და გამოიყენება სტუდენტების ინტერესებისა და აკადემიური მზადყოფნის შესაბამისად.

საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია ელექტრონული/დისტანციური სწავლების რესურსები.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა (240 კრედიტი)

პროგრამა 3: მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

პროგრამა 4. მენეჯმენტი, (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

ზოგადად, მენეჯმენტის კლასტერში დაჯგუფებული ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს, გამოყენებული მეთოდების შესაბამისობას განათლების საფეხურთან, კურსის შინაარსთან და სასურველ სწავლის შედეგებთან.

პროგრამები იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდს, რომელიც აქტიურად რთავს სტუდენტებს სასწავლო პროცესში. ამ მეთოდებში შედის: ინტერაქტიული ლექციები/სემინარები; მასტერკლასები; შემთხვევების ანალიზი; პროექტები; დისკუსიები/დებატები; ჯგუფური მუშაობა; თანამშრომლობითი სწავლება; პროექტზე/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; გონებრივი იერიში; რეფლექსია; როლური და სიტუაციური თამაშები/სიმულაციები; დემონსტრირების მეთოდი; მოდელირება; პრაქტიკული სამუშაოები; შებრუნებული საკლასო ოთახი (flipped classroom); ვერბალური ინსტრუქციები, წერითი დავალებები და სხვა.

სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება შესაბამისია კურსის შინაარსისთვის და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ სილაბუსში განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები განსაზღვრულია შესაბამისი კურსების სილაბუსებსა და სახელმძღვანელოებში. შესაბამისად, თითოეული კურსის სილაბუსი მკაფიოდ განსაზღვრავს სწავლების გამოყენებულ მეთოდებს, რაც ასახავს მეთოდებსა და კურსის მიზნებს შორის შესაბამისობას.

მეთოდები არა მხოლოდ მრავალფეროვანია, არამედ მოქნილიც, რაც ლექტორებს საშუალებას აძლევს, თავიანთი მიდგომა მოარგონ კურსის ან ინდივიდუალური სტუდენტის სპეციფიკურ საჭიროებებს. ეს

მოქნილობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში და უზრუნველყოფს, რომ განსხვავებული სასწავლო საჭიროებების მქონე სტუდენტებმა წარმატებით დაძლიონ სასწავლო პროცესი. მაგალითად, სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მიწოდება ასახავს ინკლუზიურობასა და აქცენტს პერსონალიზებულ განათლებაზე.

გარდა ამისა, მენეჯმენტის ყველა საბაკალავრო პროგრამა ისეა სტრუქტურირებული, რომ სწავლების მეთოდები ინტერაქტიული იყოს, რაც ხელს უწყობს აქტიურ ჩართულობას როგორც სტუდენტებს, ისე სტუდენტებსა და პერსონალს შორის. ეს ინტერაქცია არსებითია კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებისთვის, რაც პროგრამების სწავლის შედეგების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებზე ფოკუსი, როგორიცაა ჯგუფური დისკუსიები და ქეისების ანალიზი, გუნდური პროექტები, უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები ინფორმაციის პასიური მიმღებები არ იყვნენ, არამედ აქტიურად მონაწილეობდნენ საკუთარი ცოდნის შექმნაში. ეს მიდგომა კარგად შეესაბამება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს, სადაც აქცენტი კეთდება სტუდენტის აქტიურ როლზე სასწავლო პროცესში.

მიუხედავად ზემოთხსენებულისა, სილაბუსების დეტალურმა მიმოხილვამ (განსაკუთრებით ბიზნესის მართვის საგნობრივ კურსებში) აჩვენა, რომ უმეტეს კურსებში გამოიყენება სწავლებისა და შეფასების მსგავსი მეთოდები და ინსტრუმენტები. თუმცა, ზოგიერთი მათგანი უფრო მეტად ან ნაკლებად ვალიდურია კურსში მითითებული სწავლის შედეგების მისაღწევად (ეს აღნიშნულია ზემოთ, სასწავლო კურსების/საგნების განხილვის დროს, კომპონენტში 1.5.). ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ზოგიერთი სილაბუსი, სადაც გუნდური პრეზენტაცია ან/და ჯგუფური პროექტი გამოიყენება სტუდენტის კომპეტენციის შეფასების ინსტრუმენტად (მაგალითად, „სტატისტიკის საფუძვლები“, „ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები“, „პროექტების მართვის საფუძვლები“, „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ და ა.შ.), საჭიროებს გადახედვას, რათა დაემატოს შეფასების უფრო შესაბამისი ფორმები (განსაკუთრებით, დეტალურად აღწერილი რუბრიკები), რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის კომპეტენციის ვალიდურ და სანდო შეფასებას. სტუდენტების ინდივიდუალური მიღწევების ობიექტური და სანდო შეფასებისთვის, ასევე თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური უნარების, კომპეტენციებისა და ცოდნის განსაზღვრისა და გაზომვისთვის კონკრეტულ თემაზე ან საგანში/კურსში, სტუდენტის ძლიერი მხარეების გამოვლენისათვის, ხარვეზების იდენტიფიცირებისა და მისი ცოდნის დონის გაგებისთვის, შეფასება უნდა განხორციელდეს ვალიდური მეთოდების გამოყენებით, დეტალურად აღწერილი რუბრიკებით, გაზომვადი და სანდო ინდიკატორებით და შესაბამისი ქულებით. ჯგუფური პრეზენტაციის შეფასებისას, შემფასებელმა/ლექტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულმა სტუდენტმა აჩვენოს თანაბარი კომპეტენცია. გუნდური მუშაობისთვის შეფასების რუბრიკები არ უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის ობიექტურ და სანდო შეფასებას. შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები ზოგიერთი სილაბუსისთვის საჭიროებს გადახედვას და უფრო დეტალურად აღწერას.

გარდა ამისა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ზოგიერთი ლექტორი იყენებს და ახორციელებს სწავლების უფრო შესაბამის და ვალიდურ მეთოდებს ან შეფასების ინსტრუმენტებს სტუდენტების მიღწევების განსაზღვრის, გაზომვისა და შეფასებისთვის, მაგრამ გამოყენებული მეთოდები არ არის მითითებული სილაბუსებსა და პროგრამებში. სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი მეთოდები/ინსტრუმენტები, რომლებიც გამოყენებულია სწავლებისა და შეფასების პროცესებში.

შესაბამისად, ზოგიერთი სილაბუსი საჭიროებს გადახედვას სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების/რუბრიკების დეტალური აღწერის თვალსაზრისით.

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი
პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი
და
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

სამაგისტრო პროგრამებში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც შექმნილია სტუდენტების სასწავლო პროცესში აქტიურად ჩასართავად. აღნიშნული მეთოდები მოიცავს:

- ინტერაქტიული ლექციები და სემინარები;
- ანალიზი და სინთეზი;
- მასტერკლასები;
- შემთხვევის შესწავლა;
- პროექტები;
- განხილვა/ დებატები;
- თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა;
- გონებრივი იერიში, რეფლექსია;
- როლური თამაშები და სიტუაციური თამაშები/სიმულაციები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრეზენტაცია;
- ხელმძღვანელობა.

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 კრედიტი

სადოქტორო პროგრამებში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც შექმნილია სტუდენტების სასწავლო პროცესში აქტიურად ჩასართავად. აღნიშნული მეთოდები მოიცავს ხელმძღვანელობას;

- ლექცია და სემინარი;
- განხილვა;
- ანალიზი და სინთეზი;
- რეფლექსია;
- დემონსტრირება;
- პრაქტიკული მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის კურსების სილაბუსები/სახელმძღვანელოები;

- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამების დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- 2.3.1 სასურველია, არსებულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა სრულად განახორციელონ პროგრამის სწავლება - სწავლის მეთოდები.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამა 3. მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

პროგრამა 4. მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

რეკომენდაციები:

- 2.3.1. რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა (განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, სადაც გუნდური მუშაობა/ჯგუფური პრეზენტაცია/პროექტი გამოიყენება შეფასების მეთოდად) სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების/რუბრიკების დეტალური აღწერის თვალსაზრისით.

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი,	☐	X	☐	☐

საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS				
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	X	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

სტუდენტთა შეფასების პროცესი შეესაბამება როგორც შიდა (საუნივერსიტეტო), ასევე გარე რეგულაციებს (საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანება: "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" და "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკა სტუდენტის / პროფესიული სტუდენტის შეფასების, კრედიტის

მინიჭების, რეიტინგების და დამატებით ან განმეორებით გავლილი სასწავლო კურსის / კომპონენტის საფასურის გადახდის შესახებ").

სტუდენტების შეფასება პროგრამებში შემავალი კურსების ფარგლებში ხორციელდება კურსის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდებით და კომპონენტებით, რომლებიც უზრუნველყოფს კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას მათში განსაზღვრული გაზომვადი კრიტერიუმების და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტების შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდურობას და გამჭვირვალობას.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა შედგება მრავალი კომპონენტისგან და უზრუნველყოფს შეფასებას მინიმუმ სამი კომპონენტით (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება გულისხმობს სტუდენტის ცოდნის შეფასებას სემესტრის განმავლობაში ლექციების და სემინარებისთვის განსაზღვრული პერიოდში. საბოლოო შეფასება გულისხმობს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში. შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. საბოლოო შეფასებისთვის დადგენილი ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. საბოლოო შეფასების კონკრეტული წილი არ აღემატება 30 ქულას. საბოლოო შეფასება წარმოადგენს კურსის სავალდებულო კომპონენტს.

შეფასება ეფუძნება 100-ქულიან სკალას. შეფასების სისტემაში ქულები განაწილებულია შემდეგნაირად:

- (A) 91 - 100 ფრიადი
- (B) 81 - 90 ძალიან კარგი
- (C) 71 - 80 კარგი
- (D) 61 - 70 დამაკმაყოფილებელი
- (E) 51 - 60 საკმარისი
- (FX) 41 - 50 ქულა - არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ესაჭიროება მეტი ძალისხმევა გამოცდის ჩასაბარებლად და ეძლევა შესაძლებლობა დამოუკიდებელი მუშაობით ჩააბაროს დამატებითი გამოცდა.
- (F) 0 - 40 ქულა - ჩაიჭრა, სტუდენტის ძალისხმევა არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს გასავლელი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ფასდება შემდეგი სისტემით:

- ფრიადი (summa cum laude) – საუკეთესო ნაშრომი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც ყოველ მხრივ აჭარბებს დადგენილ მოთხოვნებს;
- კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც აჭარბებს დადგენილ მოთხოვნებს;
- საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს;
- დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, მაინც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
- არასაკმარისი - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს.

თუ დოქტორანტი მიიღებს "A" - "E" სექციებში მითითებულ შეფასებებს, მას მიენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. თუ დოქტორანტი მიიღებს "F" სექციაში მითითებულ შეფასებას, მას ეძლევა უფლება ერთი წლის ვადაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. თუ დოქტორანტი მიიღებს "G" სექციაში მითითებულ შეფასებას, მას აღარ აქვს უფლება წარადგინოს იგივე სადისერტაციო ნაშრომი.

სამაგისტრო / სადისერტაციო ნაშრომის შეფასება მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურზე ხორციელდება ერთჯერადად და ითვალისწინებს რამდენიმე კომპონენტს. ნაშრომი ფასდება კოლეგიალური შეფასებით, კომისიური წესით. ნაშრომის შეფასების პროცესში მონაწილეობს ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი და დაცვის შემფასებელი კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის მოქმედი სპეციალისტებით.

სამაგისტრო / სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ითვალისწინებს კონკრეტული დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი და მითითებულია სამაგისტრო / სადისერტაციო ნაშრომის სახელმძღვანელო დოკუმენტში.

სამაგისტრო / სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისთვის გამოიყენება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი. ნაშრომებში აღნიშნული სტილის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები დეტალურად არის გაწერილი სამაგისტრო / სადისერტაციო ნაშრომის სახელმძღვანელოში.

პლაგიატის პრევენციის მიზნით, ნაშრომები იტვირთება e-Learning პლატფორმაზე და მათ შორის მსგავსების დასადგენად გამოიყენება Turnitin -ის სისტემა. ნაშრომის ხელმძღვანელი ფაკულტეტს წარუდგენს დასკვნას ნაშრომის დასაცავად მზადყოფნის შესახებ და მიუთითებს ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შედეგებს.

თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრულია კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში ასევე მითითებულია შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები. თითოეული კურსში გამოყენებული შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის ელექტრონული არჩევის სისტემის "არგუსის" მეშვეობით. "არგუსის" სისტემაში შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების წინასწარ განსაზღვრა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სისტემის გამჭვირვალობას, ობიექტურობას და სამართლიანობას.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში, მიმართონ ფაკულტეტს / სკოლას საპელაციო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოცდების ერთიანი სისტემის შექმნის / ადმინისტრირების, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის, სტუდენტების შეფასების სისტემის ობიექტურობის

და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის და საგამოცდო პროცესის შეფერხების გარეშე წარმართვის მიზნით, ბიზნესის სკოლაში შექმნილია საგამოცდო ცენტრი. აღნიშნული ცენტრი ზედამხედველობას უწევს სხვადასხვა საგანში შუალედური და დასკვნითი გამოცდების ადმინისტრირებას. პანდემიის პერიოდში სპეციალურად დაშვებული ონლაინ სწავლების ფორმასთან სრულად ადაპტირების მიზნით, 2020 - 2021 წლებში, საგამოცდო ცენტრმა თანამშრომლებს ჩაუტარა ტრენინგები და ვიდეო ინსტრუქციები სწავლების / გამოცდების ინოვაციური მეთოდების შესახებ, რითაც შესაძლებელი გახადა ონლაინ შეფასების პროცესის ეფექტური განხორციელება და მონიტორინგი. 2022 წელს ცენტრი გადავიდა მუშაობის ოფლაინ ფორმატზე და აღნიშნულ ეტაპზე უზრუნველყოფს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თხუთმეტი აკადემიური კურსის საგამოცდო პროცესის ორგანიზებას.

პროგრამის სტუდენტებს და აკადემიურ / მოწვეულ პერსონალს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, ერთი მხრივ, გამოიყენება ელექტრონული სისტემა "არგუსი", რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტს და ლექტორს შორის მუდმივი კომუნიკაციის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, დადგენილია ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები. დამატებით, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ ლექტორის უკუკავშირი მათი ნამუშევრის და შეფასების შესახებ შუალედური შეფასების შემდეგ თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში. სწავლის პროცესში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს აკადემიური / მოწვეული პერსონალისგან მათი მიღწევების და გაუმჯობესების შესაძლებლობების შესახებ. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ელექტრონული სწავლების პლატფორმა.

დამატებით, შეფასების პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ლექტორების სახელმძღვანელო დისტანციური საგანმანათლებლო ფორმატის შემთხვევაში რეკომენდებული შეფასების მეთოდების და მიდგომების შესახებ, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით.

პროგრამის საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით, სტუდენტების აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზისთვის გამოიყენება ისეთი ძირითადი ინდიკატორები, როგორიც არის საშუალო და მედიანა, სიხშირე და სტანდარტული გადახრა. აღნიშნული მონაცემები გროვდება "არგუსის" სისტემის მეშვეობით, ხოლო ანალიზის პროცესში მონაწილეობს პროგრამის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები და სასწავლო პროცესის შეფასების და განვითარების სპეციალისტი. უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური მოსწრების შეფასების აღნიშნული კომპლექსური სისტემა შემუშავდა 2022 წელს და მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს მისი დანერგვის პროცესი.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტურობის შესახებ. გამოკითხვების შედეგად დადგინდა, თუ რამდენად კარგად იყვნენ სტუდენტები წინასწარ ინფორმირებულნი შეფასების სისტემის შესახებ, იყო თუ არა შეფასება ობიექტური, დროულად აიტვირთა თუ არა შეფასების შედეგები "არგუსში", მიიღეს თუ არა უკუკავშირი ლექტორისგან საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და ა.შ. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია

ლექტორებისთვის და ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის მოდიფიცირებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულო პერსონალმა სათანადო დონეზე იცის შეფასების თანამედროვე მეთოდები. დამატებით, სასწავლო კურსების შემუშავების, განახლების და გაუმჯობესების პროცესში, პროგრამაში ჩართული პერსონალი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით იღებს კონსულტაციებს და მხარდაჭერას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან, მათ შორის შეფასების მექანიზმებზე და მიდგომებზე.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შექმნილია "პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი", რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით პროგრამის ადმინისტრატორებს, ხელმძღვანელებს და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს სთავაზობს ტრენინგ მოდულებს პროგრამის შედეგების განსაზღვრის, შეფასების და ანალიზის შესახებ. ტრენინგ მოდულები შემუშავებულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით და წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- სახელმძღვანელოები;
- საგამოცდო ცენტრის დებულება;
- ელექტონული არჩევის სისტემა "არგუსი"; http://argus.ge/ge/
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკა სტუდენტის / პროფესიული სტუდენტის შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგების და დამატებითი ან განმეორებით გავლილი კურსების/კომპონენტების საფასურის გადახდის შესახებ;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდი;
- სისტემები: http://elearning.iliauni.edu.ge და http://turnitin.com
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები;
- პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის დებულება;
- პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგები;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამების დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 2.4. სტუდენტების შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბა კალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი),	x	☐	☐	☐

სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS				
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი,	x	☐	☐	☐

სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS				
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამის სტუდენტები იღებენ საჭირო ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმების და კარიერული წინსვლის საკითხებთან დაკავშირებით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტი ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც დაინტერესებული პირები იღებენ დეტალურ ინფორმაციას სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ.

სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო დატვირთვა მოიცავს სტუდენტების კონსულტირებისთვის გამოყოფილ საათებს. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სასწავლო პროცესის მართვის და მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა "არგუსი" - ელექტრონული არჩევანის სისტემა.

უნივერსიტეტი სისტემაში არეგისტრირებს ყველა სტუდენტს, სთავაზობს მათ სასწავლო კურსებს, აქვე ათავსებს ელექტრონულ სასწავლო მასალებს და სილაბუსებს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასება, სილაბუსებში განსაზღვრულია შეფასების სისტემა შესაბამისი კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.

"არგუსის" მეშვეობით სტუდენტები ირჩევენ სასწავლო კურსებს, ამოწმებენ თავიანთ შეფასებებს და დაგროვილ კრედიტებს. სისტემაში აისახება საბოლოო და შუალედური შეფასებები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს კურსის თითოეულ კომპონენტში შეაფასონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები და საბოლოო შეფასების მიღებამდე დაგეგმონ სწავლის შედეგების გაუმჯობესების სტრატეგია.

სისტემა ასევე გამოიყენება, როგორც საკომუნიკაციო პლატფორმა აკადემიურ პერსონალს, სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა პირებს და სტუდენტებს შორის. "არგუსის" მეშვეობით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მთელი წლის განმავლობაში ეკონტაქტონ სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებს, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.
სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკონსულტაციო ციკლი და შესაძლებლობები ითვალისწინებს შემდეგს:

- ახლად ჩარიცხულ სტუდენტებთან ფორმდება ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ და დეტალურად არის განსაზღვრული სწავლის პირობები და პასუხისმგებლობები;
- ახლად ჩარიცხულ / მიღებულ სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრები, იმისათვის, რომ მათ გააცნონ სასწავლო პროცესის ძირითადი ასპექტები.
- ჩარიცხვისთანავე სტუდენტები უერთდებიან საინფორმაციო ქსელს. იმისათვის, რომ სრულად იყვნენ ჩართულნი უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო სივრცეში და შეუფერხებლად მიიღონ ყველა სახის ინფორმაცია მათ გადაეცემათ კორპორატიული ელ - ფოსტა და "არგუსის" პაროლი.
- ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სტუდენტური საქმეების დეპარტამენტი ამზადებს საინფორმაციო მასალას (ახლად ჩარიცხული სტუდენტების გზამკვლევს), რომელიც დეტალურად აღწერს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ უნივერსიტეტის შიდა პროცედურებს; აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას უნივერსიტეტის სხვადასხვა რეგულაციის შესახებ, მათ შორის ეთიკის ნორმების და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების შესახებ. სწავლის დაწყებისთანავე აღნიშნული მასალა ელექტრონული ფორმით მიეწოდება პირველი სასწავლო წლის ყველა საფეხურის სტუდენტებს, მათ შორის მობილობით ჩარიცხულებს. საინფორმაციო მასალა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, ასევე პირადად ეგზავნებათ სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის და "არგუსის" მეშვეობით;
- ფაკულტეტს ჰყავს პროგრამის კოორდინატორები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ სტუდენტებთან. სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ კოორდინატორებს კონსულტაციისთვის; თუმცა, მათ ასევე შეუძლიათ გამოიყენონ ელ - ფოსტა, "არგუსი" ან ტელეფონი. კოორდინატორი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან და მიმდინარეობასთან დაკავშირებით და აძლევს მათ შესაბამის რეკომენდაციებს და რჩევებს; პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე

სტუდენტების კონსულტირებას, მათ შორის მობილობის, კრედიტების აღიარების, სასწავლო კურსების პროგრამასთან თავსებადობის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების და ა.შ. ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა რეგულარულად ატარებს ტრენინგებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემის და რესურსების გამოყენების შესახებ. შესაბამისი ინფორმაცია რეგულარულად ქვეყნდება ვებ - გვერდზე და ეგზავნება სტუდენტებს ელ - ფოსტის მეშვეობით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც სთავაზობს სტუდენტებს შესაძლებლობას: გაიარონ ონლაინ რეგისტრაცია ცენტრის მიერ შეთავაზებულ სემინარებზე, რომლებიც სინქრონიზებულია ცენტრის მიერ შემუშავებული სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო კომპონენტებთან და დამატებით სთავაზობს სტუდენტებს დახმარებას წერითი უნარების განვითარებაში.
- ისარგებლონ აკადემიური წერის ცენტრის მიერ შექმნილი ონლაინ რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე: http://writingcentre.iliauni.edu.ge/. http://writingcentre.iliauni.edu.ge/ ზემოხსენებული აკადემიური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიური წერის ცენტრი იყენებს ისეთ რესურსებს, როგორიც არის ელექტრონული სწავლების პლატფორმა და Turnitin - ის პროგრამა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი. ცენტრში დასაქმებული კვალიფიციური სპეციალისტები უზრუნველყოფენ სტუდენტების ფსიქოლოგიურ კონსულტირებას. უახლეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით და რეგულარული ხელმძღვანელობის თანხლებით, ცენტრში სტუდენტებს დახმარებას უწევენ პროფესიონალები, რომლებსაც დასრულებული აქვთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამები, მათ შორის მენტალური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა. ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც ესაჭიროება დახმარება და მხარდაჭერა ისეთ გავრცელებულ ფსიქოსოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორიც არის შფოთვა, დეპრესია, სხვადასხვა შიშები, ურთიერთობების პრობლემები, სტრესთან დაკავშირებული მდგომარეობები და ა.შ., შეუძლია მიმართოს საკონსულტაციო ცენტრს.

სტუდენტების აკადემიური და კარიერული წინსვლის, მათი ხელმძღვანელობის და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის, საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფის და ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს სპეციალური სტრუქტურული ერთეული - ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი. დეპარტამენტი რეგულარულად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას ან პროექტს უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურთან და გარე პარტნიორთან თანამშრომლობით. სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ორგანიზებულია შემდეგი ღონისძიებები: მარი ბურდულის კარიერის თვე, რომლის ფარგლებშიც 2019 -2022 წლებში ჩატარდა დაახლოებით 100 - მდე დარგობრივი დასაქმების ფორუმი; 80 - მდე შეხვედრა წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებთან და დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვასა და მართვაში ჩართულ პირებთან; ილიაუნის ონლაინ პლატფორმაზე განთავსდა 10 - მდე სასწავლო კურსი; პროექტი ADS GEORGIA, რომელიც განხორციელდა ქვეყნის წამყვან საკომუნიკაციო და კრეატიულ სააგენტოებთან თანამშრომლობით; პროექტი Restart, რომელიც განხორციელდა

საკონსულტაციო კომპანია "ჯეპრასთან" თანამშრომლობით; პროექტი Tourmode, რომელიც განხორციელდა ტურიზმის ეროვნულ ცენტრთან და ტურისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით; სტუდენტების ანაზღაურებადი სტაჟირების პროექტები. სტუდენტების კარიერული განვითარების და დასაქმების მიმართულებით, სტუდენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტი დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა UNIJOBS - ის ფარგლებში არეგისტრირებს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კარიერული განვითარების სერვისების ბაზაში. შედეგად, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება ვაკანსიების, სტაჟირების პროგრამების, დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული შეთავაზებების გაფილტვრა და აპლიკანტებისთვის მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდება ყოველდღიურ რეჟიმში, მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე. აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების დასაქმების მიზნით, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი რეგულარულად იღებს შეთავაზებებს სხვადასხვა კომპანიისგან, რომელთა რეგისტრაცია, შესაბამისი ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება პარალელურ რეჟიმში. ამჟამად, დაახლოებით 500 დამსაქმებლია დარეგისტრირებული შესაბამის მონაცემთა ბაზაში. ყოველწლიურად, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას 1000 - ზე მეტი ვაკანსიის შესახებ. ამავდროულად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მთელი წლის განმავლობაში იმართება სხვადასხვა კომპანიის დასაქმების დღეები და მის ფარგლებში კომპანიების წარმომადგენლები ხვდებიან შესაბამისი სფეროების სტუდენტებს და წარუდგენენ ინფორმაციას მათზე მორგებულ სხვადასხვა ვაკანსიასთან დაკავშირებით. თემატური ფორუმების და და შეხვედრების გარდა, ილიაუნის სტუდენტური საქმეების დეპარტამენტი ყოველწლიურად მართავს დასაქმების კულმინაციურ კვირეულს და ფორუმს, რომელზეც წარმოდგენილია ათობით კომპანია მიმდინარე ვაკანსიებით. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ინფორმაციას დასაქმების ფორუმის შესახებ იღებენ უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის, ვებგვერდის, სოციალური ქსელების ოფიციალური გვერდების და ჯგუფების მეშვეობით. ზემოაღნიშნულის გარდა, უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას და აქტივობას სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. დეპარტამენტის ეგიდით რეგულარულად ტარდება ისეთი აქტივობები, როგორიც არის: საკონსულტაციო / საინფორმაციო შეხვედრები, საველე ტურები / ბანაკები, სამუშაო შეხვედრები, დასაქმების ფორუმები, სპორტული და კულტურული აქტივობები და სხვა კურიკულუმის გარე აქტივობები. ასევე, დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერაში. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტთან არსებული სტუდენტური პროექტების განმხილველი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს სტუდენტების მიერ ინიცირებული საპროექტო წინადადებების მხარდაჭერის შესახებ. დეპარტამენტის მიერ ზემოაღნიშნული მიმართულებით ორგანიზებულია შემდეგი ღონისძიებები / პროექტები: საველე ბანაკები საუკეთესო მიღწევების მქონე პირველკურსელებისთვის – საუნივერსიტეტო ცხოვრებაში უკეთ ინტეგრაციისთვის, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზებზე აწყობს საველე ბანაკებს იმ პირველკურსელებისთვის, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგებით ჩაირიცხნენ ილიაუნში. აღნიშნული აქტივობების ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან საუნივერსიტეტო გარემოს და პრინციპებს და იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნულ საველე ბანაკებში ფაკულტეტებთან ერთად მონაწილეობენ უნივერსიტეტის სხვა სამსახურებიც, მაგალითად, აკადემიური წერის ცენტრი. ცენტრის პედაგოგები აღნიშნული გასვლითი ღონისძიებების დროს ატარებენ სესიებს პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. 2018 -

2023 წლებში ჩატარდა 14 სამდღიანი საველე ბანაკი, რომელშიც მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცა ჯამში დაახლოებით 400 სტუდენტს; სტუდენტური კლუბები – კურიკულუმის გარე აქტივობების წახალისების და სტუდენტების საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციის მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს როგორც პროფესიული სტუდენტური კლუბები, ასევე სახელოვნებო, კულტურული და შემეცნებითი კლუბები. აღნიშნული კლუბები წარმოადგენს სტუდენტური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს და საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანებულ სტუდენტურ საზოგადოებებს. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტურ კლუბებთან თანამშრომლობაში. 2023 წლის მდგომარეობით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 20 სტუდენტური კლუბი, მათ შორის: "დებატების კლუბი", "მენეჯერთა კლუბი", "კლუბი რა? სად? როდის?" "Google -ის დეველოპერთა კლუბი" და სხვა. კლუბებს, ისევე როგორც ცალკეულ სტუდენტს ან ინიციატივის ჯგუფს, შესაძლებლობა აქვთ მოახდინონ ნებისმიერი პროექტის ინიცირება, რომელიც წარედგინება სტუდენტური პროექტების განმხილველ კომიტეტს. კომიტეტის მიერ დამტკიცების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მხარდაჭერილი პროექტ(ებ)ის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური, ფინანსური თუ სხვა რესურსების გამოყოფას; სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა – უნივერსიტეტში არსებობს მუდმივმოქმედი ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების, სტუდენტური კლუბების და სტუდენტური ინიციატივის ჯგუფების მიერ ინიცირებული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. 2018 - 2023 წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ინიცირებული იყო 436 სტუდენტური პროექტი, რომელთაგან 88% მოწონებულ იქნა სტუდენტური პროექტების განმხილველი კომისიის მიერ და უნივერსიტეტმა უზრუნველყო სტუდენტებისთვის პროექტების განსახორციელებლად საჭირო რესურსების გამოყოფა. აღნიშნული პროექტების ფარგლებში სტუდენტებს და სტუდენტურ კლუბებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან აქტივობებში ან თავად დაეგეგმათ და გაეკეთებინათ ორგანიზება სასურველი ღონისძიებისთვის. მაგალითად, ხალხური სიმღერის და ცეკვის კლუბებმა სტუდენტური პროექტების მეშვეობით მონაწილეობა მიიღეს ათობით კულტურულ ფესტივალში საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. დაფინანსდა სტუდენტების მონაწილეობა ევროპის უნივერსიტეტების თამაშებში, რომელიც წარმოადგენს სტუდენტებისთვის გამართულ ერთ - ერთ უმსხვილეს სპორტულ და კულტურულ ღონისძიებას. სტუდენტური პროექტების ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ განეხორციელებინათ მსხვილი საგანმანათლებლო პროექტები: "Copy Break", ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?", რომელიც იმართება ყოველ სემესტრში, "PR დღეები". სტუდენტური პროექტების ფარგლებში, ილიაუნის სტუდენტებისგან შემდგარ გუნდს საშუალება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ სტარტაპების კონკურსში, რომელშიც გაიმარჯვეს; საველე ტურები / ბანაკები - საველე ტურები / ბანაკები წარმოადგენს უნივერსიტეტის კურიკულუმის გარე აქტივობების მნიშვნელოვან ნაწილს. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, ასევე ფაკულტეტები და აკადემიური პერსონალი აწყობენ სხვადასხვა თემატურ სკოლებს. 2019 - 2023 წლებში სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ ფაკულტეტების მხარდაჭერით განხორციელდა 13 აღნიშნული სახის საველე ტური / ბანაკი. მაგალითად, 2023 წლის ნოემბერ - დეკემბერში განხორციელდა ინტერდისციპლინური ზამთრის სკოლა "საქართველო და ევროპა: კავშირები და პერსპექტივები". აღნიშნული სკოლა მიეძღვნა საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას. მასში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პროგრამის დაახლოებით 30 -მა სტუდენტმა და 15 - მა პროფესორმა; სპორტი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრების ერთ - ერთ მიმართულებას წარმოადგენს სპორტული კლუბები და სპორტული აქტივობები. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ყოველსემესტრულად ადმინისტრირებას უწევს

შიდასაუნივესრიტეტო ჩემპიონატს 9 სპორტის სახეობაში (მინი - ფეხბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, ბილიარდი, მკლავჭიდი, ფრენბურთი, ბოულინგი, ძიუდო). უნივერსიტეტს ასევე ჰყავს 5 საუნივერსიტეტო ნაკრები შემდეგ სპორტის სახეობებში: ფუტსალი (ვაჟთა ნაკრები); ფრენბურთი (გოგონათა ნაკრები); ფრენბურთი (ვაჟთა ნაკრები); კალათბურთი (ვაჟთა ნაკრები). 2018 - 2023 წლებში შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატებში და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობდა 4600 - ზე მეტი სტუდენტი; საერთაშორისო სეზონური სკოლები - ადგილობრივი საველე სკოლების / ბანაკების გარდა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგულარულად მასპინძლობს საერთაშორისო სეზონურ სკოლებს, სადაც ილიაუნის სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობენ უცხოელი პროფესორები და სტუდენტები.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ., Erasmus+) და უზრუნველყოფს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სამსახური სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მხარდამჭერ სერვისს: უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ვებგვერდის, "არგუსის", ელ - ფოსტის და სოციალური ქსელების მეშვეობით; სტუდენტებთან ატარებს რეგულარულ საინფორმაციო შეხვედრებს; დაინტერესებულ სტუდენტებს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციას; ეხმარება სტუდენტებს ფაკულტეტებთან სასწავლო ხელშეკრულებების გაფორმების პროცესში; გამარჯვებულ სტუდენტებთან ატარებს გამგზავრებისწინა საორიენტაციო შეხვედრებს; უზრუნველყოფს შესაბამისი ოფიციალური წერილების მომზადებას და სტუდენტების სავიზო განცხადებების მხარდაჭერას; უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას შიდასაუნივერსიტეტო პროცედურების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში, აგრძელებს სტუდენტების მხარდაჭერას მობილობის პერიოდში სხვადასხვა საკითხების მოგვარების მიზნით. დამატებით, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ (საზაფხულო სკოლები, საერთაშორისო სტიპენდიები, კონფერენციები, სტაჟირებები და ა.შ.) ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელთა ადმინისტრირებასაც არ ახდენს უნივერსიტეტი. საერთაშორისო პროგრამების განვითარების ხელშეწყობის, ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის, მათი კონსულტირების და მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია საერთაშორისო სტუდენტების და პროგრამების მარკეტინგის სამსახური. სამსახური უძღვება შემდეგ საქმიანობებს: უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა; ადგილობრივი სტუდენტების მოზიდვა; საერთაშორისო სტუდენტების მიღება და ჩარიცხვა; საერთაშორისო სტუდენტების სასწავლო პროცესის მონიტორინგი; საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერა; საერთაშორისო სტუდენტების კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნულის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ცენტრალურად ფუნქციონირებს ილიაუნის FabLab - ი. თავდაპირველად დამოუკიდებლად მოქმედი, 2022 წელს ის გახდა ტექნოლოგიური მეწარმეობის და ინოვაციების განვითარების ცენტრის ნაწილი. აღნიშნული წარმოადგენს საქართველოში უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილ პირველ FabLab - ს, რომელიც შეიქმნა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მედია ლაბის (MIT Media Lab) მოდელის მიხედვით. FabLab - ი სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას რეალობად აქციონ ინოვაციური იდეები კვალიფიციური პერსონალის და თანამედროვე აღჭურვილობის დახმარებით. FabLab ილიაუნი სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს (აკადემიურ პერსონალს,

მოსწავლეებს და ფართო საზოგადოებას) სრულიად უსასყიდლოდ სთავაზობს პრაქტიკულ, გამოყენებით უნარებზე ორიენტირებულ კურსებს ტექნოლოგიების სფეროში. აღნიშნული კურსების მიზანია მონაწილეებს მისცეს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და უნარები და აღნიშნულით გაზარდოს მათი დასაქმების პერსპექტივები. Fablab - ის მიერ განხორციელებული სასწავლო კურსებია: გრაფიკული დიზაინის კურსი (Adobe Illustrator, Adobe Photoshop, Coreldraw), 3D მოდელირების კურსი (Cinema 4D, Fusion 360, Rhino), ბლოკური პროგრამირება, სოციალური მედიის კურსი, მეწარმეობის კურსი, მობილური აპლიკაციების განვითარება, ვებ განვითარება, Python - ის კურსი, თამაშების შექმნის კურსი, ელექტრონიკის კურსი, ციფრული უსაფრთხოება, რობოტიკის კურსი, 3D ბეჭდვის კურსი და სხვა მრავალი. 2017 წლიდან Fablab ილიაუნის დახმარებით 3000 - ზე მეტმა სტუდენტმა გაიარა ტრენინგი ზემოაღნიშნულ სხვადასხვა სფეროში, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან კურსებს. დაარსების დღიდან Fablab - ი დაეხმარა 300 - ზე მეტ სტარტაპს ან დამწყებ მეწარმეს, მათ შორის სტუდენტურ სტარტაპებს პროდუქტების განვითარებაში, პროტოტიპირებაში და საბოლოო პროდუქტების შექმნაში.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, შეიქმნა ტექნოლოგიური მეწარმეობის და ინოვაციების განვითარების ცენტრი როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული და მის ქვეშ გაერთიანდა FabLab ილიაუნი, Zoomout პრე - აქსელერატორი და Gamelab - ი. ცენტრი მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის ფარგლებში, მიზნად ისახავს სტუდენტების საჭიროებებზე და კარიერულ მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისების მიწოდებას. დაარსების დღიდან ცენტრი აქტიურად აგრძელებს FabLab - ის და Zoomout პრე -აქსელერატორის არსებულ აქტივობებს და პროექტებს და ასევე ახორციელებს უნივერსიტეტის სტუდენტების, სტუდენტური სტარტაპების, დამწყები მეწარმეების და მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს. 2023 წელს ცენტრის ინიციატივით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა Startup Grind - ის საუნივერსიტეტო წარმომადგენლობის ოფისი. Startup Grind - ი წარმოადგენს გლობალურ ორგანიზაციას, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით აერთიანებს 3 მილიონამდე მეწარმეს. ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს სტარტაპების აღმოჩენა და განვითარების ხელშეწყობა, ცოდნის გაზიარება და სამეწარმეო საზოგადოებების შექმნა. უნივერსიტეტის ბაზაზე წარმომადგენლობის დარეგისტრირებით ცენტრი ახორციელებს მრავალ ღონისძიებას, სადაც სტუდენტები მონაწილეობენ როგორც მოხალისეები, რომლებიც იღებენ რეალურ პრაქტიკულ გამოცდილებას და აწყობენ შეხვედრებს, ერთვებიან სამუშაო პროცესში, რაც ხელს უწყობს მათ განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებული სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში: "ბიზნესის ადმინისტრირება" (ინგლისურენოვანი) და ბურგენლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პერიოდულად მასპინძლობს ბურგენლანდის უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს და აწყობს აკადემიურ ღონისძიებებს, რაც პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს დაამყარონ საერთაშორისო კავშირები.

დოქტორანტებისთვის, ზემოთ წარმოდგენილი საკონსულტაციო სერვისების გარდა, არსებობს შესაძლებლობა მიიღონ უკუკავშირი მათი კვლევის მიმდინარეობის შესახებ პერსონალისგან და პროგრამაში ჩართული დოქტორანტებისგან სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული

კოლოკვიუმების ფარგლებში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე დოქტორანტების და მათი ხელმძღვანელების ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა და დოკუმენტის სახით გაზიარდა სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

დამატებით აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შექმნილია "პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი", რომელიც დოქტორანტებს სთავაზობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა სახის ტრენინგებს, მაგალითად, "სწავლების თანამედროვე მეთოდები", "აქტიური სწავლება შებრუნებულ საკლასო ოთახში" და ა.შ. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში დოქტორანტებისთვის ტარდება პროფესიული განვითარების ტრენინგები და აქტივობები, მაგ.: "ეფექტური აკადემიური კომუნიკაცია", "PR ახალგაზრდა მეცნიერებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის", "წყაროებთან მუშაობა, ინფორმაციის მოძიება და ლიტერატურის მიმოხილვა", "კვლევის მონაცემები - მართვა, ინფრასტრუქტურა და აპლიკაციები", "სტრესის მართვა", "პრეზენტაციის უნარები", "სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი: მონაცემთა ვიზუალიზაცია და უნივარიაციული ანალიზი", სადოქტორო სტუდენტების და ახალგაზრდა მკვლევარებისთვის საზაფხულო სკოლა კვლევის მეთოდებზე, "დასაბუთებული თეორია" და სხვა. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს დოქტორანტების განვითარებას.
კარლ ფრიდრიხ ლემან - ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში განიხილება ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის / ქსელის შექმნა ინფორმაციის გაცვლის, თავდაპირველი / შუალედური კვლევის შედეგების, ანგარიშების, კოლოკვიუმების შეგროვების, ორგანიზების და პოპულარიზაციის მიზნით, ასევე მათი კვლევის ფინანსური მხარდაჭერის, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სადოქტორო სტიპენდიების მოძიებაში დახმარების მიზნით.

ინფორმაციის გავრცელება უზრუნველყოფილია ყველა ზემოაღნიშნული სამსახურის მიერ ვებგვერდის, "არგუსის", ელექტრონული ფოსტის და სოციალური ქსელების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება;.
- საერთაშორისო სტუდენტების და პროგრამების მარკეტინგის სამსახურის დებულება;
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება;
- განვითარების სამსახურის დებულება;
- სტუდენტების ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი; https://bit.ly/3MoRMxu
- სტუდენტური საქმეების დეპარტამენტის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა: http://library.iliauni.edu.ge
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/foreignrelations/gacvliti-programebi
- ელექტონული არჩევის სისტემა "არგუსი"; http://argus.ge/ge/
- უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში (ხელმისაწვდომია ფაკულტეტზე);
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები - სრულად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში;

- სერვისების კვლევის ანგარიში (ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში);
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის დებულება;
- პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგები;
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებ - გვერდი; http://writingcentre.iliauni.edu.ge/ ;
- ფაბლაბ ილიაუნის ვებ - გვერდი; https://fablab.iliauni.edu.ge/
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამების დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- 3.1.1 სასურველია სტუდენტური სერვისების მრავალფეროვნების გაზრდა მათი საჭიროებებისა და სურვილების კვლევის საფუძველზე, იმისთვის რომ სერვისები მორგებული იყოს სხვადასხვა ტიპის სტუდენტზე და არ იყოს ყველასთვის ერთნაირი მიდგომა გამოყენებული.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐

პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბა კალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელო, რომელიც ითვალისწინებს თითოეული პროგრამის სპეციფიკას. აღნიშნული დოკუმენტები უზრუნველყოფენ სამაგისტრო საფეხურზე არსებული მოთხოვნების და პროცესების სისტემატიზაციას და რეგულირებას, ხელმძღვანელის უფლება - მოვალეობების გათვალისწინებით. ვებ - გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფილების და

კვლევითი ინტერესების შესახებ, რაც ხელს უწყობს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების მიერ ხელმძღვანელების შერჩევის პროცესს მათი კვლევითი ინტერესების შესაბამისად. ზემოაღნიშნული ინფორმაცია პერსონალის კვლევითი ინტერესების შესახებ, ასევე სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელო გამოქვეყნებულია ელექტრონული არჩევანის სისტემაში "არგუსში". სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა იწყება საბოლოო (მე-4) სემესტრში. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტის მიერ ხელმძღვანელის და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელის შერჩევა ხორციელდება საბოლოო სემესტრის წინა სემესტრში. პროგრამა სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის და სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილების მქონე კვალიფიციური აკადემიური ან მოწვეული პერსონალით.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება და აღნიშნული პირი შეიძლება იყოს: აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას / მიმართულებას; შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც დაცული აქვს პროსპექტუსი შესაბამისი მიმართულებით ან შესაბამის დარგში ან აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი გამოქვეყნება; შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორის ხარისხი და ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოყვეყნებული აქვს სტატიები საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში. სტუდენტთან სამაგისტრო ნაშრომზე შეთანხმების შემდეგ, ხელმძღვანელი წარადგენს შესაბამის თანხმობის ფორმას, სადაც მიუთითებს სტუდენტის სახელს, გვარს და ნაშრომის სათაურს.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ვალდებულებები მოიცავს სტუდენტის კვლევითი მუშაობის შემდეგი სახის მხარდაჭერას: სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტისთვის რეგულარული კონსულტაციების გაწევა ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგიის / დიზაინის, კვლევის განხორციელების და სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესთან დაკავშირებით. ასევე სტუდენტების კონსულტირება სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის და შედეგების წარდგენის პროცესთან დაკავშირებით; სტუდენტის სამუშაოს პროგრესის შეფასება და კონსტრუქციული და დროული უკუკავშირის მიწოდება (კვლევის გეგმის და ნაშრომის შესახებ); წარმოდგენილი ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება.

რაც შეეხება დოქტორანტის ხელმძღვანელობას, სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულების თანახმად, სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ემერიტუს პროფესორი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი, დოქტორანტის კვლევის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება და აღჭურვილია უახლესი ცოდნით; დარგის სპეციფიკის საფუძველზე, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი თემატიკას / მიმართულებას შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომი. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს დაიწყო საერთაშორისო სადოქტორო სკოლის პირველი მასშტაბური პროექტი - კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა (LHIDP). პროგრამა ხორციელდება გეტინგენის გეორგ - აუგუსტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. პროგრამაში მონაწილე დოქტორანტებს ეძლევათ შესაძლებლობა

ისარგებლონ ქართველი და გერმანელი პროფესორების სამეცნიერო - აკადემიური ხელმძღვანელობით და სადოქტორო პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მიიღონ როგორც ქართული, ისე გერმანული უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი. პროექტი ხორციელდება ფოლკსვაგენის ფონდის და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას ჰყავდეს უცხოელი თანახელმძღვანელი და მიიღოს ორმაგი ხარისხი ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის (ე.წ. „კოტუტელის“) პრინციპის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ასევე, დოქტორანტის მეორე ხელმძღვანელი / თანახელმძღვანელი შეიძლება მოწვეული იყოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, მათ შორის საზღვარგარეთის უნივერსიტეტიდან, საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციებს და მოვალეობებს წარმოადგენს დოქტორანტების რეგულარული კონსულტირება, რაც გულისხმობს: პერიოდულ უკუკავშირს დოქტორანტის პროგრესის შესახებ; ზოგადი სამეცნიერო რჩევების მიცემას; კვლევის მეთოდოლოგიის და დიზაინის შერჩევას; დახმარების გაწევას თეზისის / სამეცნიერო - კვლევითი / სადისერტაციო ნაშრომის წერის პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (მათ შორის სადოქტორო კოლოკვიუმებში) მონაწილეობის და შედეგების წარდგენის პროცესში; რჩევების მიცემას რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

კლასტერში დაჯგუფებულ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტების საერთო რაოდენობა შეესაბამება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას და პოტენციური ხელმძღვანელის შემთხვევაში გათვალისწინებულია სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ერთდროულად არაუმეტეს 8 სტუდენტის ხელმძღვანელობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის სახელმძღვანელო ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის პროცედურებს. კერძოდ, ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე Turnitin - ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით და მისი აღმოჩენის შემთხვევაში, მაგისტრანტს ერთი კვირის ვადაში ეძლევა ხარვეზების აღმოფხვრის და სისტემაში ხელახლა ატვირთვის შესაძლებლობა. აღნიშნულის შემდეგ სტუდენტის შესრულებული ნაშრომი კვლავ მოწმდება პლაგიატზე და ნებისმიერი შემფასებლის (ხელმძღვანელი, რეცენზენტი, დაცვის კომიტეტი) მიერ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომი უქმდება როგორც პროგრამის კომპონენტი. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლინდება პლაგიატი, ნაშრომი მოიხსნება დაცვის პროცედურებიდან, ხოლო დოქტორანტი გაირიცხება პროგრამიდან აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამო.

უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის მექანიზმების ფარგლებში უზრუნველყოფილია სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის კომპონენტის შეფასება, რომელიც ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის პროცესის შეფასებას. აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში შემუშავებულია

შეფასების ინსტრუმენტები (სტუდენტთა გამოკითხვები) და მათი გამოყენებით ხორციელდება მონაცემების შეგროვება ხელმძღვანელობის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგების საფუძველზე გამოვლინდა აღნიშნული კომპონენტის ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი სფეროები და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე განისაზღვრა შესაბამისი ინტერვენციები/ღონისძიებები. გასული წლის შემოდგომის სემესტრში, ზემოაღნიშნული კვლევებიდან გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე დოქტორანტების ხელმძღვანელებისთვის განხორციელდა სამუშაო შეხვედრები. მის ფარგლებში განხილული იყო დოქტორანტების ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები და არსებული სირთულეები, დროის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები, პასუხისმგებლობები, ეთიკური მიდგომები, დოქტორანტების ინტეგრაცია და სხვა რელევანტური თემები. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სადოქტორო სკოლის მიერ პერიოდულად ხორციელდება ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე.

მიუხედავად სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მიმდინარე კვლევითი პროცესების ეფექტურობისა, შესაძლოა არსებობდეს გაუმჯობესების შესაძლებლობები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას ურჩევს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში კვლევითი კომპონენტების გაძლიერებას, განსაკუთრებით სტუდენტების ნაშრომების ხარისხის ამაღლების მიზნით.

მაგისტრანტების / დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები. პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	43
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	142
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	0.30

მაგისტრანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	30
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	50
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების / მაგისტრანტები	0.6

მაგისტრანტების / დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	19

მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	73
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	0.26

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 კრედიტი	
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	16
დოქტორანტების რაოდენობა	1
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები / დოქტორანტები	16

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელო;
- სადისერტაციო ნაშრომის სახელმძღვანელო;
- ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულება;
- ელექტრონული არჩევის სისტემა "არგუსი": http://argus.ge/ge/
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ფაკულტეტის ვებ - გვერდი:
- https://faculty.iliauni.edu.ge/biznesis-teqnologiis-da-ganathlebis-phakulteti/
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამით კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამების დამსაქმებლებთან .

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- 3.2.1 სასურველია, კვლევითი კომპონენტების გაძლიერება როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო პროგრამებზე, განსაკუთრებით სტუდენტთა ნაშრომების ხარისხის ასამაღლებლად.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 5. მენეჯმენტი, მაგისტრატურა, 120 კრედიტი	x	☐	☐	☐
პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, მაგისტრატურა, 120 კრედიტი	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), მაგისტრატურა, 120 კრედიტი	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურა, 30 კრედიტი	x	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐

პროგრამა 2 მენეჯმენტი (მირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული რვა პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ საჭირო კომპეტენციები თავიანთი ფუნქცია - მოვალეობების შესასრულებლად და სტუდენტების დასახმარებლად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. მათი ჩართულობა პროგრამების განხორციელებაში შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესებს და კანონმდებლობას. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამეცნიერო საქმიანობაში, მათ შორის გამოქვეყნებების, აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობის და კვლევით პროექტებში ჩართულობის თვალსაზრისით. მათი გამოცდილება და კვალიფიკაცია დასტურდება პირადი საქმეებით და რეზიუმეებით.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა შემუშავებულია ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის მიერ. აღნიშნული სქემა იძლევა პერსონალის სამუშაო დატვირთვის მონიტორინგის საშუალებას, რომელიც ითვალისწინებს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და კლასტერში წარმოდგენილი პროგრამებით გათვალისწინებულ სრულ დატვირთვას.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა "მენეჯმენტის კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალის სამუშაო დატვირთვა", სადაც აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან ზოგიერთი პროგრამის შემთხვევაში არ იყო მისაღები (იხილეთ თითოეული პროგრამის აღწერა და ანალიზი).

გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში გამოვლინდა აკადემიური პერსონალის მაღალი გადინება (იხილეთ თითოეული პროგრამის აღწერა და ანალიზი). აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტების კონსულტირებისთვის განკუთვნილი საათები.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალი სრულად არის აფილირებული უნივერსიტეტთან. აკადემიური პერსონალის დატვირთვაში არ არის წარმოდგენილი სამეცნიერო საქმიანობის

მიმართულება. უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვაში უნდა გაითვალისწინოს სამეცნიერო საქმიანობა.

პროგრამების ხელმძღვანელებს აქვთ კარგი პროფილები და ეფექტური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით ფლობენ საჭირო უნარებს. მათი ჩართულობა შეფასებაში, განხორციელებაში, სტუდენტთა კონსულტირებასა და შესაბამისი აკადემიური აქტივობების ორგანიზებაში ნათლად იყო წარმოდგენილი კონკრეტული ზომების მითითებით. გასაუბრებების დროს, როგორც ხელმძღვანელობამ, ასევე აკადემიურმა პერსონალმა გამოავლინა თავიანთი როლების მკაფიო გააზრება, დარგის ნათელი ხედვა და წარმოადგინეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამეცნიერო მიღწევების შესახებ.

პროგრამის სტუდენტები მხარდაჭერილნი არიან შესაბამისი კომპეტენციების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ადეკვატური რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამის პერსონალის სტრუქტურა.
პროგრამაშის განხორციელებაში ჩართულია ჯამში 134 პირი, მათ შორის 33 აკადემიური პერსონალი და 101 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალი შედგება 3 პროფესორის, 22 ასოცირებული პროფესორის და 8 ასისტენტ პროფესორისგან, რომლებიც (33) აფილირებული არიან უნივერსიტეტთან.

სტუდენტთა ჩარიცხვა და თანაფარდობები.
პროგრამაზე ირიცხება 1618 სტუდენტი. პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობები შემდეგია:

- აფილირებული აკადემიური პერსონალი / სტუდენტები: 1:49.03 (0.02),
- მთლიანი პერსონალი / სტუდენტები: 1:12.07 (0.08).
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი: 1:3.06 (0.32).
- პერსონალის გადინება (ბოლო 5 წლის განმავლობაში): აკადემიური პერსონალი: 41.9% გადინება (55.2% შენარჩუნება), მოწვეული პერსონალი: 74.9% გადინება (14.1% შენარჩუნება).

სამეცნიერო აქტივობები:
სულ დაფიქსირებულია 632 სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის: 285 გამოქვეყნებული ნაშრომი (114 ადგილობრივ და 171 საერთაშორისო ჟურნალში), 217 საკონფერენციო პრეზენტაცია (88 ადგილობრივ და 129 საერთაშორისო კონფერენციაზე), 130 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი საქმიანობა.

პროგრამას გააჩნია მოწვეული და აკადემიური პერსონალის შედარებით მაღალი თანაფარდობა (3.06 მოწვეული ლექტორი ყოველ 1 აკადემიურ პერსონალზე), რაც შეიძლება მიუთითებდეს მოწვეულ ლექტორებზე ზედმეტ დამოკიდებულებაზე. თუმცა, გასაუბრებები მიუთითებს, რომ აღნიშნული საკითხი იმართება მოწვეულ პერსონალთან გრძელვადიანი კონტრაქტების მეშვეობით და არსებობს მოწვეული პერსონალის დაწინაურების შესაძლებლობები.

სტუდენტების და აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (49.03 სტუდენტი 1 აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე) ზომიერად მაღალია.

პერსონალის გადინების მაჩვენებელი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალთან მიმართებით, სადაც გადინების მაჩვენებელი შეადგენს 74.9% - ს. აღნიშნული მიუთითებს სასწავლო პერსონალში პოტენციურ არასტაბილურობაზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სწავლების უწყვეტობაზე და ხარისხზე.

პროგრამა ავლენს ძლიერ ვალდებულებას სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, პროდუქტიულობის მრავალფეროვანი სპექტრით, მათ შორის გამოქვეყნებებით და საკონფერენციო პრეზენტაციებით. საერთაშორისო აქტივობების მაღალი წილი წარმოადგენს პოზიტიურ მაჩვენებელს ფართო აკადემიურ საზოგადოებაში პროგრამის გლობალური ჩართულობის და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით.

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[4]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[5]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	134	93	48	33
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	22	15	15	22
- ასისტენტ–პროფესორი	8	5	-	8
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	101	70	30	
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

[4] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[5] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პროგრამის პერსონალის სტრუქტურა.
პროგრამის განხორციელებაში ჯამში ჩართულია 39 პირი, მათ შორის 22 აკადემიური პერსონალის და 17 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალი შედგება 4 პროფესორის, 13 ასოცირებული პროფესორის და 5 ასისტენტ პროფესორისგან, რომლებიც (22) აფილირებული არიან უნივერსიტეტთან.
სტუდენტთა ჩარიცხვა და თანაფარდობები.
პროგრამაზე ირიცხება 76 სტუდენტი. პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობები შემდეგია:

- აფილირებული აკადემიური პერსონალი / სტუდენტები: 1:3.4 (0.29),
- მთლიანი პერსონალი / სტუდენტები: 1:2 (0.51).
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი: 1:0.8 (1.29),
- პერსონალის გადინება (ბოლო 5 წლის განმავლობაში): აკადემიური პერსონალი: გადინება 32.4% (60.0% შენარჩუნება), მოწვეული პერსონალი: გადინება 115% - მონაცემების თანახმად, ბოლო 5 წლის განმავლობაში შეიცვალა მთელი პერსონალი.

სამეცნიერო აქტივობები:
სულ დაფიქსირებულია 170 სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის: 79 გამოქვეყნებული ნაშრომი (38 ადგილობრივ და 41 საერთაშორისო ჟურნალში), 72 საკონფერენციო პრეზენტაცია (23 ადგილობრივ და 49 საერთაშორისო კონფერენციაზე), 19 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი საქმიანობა.

თითოეულ აკადემიურ პერსონალზე მოდის ერთი მოწვეული პერსონალი, თუმცა მოწვეული პერსონალის გადინება მაღალია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სწავლების ხარისხზე. უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პროგრამაში მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას.

სტუდენტების და აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (3.4 სტუდენტი 1 აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე) წარმოადგენს ადეკვატურ მაჩვენებელს, ხოლო აკადემიური პერსონალის გადინების ზომიერი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლების ხარისხი და სწავლის შედეგების მიღწევას ექცევა ინდივიდუალური ყურადღება.

პროგრამა ავლენს ძლიერ ვალდებულებას სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, პროდუქტიულობის მრავალფეროვანი სპექტრით, მათ შორის გამოქვეყნებებით და საკონფერენციო პრეზენტაციებით. საერთაშორისო აქტივობების მაღალი წილი წარმოადგენს პოზიტიურ მაჩვენებელს ფართო აკადემიურ საზოგადოებაში პროგრამის გლობალური ჩართულობის და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით.

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)		მიმართულებით პერსონალი[6]	დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	
სულ აკადემიური პერსონალი	39	16	24	22
- პროფესორი	4	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	13	11	10	13
- ასისტენტ–პროფესორი	5	2	-	5
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	17		10	-
სამეცნიერო პერსონალი				-

პროგრამა 3. მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

პროგრამის პერსონალის სტრუქტურა.
პროგრამის განხორციელებაში ჯამში ჩართულია 132 პირი, მათ შორის 32 აკადემიური პერსონალის და 100 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალი შედგება 2 პროფესორის, 22 ასოცირებული პროფესორის და 8 ასისტენტ პროფესორისგან, რომლებიც (32) აფილირებული არიან უნივერსიტეტთან.

სტუდენტთა ჩარიცხვა და თანაფარდობები.
პროგრამის განხორციელება დაიწყო 2024 წლის აკადემიურ პერიოდში, შესაბამისად, შეუძლებელია ყველა თანაფარდობის გამოთვლა. აკადემიური / მოწვეული პერსონალის თანაფარდობა: 1:3.1 (0.32). აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალია, რაც შეიძლება მიუთითებდეს მოწვეულ ლექტორებზე ზედმეტ დამოკიდებულებას. თუმცა, გასაუბრებები მიუთითებს, რომ აღნიშნული საკითხი იმართება მოწვეულ პერსონალთან გრძელვადიანი კონტრაქტების მეშვეობით და არსებობს მოწვეული პერსონალის დაწინაურების შესაძლებლობები.

სამეცნიერო აქტივობები.
სულ დაფიქსირებულია 620 სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის: 281 გამოქვეყნებული ნაშრომი (112 ადგილობრივ და 169 საერთაშორისო ჟურნალში), 212 საკონფერენციო პრეზენტაცია (86 ადგილობრივ და 126 საერთაშორისო კონფერენციაზე), 127 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი საქმიანობა.

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
[7] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პროგრამა ავლენს ძლიერ ვალდებულებას სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, პროდუქტიულობის მრავალფეროვანი სპექტრით, მათ შორის გამოქვეყნებებით და საკონფერენციო პრეზენტაციებით. საერთაშორისო აქტივობების მაღალი წილი წარმოადგენს პოზიტიურ მაჩვენებელს ფართო აკადემიურ საზოგადოებაში პროგრამის გლობალური ჩართულობის და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით.

პროგრამა 3. მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[8]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[9]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	132	115	48	32
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	22	18	16	22
- ასისტენტ–პროფესორი	8	6	-	8
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	100	85	30	
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 4. მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი

პროგრამის პერსონალის სტრუქტურა.
პროგრამის განხორციელებაში ჯამში ჩართულია 38 პირი, მათ შორის 2 აკადემიური პერსონალი და 16 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალი შედგება 4 პროფესორის, 13 ასოცირებული პროფესორის და 5 ასისტენტ პროფესორისგან, რომლებიც (22) აფილირებული არიან უნივერსიტეტთან.

სტუდენტთა ჩარიცხვა და თანაფარდობები.
პროგრამის განხორციელება დაიწყო 2024 წლის აკადემიურ პერიოდში, შესაბამისად, შეუძლებელია ყველა თანაფარდობის გამოთვლა. აკადემიური / მოწვეული პერსონალის თანაფარდობა: 1:0.72 (1.375). რაც შეეხება 240 კრედიტიან საბაკალავრო პროგრამას, მოწვეული პერსონალის რაოდენობა ნაკლებია

[8] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
[9] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

აკადემიური პერსონალის რაოდენობაზე. აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს აფილირებულ ლექტორებზე ზედმეტ დამოკიდებულებას. 240 კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში მოწვეული პერსონალის გადინების მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ურჩევს მიიღოს გარკვეული მაკორექტირებელი ზომები, რათა არ დაუშვას ანალოგიური სიტუაცია 180 კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში.

სამეცნიერო აქტივობები:
სულ დაფიქსირებულია 170 სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის: 79 გამოქვეყნებული ნაშრომი (38 ადგილობრივ და 41 საერთაშორისო ჟურნალში), 72 საკონფერენციო პრეზენტაცია (23 ადგილობრივ და 49 საერთაშორისო კონფერენციაზე), 19 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი საქმიანობა.

პროგრამა ავლენს ძლიერ ვალდებულებას სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, პროდუქტიულობის მრავალფეროვანი სპექტრით, მათ შორის გამოქვეყნებებით და საკონფერენციო პრეზენტაციებით. საერთაშორისო აქტივობების მაღალი წილი წარმოადგენს პოზიტიურ მაჩვენებელს ფართო აკადემიურ საზოგადოებაში პროგრამის გლობალური ჩართულობის და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით.

პროგრამა 4. მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[10]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[11]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	38	31	25	22
- პროფესორი	4	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	13	11	13	13
- ასისტენტ–პროფესორი	5	2	-	5
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	16	14	8	-
სამეცნიერო პერსონალი				

[10] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[11] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

პროგრამის პერსონალის სტრუქტურა.
პროგრამის განხორციელებაში ჯამში ჩართულია 43 პირი, მათ შორის 23 აკადემიური პერსონალი და 20 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალი შედგება 3 პროფესორის, 15 ასოცირებული პროფესორის და 5 ასისტენტ პროფესორისგან, რომლებიც (23) აფილირებული არიან უნივერსიტეტთან.

სტუდენტთა ჩარიცხვა და თანაფარდობები.
პროგრამაზე ირიცხება 142 სტუდენტი. პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობები შემდეგია:

- აფილირებული აკადემიური პერსონალი / სტუდენტები: 1:6.17 (0.16),
- მთლიანი პერსონალი / სტუდენტები: 1:3.3 (0.3).
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი: 1:0.86 (1.15),
- პერსონალის გადინება (ბოლო 5 წლის განმავლობაში): აკადემიური პერსონალი: 49.0% გადინება (53.8% შენარჩუნება), მოწვეული პერსონალი: 81.3% გადინება (8.3% შენარჩუნება),

სამეცნიერო აქტივობები:
სულ დაფიქსირებულია 263 სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის: 102 გამოქვეყნებული ნაშრომი (49 ადგილობრივ და 53 საერთაშორისო ჟურნალში), 104 საკონფერენციო პრეზენტაცია (53 ადგილობრივ და 51 საერთაშორისო კონფერენციაზე), 57 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი საქმიანობა.

სტუდენტების თანაფარდობა მთლიან პერსონალთან შეადგენს 3.3 სტუდენტს ერთ პირზე და 6.17 სტუდენტს აფილირებულ პერსონალზე, რაც მიუთითებს, რომ სტუდენტები სარგებლობენ ინდივიდუალური ყურადღებით და შეაქვთ წვლილი სწავლის შედეგების მიღწევაში.

უნივერსიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამა ავლენს ძლიერ ვალდებულებას სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, პროდუქტიულობის მრავალფეროვანი სპექტრით, მათ შორის გამოქვეყნებებით და საკონფერენციო პრეზენტაციებით. საერთაშორისო აქტივობების მაღალი წილი წარმოადგენს პოზიტიურ მაჩვენებელს ფართო აკადემიურ საზოგადოებაში პროგრამის გლობალური ჩართულობის და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით.

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

		მიმართულებითი პერსონალი[12]	მქონე პერსონალი[13]	
სულ აკადემიური პერსონალი	43	35	24	23
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	15	15	13	15
- ასისტენტ–პროფესორი	5	5		5
- ასისტენტი	0			
მოწვეული პერსონალი	20	12	8	
სამეცნიერო პერსონალი				

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

პროგრამის პერსონალის სტრუქტურა.
პროგრამის განხორციელებაში ჯამში ჩართულია 30 პირია, მათ შორის 14 აკადემიური პერსონალი და 16 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალი შედგება 2 პროფესორის, 10 ასოცირებული პროფესორის და 2 ასისტენტ პროფესორისგან, რომლებიც (14) აფილირებული არიან უნივერსიტეტთან.

სტუდენტთა ჩარიცხვა და თანაფარდობები.
პროგრამაზე ირიცხება 50 სტუდენტი. პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობები შემდეგია:

- აფილირებული აკადემიური პერსონალი / სტუდენტები: 1:3.57 (0.28),
- მთლიანი პერსონალი / სტუდენტები: 1:1.66 (0.6).
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი: 1:1.14 (0.88),
- პერსონალის გადინება (ბოლო 5 წლის განმავლობაში): აკადემიური პერსონალი: 51.6% გადინება (52.9% შენარჩუნება), მოწვეული პერსონალი: 86.7% გადინება (7.1% შენარჩუნება),

სამეცნიერო აქტივობები:
სულ დაფიქსირებულია 152 სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის: 73 გამოქვეყნებული ნაშრომი (38 ადგილობრივ და 35 საერთაშორისო ჟურნალში), 33 საკონფერენციო პრეზენტაცია (11 ადგილობრივ და 21 საერთაშორისო კონფერენციაზე), 47 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი საქმიანობა.

[12] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[13] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სტუდენტების თანაფარდობა მთლიან პერსონალთან მიმართებით შეადგენს 1.66 სტუდენტს ერთ პირზე და 3.57 სტუდენტს აფილირებულ პერსონალზე, რაც მიუთითებს, რომ სტუდენტები სარგებლობენ ინდივიდუალური ყურადღებით და შეაქვთ წვლილი სწავლის შედეგების მიღწევაში.

უნივერსიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ვინაიდან მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი შეადგენს 7.1%-ს.

პროგრამა ავლენს ძლიერ ვალდებულებას სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, პროდუქტიულობის მრავალფეროვანი სპექტრით, მათ შორის გამოქვეყნებებით და საკონფერენციო პრეზენტაციებით. საერთაშორისო აქტივობების მაღალი წილი წარმოადგენს პოზიტიურ მაჩვენებელს ფართო აკადემიურ საზოგადოებაში პროგრამის გლობალური ჩართულობის და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით.

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[14]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[15]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	30	24	16	14
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10	10
- ასისტენტ–პროფესორი	2	2		2
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	16	10	4	
სამეცნიერო პერსონალი				

[14] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[15] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

პროგრამის პერსონალის სტრუქტურა.

პროგრამის განხორციელებაში ჯამში ჩართულია 19 პირი, მათ შორის 16 აკადემიური პერსონალი და 3 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალი შედგება 4 პროფესორის, 9 ასოცირებული პროფესორის და 3 ასისტენტ პროფესორისგან, რომლებიც (16) აფილირებული არიან უნივერსიტეტთან.

სტუდენტთა ჩარიცხვა და თანაფარდობები.
პროგრამაზე ირიცხება 73 სტუდენტი. პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობები შემდეგია:

- აფილირებული აკადემიური პერსონალი / სტუდენტები: 1:4.54 (0.22),
- მთლიანი პერსონალი / სტუდენტები: 1:3.8 (0.26).
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი: 1:0.19 (5.33),
- პერსონალის გადინება (ბოლო 5 წლის განმავლობაში): აკადემიური პერსონალი: 33.3% გადინება (64.3% შენარჩუნება), მოწვეული პერსონალი: 114.3% გადინება.

სამეცნიერო აქტივობები:
სულ დაფიქსირებულია 99 სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის: 40 გამოქვეყნებული ნაშრომი (17 ადგილობრივ და 23 საერთაშორისო ჟურნალში), 44 საკონფერენციო პრეზენტაცია (11 ადგილობრივ და 33 საერთაშორისო კონფერენციაზე), 15 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი საქმიანობა.

სტუდენტების და აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (4.54 სტუდენტი 1 აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე) წარმოადგენს ადეკვატურ მაჩვენებელს და აკადემიური პერსონალის გადინების ზომიერი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ უზრუნველყოფილია სასწავლო პროგრამის ხარისხი და შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევაზე ინდივიდუალური ყურადღების გამახვილება.

მოწვეული პერსონალის გადინების მაჩვენებელი მაღალია მოწვეული პერსონალისთვის, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სწავლების ხარისხზე. უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პროგრამაში მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას.

პროგრამა ავლენს ძლიერ ვალდებულებას სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, პროდუქტიულობის მრავალფეროვანი სპექტრით, მათ შორის გამოქვეყნებებით და საკონფერენციო პრეზენტაციებით. საერთაშორისო აქტივობების მაღალი წილი წარმოადგენს პოზიტიურ მაჩვენებელს ფართო აკადემიურ საზოგადოებაში პროგრამის გლობალური ჩართულობის და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით.

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[16]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[17]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	19	19	13	16
- პროფესორი	4	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	9	9	9	9
- ასისტენტ–პროფესორი	3	3	-	3
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	3	3		
სამეცნიერო პერსონალი	-	-		

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS

პროგრამის პერსონალის სტრუქტურა.

პროგრამაში სულ 16 ადამიანია ჩართული, ყველა მათგანი აფილირებული აკადემიური პერსონალია. აკადემიური პერსონალი შედგება 6 პროფესორისა და 10 ასოცირებული პროფესორისაგან.

სტუდენტების ჩარიცხვა და თანაფარდობები.
პროგრამაში ჩარიცხულია 1 სტუდენტი. პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა შემდეგია:

- აფილირებული აკადემიური პერსონალი/სტუდენტები: 1:0.06 (16),
- სულ პერსონალი/სტუდენტები: 1:0.06 (16).
- პერსონალის დენადობა (ბოლო 5 წელი): აკადემიური პერსონალი: 34.5% დენადობა (61.5% შეკავება).

სამეცნიერო საქმიანობა:
სულ დაფიქსირდა 163 სამეცნიერო საქმიანობა, მათ შორის: 67 გამოქვეყნებული ნაშრომი (30 ადგილობრივ და 37 საერთაშორისო ჟურნალში), 41 კონფერენციაზე პრეზენტაცია (30 ადგილობრივ და 11 საერთაშორისო კონფერენციაზე), 55 სხვა სამეცნიერო თუ კვლევითი საქმიანობა.

[16] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[17] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პროგრამას აქვს მოწვეული აკადემიური პერსონალის შედარებით მაღალი თანაფარდობა (3.6 მოწვეული ლექტორი ყოველ 1 აკადემიურ პერსონალზე), რაც შეიძლება მიუთითებდეს მოწვეულ ლექტორებზე ზედმეტად დამოკიდებულებას. თუმცა, გასაუბრებები მიუთითებს იმაზე, რომ ეს საკითხი იმართება მოწვეულებთან გრძელვადიანი კონტრაქტით და არსებობს მოწვეული პერსონალის დაწინაურების შესაძლებლობები.

პროგრამა ავლენს ძლიერ ვალდებულებას სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, მრავალფეროვანი შედეგებით, მათ შორის პუბლიკაციებით და კონფერენციებზე პრეზენტაციებით. საერთაშორისო აქტივობების მაღალი წილი წარმოადგენს პროგრამის გლობალური ჩართულობის და აკადემიური პერსონალის ფართო აკადემიურ საზოგადოებაში აქტიური ჩართულობის დადებით მაჩვენებელს.

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[18]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[19]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	16	16	16	16
- პროფესორი	6	6	6	6
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10	10
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;

[18] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[19] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტებ რაოდენობასთან აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.iliauni.edu.ge ;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რჩევები ყველა სამაგისტრო და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის:

- 4.1.1. სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს აკადემიური პერსონალის შენარჩუნებას.
- 4.1.2 სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამებისთვის;

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებს**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი,	x	☐	☐	☐

საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS				
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელისადმი მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება მაგისტრატურის/დოქტორანტურის დონის ხელმძღვანელობისადმი მოთხოვნებს და პასუხობს პროგრამის სპეციფიკას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;

მოთხოვნები კლასტერში შემავალი სამაგისტრო პროგრამების სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მიმართ განაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის გზამკვლევში. მის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს:

- აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კვლევაში ან გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემას/მიმართულებას;
- შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელმაც დაიცვა შესაბამისი მიმართულების ან დარგის პროექტი ან აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია;
- შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხი და აქვს პუბლიკაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში.

უსდ-ს პერსონალის უმეტესობა მაღალკვალიფიციურია და აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები, მაგრამ არიან ხელმძღვანელები სამაგისტრო პროგრამებში, რომლებსაც აქვთ უახლესი პუბლიკაციები. სამაგისტრო ნაშრომის ყველა ხელმძღვანელს არ აქვს დოქტორის ხარისხი.

უნივერსიტეტმა უნდა დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისადმი მოთხოვნები - ყველა ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის ხარისხი.

რაც შეეხება დოქტორანტის ხელმძღვანელობას, სადისერტაციო საბჭო და ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება ადგენს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ემერიტუს პროფესორი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი, დოქტორანტის კვლევის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და აღჭურვილია უახლესი ცოდნით, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სადოქტორო დისერტაციის ზოგად თემას/მიმართულებას.

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	43	24	23
- პროფესორი	3	3	3

- ასოცირებული პროფესორი	15	13	15
- ასისტენტ–პროფესორი	3		3
მოწვეული პერსონალი	20	8	
სამეცნიერო პერსონალი			

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	30	16	14
- პროფესორი	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10
- ასისტენტ–პროფესორი	2		
მოწვეული პერსონალი	16		
სამეცნიერო პერსონალი			

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისური), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	19	13	16
- პროფესორი	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	9	9	9
- ასისტენტ–პროფესორი	3		3

მოწვეული პერსონალი	3	3	
სამეცნიერო პერსონალი			

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	16	16	16
- პროფესორი	6	6	6
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			
სამეცნიერო პერსონალი			

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- აკადემიური პერსონალის შრომითი კონტრაქტის ნიმუშები;
- აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

და

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისური), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

რეკომენდაციები:

- 4.1.2. რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი.

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 5. მენეჯმენტი, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	X	☐	☐
პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	X	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისური), მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	X	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტს აქვს როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი. ეს მექანიზმი მოიცავს აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის შეფასების პოლიტიკას. აკადემიური პერსონალის შეფასება ფოკუსირებულია მათ კვლევასა და სწავლებაზე, ხოლო მოწვეული პერსონალის, პირველ რიგში, სასწავლო პროცესში მათ ჩართულობაზე.

როგორც თვითშეფასების ჯგუფმა გასაუბრების დროს აღნიშნა, შეფასების ეს სისტემა, რომელიც მოქმედებს 2018 წლიდან, ითვალისწინებს სხვადასხვა კომპონენტს. სწავლებასა და კვლევას, თითოეულ მათგანს, აქვს საკუთარი შეფასების კრიტერიუმები, ხოლო აკადემიური პერსონალის შეფასების მეთოდი დაფუძნებულია დაგროვილი ქულების სისტემაზე. აქტივობები რანჟირებულია და ქულებიც ენიჭება შესაბამისად. შედეგები წარედგინება სასწავლო საბჭოს და აისახება ისეთ სფეროებში, როგორიცაა პერსონალის ხელფასის ზრდა, დაწინაურება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და სხვადასხვა აქტივობის ხელშეწყობა. დოკუმენტი „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი: საქმიანობის შეფასების წესი“ ადასტურებს ყოველივე ზემოთქმულს.

უსდ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას სხვადასხვა აქტივობით. პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი დაარსდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზრდის მხარდასაჭერად, მრავალრიცხოვან ტრენინგებზე, გრანტებსა და კვლევით გაცვლებზე მენეჯმენტისა და პედაგოგიური პერსონალის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. არსებული რესურსები საკმარისია ამ აქტივობების ეფექტური შესრულებისთვის. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრების შედეგებიდან ირკვევა, რომ 2021-2024 წლებში აღნიშნულმა ცენტრმა ჩაატარა სხვადასხვა სახის ტრენინგი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სასერტიფიკატო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მონაწილეთა აღჭურვას როგორც განმავითარებელი, ასევე შემაჯამებელი შეფასებების უნარებით, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს. ასევე ჩატარდა ტრენინგი დოქტორანტებისთვის, სახელწოდებით „სწავლების თანამედროვე მეთოდები“. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ორივე ამ ღონისძიების დამადასტურებელი დოკუმენტი.

პანდემიის დროს უნივერსიტეტმა გადადგა ნაბიჯები დისტანციური სწავლების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. ონლაინ სწავლებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრის მეშვეობით მოაწყო ვებინარები, შეიმუშავა გაიდლაინები და ჩაატარა ტრენინგები.

უსდ უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მხარს უჭერს სამეცნიერო-კვლევითი კოორდინაციის სამსახური და განვითარების სამსახური. პერსონალს აქვს უნივერსიტეტის მხარდაჭერა სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებაში საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, მონოგრაფიების მომზადებაში, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობაში, სამეცნიერო ჯილდოების მოპოვებაში, საერთაშორისო თანამშრომლობებში მონაწილეობაში და სხვა.

უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც ხაზს უსვამს 2019 წლიდან 2024 წლამდე აკადემიური პერსონალის მობილობას ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში ერასმუსის პროექტის ფარგლებში. ეს გასაუბრების დროს ასევე დაადასტურა აკადემიურმა პერსონალმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ისინი მიმარგებულნი იყვნენ სხვადასხვა უნივერსიტეტზე და ჰქონდათ უცხოელი კოლეგების მასპინძლობის შესაძლებლობა.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პერსონალის უმეტესობას არ აქვს პროფილი ისეთ პლატფორმებზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate. ამიტომ, უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ამ მიმართულებით, რადგან ესაა პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის ამაღლების საკვანძო ფაქტორი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი; საქმიანობის შეფასების წესი
- გასაუბრების შედეგები;
- უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების პოლიტიკა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდი;
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და უნივერსიტეტის დაფინანსების პოლიტიკა;
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციულიპერსონალის პირადი საქმეები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- 4.3.1 სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მთელ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს თავიანთი სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმაზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბა კალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

აკრედიტაციის ექსპერტები ეწვიენ გ.წერეთლის N3-ში მდებარე რამდენიმე შენობას (S, E, G), რომლებიც აღწურვილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით. პროგრამები უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნიკით და ახალი ავეჯით აღჭურვილი, ნათელი, კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორიებით, პროფესორთა კაბინეტებით, სტუდენტური თვითმმართველობის სივრცეებით, აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური ოფისებით, საკონფერენციო დარბაზით, საგამოცდო ცენტრით, 120 სტუდენტზე გათვლილი Forbes-ის აუდიტორიით, საკონსულტაციო ოთახითა და ბუფეტით, თუმცა ამ სეზონზე ბუფეტი დაკეტილია. გააზრებულადაა გათვალისწინებული შშმ სტუდენტების საჭიროებები. აკადემიურ პერსონალს აქვს გამოყოფილი სამუშაო ადგილი სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების ჩასატარებლად.

აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეწარმეო ინოვაციების ლაბორატორია FabLab, რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას განახორციელონ ინოვაციური იდეები კვალიფიციური კადრების მხარდაჭერით. ექსპერტებმა დაათვალიერეს სხვადასხვა პროექტი, მათ შორის სტუდენტების მიერ შექმნილი რობოტები, მეფუტკრეობის სპეციალიზებული მოწყობილობები და სხვა ინოვაციური ხელსაწყოები.

ექსპერტებმა მოინახულეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი ბიბლიოთეკა, რომელსაც მართავენ კვალიფიციური სპეციალისტები. პერსონალი რეგულარულად ატარებს სასწავლო სესიებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემებითა და რესურსებით სარგებლობის შესახებ. ბიბლიოთეკაში დაცულია კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ციფრული რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები. აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემთა ბაზებზე წვდომა შესაძლებელია არა მხოლოდ უნივერსიტეტის შიგნით, არამედ დისტანციურადაც. ბიბლიოთეკის თანამშრომლების თქმით, ბიბლიოთეკის განახლება ხდება სისტემატურად. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს ეძლევათ „რიდერები“, როგორც ელექტრონულ, ასევე ბეჭდურ ფორმატში. თუმცა, სტუდენტებთან გასაუბრების დროს ცხადი გახდა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უმჯობესი იქნებოდა ქართულ ენაზე თარგმნილი მეტი „რიდერი“ ყოფილიყო ხელმისაწვდომი“.

ვიზიტის დროს ექსპერტები დარწმუნდნენ სილაბუსებში ჩამოთვლილი წიგნების ხელმისაწვდომობაში.

IT სერვისებს მხარს უჭერს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, კონკრეტულ შენობაზე მიმაგრებული თითოეული სპეციალისტით. სტუდენტების ცნობიერების ამაღლებისა და სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროგრამას „არგუსს“. ამ სისტემის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას მათი მეცადინეობების და გამოცდების

განრიგის, სილაბუსებისა და სხვ. შესახებ. სისტემა ასევე ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციას. გარდა ამისა, დისტანციური სწავლების პლატფორმები, როგორიცაა Turnitin და E-learning, გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. პლაგიატის თავიდან ასაცილებლად, სამაგისტრო ნაშრომები და სადოქტორო დისერტაცია აიტვირთება ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე, სადაც Turnitin სისტემა გამოიყენება მსგავსების დასადგენად. Nvivo მონაცემთა ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა ასევე გამოიყენება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მიმოხილვის შემდეგ ექსპერტებს დარჩათ ძალიან დადებითი შთაბეჭდილება. მათ დაადასტურეს, რომ პროგრამები უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, ტექნიკური აღჭურვილობით და საინფორმაციო რესურსებით, რომლებიც საჭიროა სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS

"მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებისთვის არსებობს საჭირო ინფრასტრუქტურა და რესურსები. ბიბლიოთეკა სთავაზობს უამრავ რესურსს და მომსახურებას, მათ შორის მოსახერხებელი ელექტრონული სწავლების, Argus პლატფორმების და სხვადასხვა მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობას. შენობების შიგნით, რამდენიმე ლოკაციაზე მოწყობილია საკმარისი რაოდენობის სტუდენტური სივრცეები. სავალდებულო აკადემიური კურსი „პრაქტიკული მეწარმეობა“ ტარდება ტექნოლოგიური მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის, FabLab სამეწარმეო ინოვაციების ლაბორატორიისა და უნივერსიტეტის Startup Grind-ის წარმომადგენლობის მხარდაჭერით.

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS

"მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებისთვის არსებობს საჭირო ინფრასტრუქტურა და რესურსები. ბიბლიოთეკა სთავაზობს უამრავ რესურსს და მომსახურებას, მათ შორის მოსახერხებელი ელექტრონული სწავლების, Argus პლატფორმების და სხვადასხვა მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობას. შენობების შიგნით, რამდენიმე ლოკაციაზე მოწყობილია საკმარისი რაოდენობის სტუდენტური სივრცეები. სავალდებულო აკადემიური კურსი „პრაქტიკული მეწარმეობა“ ტარდება ტექნოლოგიური მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის, FabLab სამეწარმეო ინოვაციების ლაბორატორიისა და უნივერსიტეტის Startup Grind-ის წარმომადგენლობის მხარდაჭერით.

პროგრამა 3. მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურითა და რესურსებით. ბიბლიოთეკა სთავაზობს უამრავ რესურსს და მომსახურებას, მათ შორის მოსახერხებელი ელექტრონული სწავლების, Argus პლატფორმების და სხვადასხვა მონაცემთა

ბაზების ხელმისაწვდომობას. შენობების შიგნით, რამდენიმე ლოკაციაზე მოწყობილია საკმარისი რაოდენობის სტუდენტური სივრცეები. სავალდებულო აკადემიური კურსი „პრაქტიკული მეწარმეობა“ ტარდება ტექნოლოგიური მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის, FabLab სამეწარმეო ინოვაციების ლაბორატორიისა და უნივერსიტეტის Startup Grind-ის წარმომადგენლობის მხარდაჭერით.

პროგრამა 4. მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურითა და რესურსებით. ბიბლიოთეკა სთავაზობს უამრავ რესურსს და მომსახურებას, მათ შორის მოსახერხებელი ელექტრონული სწავლების, Argus პლატფორმების და სხვადასხვა მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობას. შენობების შიგნით მოწყობილია საკმარისი სტუდენტური სივრცეები.

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო საკმარისი ინფრასტრუქტურით, რესურსებითა და სასწავლო მასალებით. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ადექვატურ რესურსებსა და სერვისებს, მათ შორის მოსახერხებელ ელექტრონული სწავლების პლატფორმებსა და მონაცემთა ბაზებზე წვდომას. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში „კვლევის მეთოდების“ კურსის წარმატებით განსახორციელებლად გამოყენებულია სასწავლო მასალები და პროგრამული უზრუნველყოფა (მაგ. Excel, NVivo).

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო საკმარისი ინფრასტრუქტურით, რესურსებითა და სასწავლო მასალებით. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ადეკვატურ რესურსებსა და სერვისებს, მათ შორის მოსახერხებელ ელექტრონული სწავლების პლატფორმებსა და მონაცემთა ბაზებზე წვდომას. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში „კვლევის მეთოდების“ კურსის წარმატებით განსახორციელებლად გამოყენებულია სასწავლო მასალები და პროგრამული უზრუნველყოფა (მაგ. Excel, NVivo).

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო საკმარისი ინფრასტრუქტურით, რესურსებითა და სასწავლო მასალებით. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ადეკვატურ რესურსებსა და სერვისებს, მათ შორის მოსახერხებელ ელექტრონული სწავლების პლატფორმებსა და მონაცემთა ბაზებზე წვდომას. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში „კვლევის მეთოდების“ კურსის წარმატებით განსახორციელებლად გამოყენებულია სასწავლო მასალები და პროგრამული უზრუნველყოფა (მაგ. Excel, NVivo).

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში არჩევითი აკადემიური კურსების განსახორციელებლად საჭიროა მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამების - NVivo-ს და Eviews-ის დახმარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის შენობა და აუდიტორიები;
- უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების ჩამონათვალი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემები;
- გასაუბრების შედეგები;
- უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.
- აქტიურად გამოიყენებული ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის სია;
- სამეცნიერო ბაზების სალიცენზიო ხელშეკრულებები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- 4.4.1. სასურველია, მეტი ქართულენოვანი სასწავლო მასალის („რიდერის“) უზრუნველყოფა სტუდენტთა წარმატების, მხარდაჭერისა და განვითარებისთვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი,	x	☐	☐	☐

საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS				
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში თითოეული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები გამოიყოფა პროგრამის საჭიროებების შესაბამისად და ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამები ფინანსურად სტაბილურია; აქვთ ბიუჯეტები, რომლებიც მოიცავს აუცილებელ რესურსებს, პერსონალის დაფინანსებას და მათი განვითარებისთვის აუცილებელ სხვა ხარჯებს.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS

მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში უნივერსიტეტმა გათვალა შემოსავალი 400 სტუდენტზე, ჯამში 900 000 ლარი. ეს ბიუჯეტი მოიცავს დეტალურ ხარჯებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისა და სხვა საჭირო ხარჯების ჩათვლით. მაშასადამე, ამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკურად შესრულებადია.
გასაუბრების შედეგებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ხარჯები გათვალისწინებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტებში. გარდა ამისა, პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი, საჭიროებისამებრ, იფარება ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ძირითადი ბიუჯეტიდან.

პროგრამა 2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS

მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში უნივერსიტეტს გათვლილი აქვს შემოსავალი 25 სტუდენტზე, ჯამში 159 000 ლარი. ეს ბიუჯეტი მოიცავს დეტალურ ხარჯებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისა და სხვა საჭირო ხარჯების ჩათვლით. ჯამური ხარჯებია - 84 500 ლარი. მაშასადამე, ამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკურად შესრულებადია.

გასაუბრების შედეგებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ხარჯები გათვალისწინებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტებში. გარდა ამისა, პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი, საჭიროებისამებრ, იფარება ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ძირითადი ბიუჯეტიდან.

პროგრამა 3. მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში უნივერსიტეტს გათვლილი აქვს შემოსავალი 390 სტუდენტზე, ჯამში 877 500 ლარი.

ეს ბიუჯეტი მოიცავს დეტალურ ხარჯებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისა და სხვა საჭირო ხარჯების ჩათვლით. ჯამური ხარჯებია - 834 000 GEL. მაშასადამე, ამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკურად შესრულებადია.

გასაუბრების შედეგებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ხარჯები გათვალისწინებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტებში. გარდა ამისა, პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი, საჭიროებისამებრ, იფარება ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ძირითადი ბიუჯეტიდან.

პროგრამა 4. მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS

ინგლისურენოვანი მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი უნივერსიტეტს გათვლილი აქვს შემოსავალი 55 სტუდენტზე, ჯამში 381 700 ლარი. ეს ბიუჯეტი მოიცავს დეტალურ ხარჯებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისა და სხვა საჭირო ხარჯების ჩათვლით. ჯამური ხარჯები – 18 500 ლარი. მაშასადამე, ამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკურად შესრულებადია.

გასაუბრების შედეგებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ხარჯები გათვალისწინებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტებში. გარდა ამისა, პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი, საჭიროებისამებრ, იფარება ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ძირითადი ბიუჯეტიდან.

პროგრამა 5. მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში შემოსავალი უნივერსიტეტს გათვლილი აქვს 125 სტუდენტზე, ჯამში 562 500 ლარი. ეს ბიუჯეტი მოიცავს დეტალურ ხარჯებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისა და სხვა საჭირო ხარჯების ჩათვლით. ჯამური ხარჯები – 472 500 ლარი. მაშასადამე, ამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკურად შესრულებადია.

გასაუბრების შედეგებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ხარჯები გათვალისწინებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტებში. გარდა ამისა, პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი, საჭიროებისამებრ, იფარება ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ძირითადი ბიუჯეტიდან.

პროგრამა 6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 30 სტუდენტზე, ჯამური შემოსავალი 135 000 ლარია. ეს ბიუჯეტი მოიცავს დეტალურ ხარჯებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისა და სხვა საჭირო ხარჯების ჩათვლით. ჯამური ხარჯები – 115 000 ლარი. ამრიგად, ამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკურად შესრულებადია.

გასაუბრების შედეგებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ხარჯები შედის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მთლიან ბიუჯეტში. გარდა ამისა, პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი, საჭიროებისამებრ, იფარება ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ძირითადი ბიუჯეტიდან.

პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS

ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში შემოსავალი უნივერსიტეტმა გათვალა 50 სტუდენტზე, ჯამში 388 000 ლარი. ეს ბიუჯეტი მოიცავს დეტალურ ხარჯებს

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის, განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და სხვა საჭირო ხარჯების ჩათვლით. ჯამური ხარჯები – 268 000 ლარი. ამრიგად, ამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკურად შესრულებადია.

გასაუბრების შედეგებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ხარჯები გათვალისწინებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტებში. გარდა ამისა, პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი, საჭიროებისამებრ, იფარება ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ძირითადი ბიუჯეტიდან.

პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს დეტალურ ხარჯებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისათვის, განვითარების ხარჯებს, ექსპედიციების/ტრენინგის, პრაქტიკის/კონფერენციის და სხვა საჭირო ხარჯებს. ჯამური ხარჯები – 53 000 ლარი. მაშასადამე, ამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკურად შესრულებადია.

გასაუბრების შედეგებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ხარჯები გათვალისწინებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტებში. გარდა ამისა, პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი, საჭიროებისამებრ, იფარება ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ძირითადი ბიუჯეტიდან.
პროგრამის სასწავლო პროცესს სრულად უზრუნველყოფს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, რომლის სახელფასო ხარჯები შედის უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში და ეს კონკრეტული სადოქტორო პროგრამა არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- კლასტერის ბიუჯეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციის დაფინანსების გზამკვლევი
- გასაუბრებები მენეჯმენტთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება,	x	☐	☐	☐

სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS				

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი),	x	☐	☐	☐

სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS				
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია მისი სტრატეგიული მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია და მიზნად ისახავს მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ეს კონცეფცია ეყრდნობა სისტემურ და საჭიროებებზე დაფუძნებულ კვლევასა და შეფასების პრაქტიკას. იგი მოიცავს სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორიცაა შიდა პროგრამის თვითშეფასება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები, შედარება საუკეთესო პრაქტიკასთან და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, დამსაქმებლის კვლევა, ასევე თვითშეფასება და პერსონალის შეფასება, რომელსაც ატარებს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. გაანალიზებული დოკუმენტებიდან და გასაუბრებებიდან ჩანს, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების შემუშავება და დამტკიცება შეესაბამება უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილ პროცედურას. ეს შესაბამისობა იძლევა უსაფრთხოებისა და შესრულების განცდას, რაც უზრუნველყოფს პროგრამების შემუშავებას და დამტკიცებას უნივერსიტეტის სტანდარტების შესაბამისად.

დოკუმენტებმა და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ პროგრამის პერსონალი აქტიურად თანამშრომლობდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან. იგი ხაზს უსვამს პროგრამის ხარისხის შეფასების და თვითშეფასების ანგარიშის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრის მნიშვნელობას. დოკუმენტებიდან და გასაუბრებებიდან ირკვევა, რომ თვითშეფასების ჯგუფის წევრები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. საპირისპიროდ ამისა, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები ოთხჯერ შეიკრიბნენ, რათა გაეცვალათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შესახებ, რაც

წარმოდგენილია ანგარიშების სახით. შეხვედრებზე განიხილეს შემდეგი თემები და განხორციელდა შესაბამისი ქმედებები: სასწავლო კურსების განახლება, პროგრამული კომპეტენციების და სასწავლო გეგმის რუქების შექმნა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბება და სხვა.

კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებში გამოვლინდა სამი ძირითადი გამოწვევა: თემატური გადაფარვა, უახლესი სასწავლო მასალების ნაკლებობა და აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის აუცილებლობა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა შიდა შეფასებების შედეგების ცალკე ანალიზი, სადაც დეტალურად არის აღწერილი ამ გამოწვევების გადასაჭრელად საჭირო ქმედებები. ამიტომ, თვითშეფასების ჯგუფი აცნობიერებს და იზიარებს ამ გამოწვევებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პროცესი იყო ასახვითი.

კლასტერის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამებს ჩაუტარდათ ერთობლივი თვითშეფასების პროცესი, რასაც მოწმობს ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილი დოკუმენტები და გასაუბრება. ეს ინკლუზიური პროცესი მოიცავდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ფაკულტეტის ადმინისტრაციის პერსონალს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის წევრებს, რაც ყველას აგრძნობინებდა თავს ერთი გუნდის ნაწილად. ადგილზე ვიზიტების დროს ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი გაცნობოდა სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობას. გასაუბრებებმა აჩვენა, რომ თვითშეფასების გუნდმა გამოიკვლია თითოეული ჯგუფის დამოკიდებულება, ძლიერი, სუსტი მხარეები და გასაუმჯობესებელი სფეროები. ცხადია, რომ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები უშუალოდ არ იყვნენ წარმოდგენილი თვითშეფასების ჯგუფში. თუმცა, რამდენადაც თვითშეფასება არის ინკლუზიური და მიმდინარე პროცესი, ამ ჯგუფების უშუალო მონაწილეობა ამ პროცესს გახდიდა უფრო ყოვლისმომცველს.

გარდა ამისა, კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების გამოკითხულმა ხელმძღვანელებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნეს, რომ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მხარდაჭერასა და გზამკვლევობაში. ეს მხარდაჭერა მოიცავდა პროგრამისა და კურსის მიზნების და გაზომვადი სწავლის შედეგების ფორმულირებას, აკადემიური მოსწრების ანალიზზე დაფუძნებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბებას და შეფასების კომპონენტების გაუმჯობესებას. ამ ერთეულების კრიტიკული როლი მხარდაჭერისა და გზამკვლევობის უზრუნველყოფაში ხაზს უსვამს ხარისხის უზრუნველყოფის მყარ პროცესს.

აქედან გამომდინარე, ზემოთ ნახსენები მაგალითები და პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე (PDCA)“ ციკლის პრინციპს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების შედეგები და ამ შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები;
- თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული საქმიანობა და ცვლილებები;

- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

5.1.1 სასურველია, კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფის წევრებად სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უშუალო მონაწილეობა.

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბა კალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐

პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში შემავალი რვა საგანმანათლებლო პროგრამიდან ორი ახალია, ექვსი კი ხელახალი გადის აკრედიტაციას. კერძოდ, ახლად დანერგილი პროგრამები მოიცავს 180 ECTS-იან საბაკალავრო პროგრამას მენეჯმენტში, რომელიც ისწავლება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის მიხედვით, მომზადდა დოკუმენტი, რომელიც ასახავს ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საპასუხოდ განხორციელებულ ქმედებებს. გარდა ამისა, გარე შეფასება შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისგან: გამოხმაურება წინა აკრედიტაციის პროცესიდან, მრჩეველთა საბჭოსგან მიღებული ინფორმაცია, დამსაქმებლების კომენტარები და კოლეგიალური მიმოხილვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ ზოგიერთ კურსზე საკონტაქტო საათები გაიზარდა. გარდა ამისა, შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა და განახლებული ვერსია აღარ მოიცავს სავალდებულო-არასავალდებულო კურსებს, ცვლილება, რომელიც მოსალოდნელია, რომ მოიტანს დადებით შედეგს. პროგრამების სწავლის შედეგები შეიცვალა და ახლა უფრო გაზომვადია. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, სილაბუსების უმეტესობაში საკითხავი მასალები გადაიხედა და გაუმჯობესდა, რაც იყო გარე შეფასების დროს წამოჭრილი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. გარდა ამისა, აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ თორმეტი პროგრამის შეფასება ჩატარდა გარე კოლეგიალური შეფასების მიხედვით, ოთხი კი საერთაშორისო აკადემიური პერსონალის მიერ. თუმცა, წარმოდგენილი შეფასებები, როგორც ჩანს, მხარდაჭერის წერილებს უფრო ჰგავს, ვიდრე განმავითარებელ შეფასებებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მოწოდებულია დაიცვას მაღალი სტანდარტები, რაც ასახულია მისი მიდგომაში გარე ხარისხის უზრუნველყოფისადმი. ეს მიდგომა მოიცავს მიმოხილვებს ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, რომელიც გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის გარე პოლიტიკას, ადგილობრივ და საერთაშორისო კოლეგიალურ მიმოხილვას, აკრედიტაციას და დამსაქმებლებისა და საკონსულტაციო საბჭოს გამოხმაურებას. თუმცა, უნივერსიტეტმა შესაძლოა ყურადღება გაამახვილოს უფრო პერიოდულ და სისტემატურ პროცედურებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე შეფასების შედეგები;
- განმავითარებელი კოლეგიალური მიმოხილვა;
- ხარისხის გარე შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐

პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას იმისათვის, რომ განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება განსაზღვრული წესით. ამ შეფასებების შედეგები გამოიყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად. პროცესი ინკლუზიური და ოპერატიულია, რომელშიც მონაწილეობენ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, მრჩეველთა საბჭოს წევრები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესორები, რომლებიც მონაწილეობენ კოლეგიალური შეფასების პროცესში. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესი სისტემატურია, ეყრდნობა სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდოლოგიისა და მონაცემთა აგრეგაციის პრაქტიკის

ნარევს. ეს მიდგომა საბოლოო ჯამში იძლევა დასკვნებისა და რეკომენდაციების ფორმულირების საშუალებას. მოცემულ საკითხზე პასუხისმგებელი პირის კომპეტენცია და ხედვა უზრუნველყოფს ამ ამოცანის პრაქტიკულ განხორციელებას.

გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მიხედვით, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასების პროცესს ატარებს, ამოწმებს და აფასებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გასაუბრებებიდან ჩანს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვის მიხედვით, ეს მიდგომა ეფუძნება არა მკაცრ კონტროლსა და შემოწმებას, არამედ თვითგანვითარებასა და თვითანალიზს. გარდა ამისა, პერიოდულად ხდება კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და როგორც სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების კმაყოფილების შეფასება ონლაინ გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით. გარდა ამისა, თითოეული კურსის ბოლოს სტუდენტები აფასებენ კონკრეტულ კურსებს. იგივე პრაქტიკა გამოიყენება სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებზე, რაც დასტურდება ვიზიტის დროს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით.
ადგილზე ვიზიტის დოკუმენტებიდან და გასაუბრებებიდან ჩანს, რომ კლასტერში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს რეგულარულად ადარებენ უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს პროგრამებს. ეს საერთაშორისო ე.წ. „ბენჩმარკინგის“ პროცესი, როგორც ეს სამუშაო ჯგუფის ოქმშია მითითებული, მოიცავს პროგრამის დასახელების, მიზნების, სწავლის შედეგების, სტრუქტურის, შინაარსის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების კომპონენტების შედარებას. ის მიზნად ისახავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს გლობალური აკადემიური საზოგადოებისადმი კუთვნილების შეგრძნებას.

ამრიგად, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეკომენდაციების ფორმულირების პროცესში კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და ეფექტურობა ფასდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის კონცეფციის შესაბამისად, ხოლო პროგრამა იცვლება და იხვეწება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური კურსის/საგნის შეფასების, აგრეთვე სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის შედეგები და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბა კალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი),	x	☐	☐	☐

სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS				
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი),საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და	x	☐	☐	☐

მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS				
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	x	☐	☐	☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

- ✓ <u>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:</u>
  1. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), 240 ECTS
  2. მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი), 240 ECTS
  3. მენეჯმენტი, 180 ECTS
  4. მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), 180 ECTS
- ✓ <u>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:</u>
  5. მენეჯმენტი, 120 ECTS
  6. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, 120 ECTS
  7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), 120 ECTS
- ✓ <u>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:</u>
  8. ბიზნესის ადმინისტრირება

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

შინაარსი// სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამია შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა), ინგლისურენოვანი, საბაკალავრო პროგრამა, 240 ECTS	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრმა 4 მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა, 180 ECTS	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 5 მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 6 ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი,	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS					
პროგრამა 7. ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა, 120 ECTS	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 8. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა, 30 ECTS	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

კაროლინა ტიმკო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკა გეგეშიძე

ეკატერინე ნაცვლიშვილი

მაია ჭინჭარაშვილი

სანდრო ტაბატაძე

გიორგი ფარეშიშვილი